


A large, stylized graphic of the letters 'H', 'U', and 'T' in a light gray color, set against a vibrant pink background. The letters have a thick, rounded font style. In the bottom right corner, there is a small cluster of colorful, geometric shapes resembling building blocks or Legos.



ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତେଶ୍ୱର ମହାନ୍ତିର ପାଠ୍ୟ ଗୁଣ୍ଡା  
ପ୍ରଦୀପ କାନ୍ତେଶ୍ୱର ମହାନ୍ତିର ପାଠ୍ୟ ଗୁଣ୍ଡା

2021



၃၁၆၉  
၀၂၅၈၆၂၄၅၀၄၁



କବିତା  
ଫାର୍ମଶିଟ୍ସିଙ୍କ୍ସିଲ୍ୟୁ

2



## ნუკრიანის ლავანდები

შენი სახლის სიახლოვეს გავიარე,  
სილნალიდან კრამიტივით აალდები,  
ბეჭზე გადაგეფინება სავსე მთვარე  
დაგოცნიან ნუკრიანის ლავანდები.  
ისევ შენი აივნისკენ გავიორებ  
თვალებს, ტკბილი სურნელებით მინაბულებს,  
ქუჩის იქით მომზადებულ რავიოლებს  
ეგ თითები უსინჯავენ ხაჭოს გულებს.  
ჩითის ლურჯი წინსაფარი მელანდება,  
საფერავის ცრემლი უდგას გიგანტ ბოკალს,  
თითქოს მკერდში ჩაინურეს ქერა დებმა,  
ერთი ყლუპი უნდა ვცადო,  
ხომ არ მომელავს.  
ჯერ კი ისევ ლავანდებში მიდგას წელი,  
შენ მეშვიდედ გამოცვალე ჩაი კენკრის,  
მმვიდად ითმენ დროს რომ ასე განგებ ვწელავ,  
მალალ შებლზე დანამული ცვარი გეკვრის.  
შეკვეთაა,  
მოირბინა ბიჭმა უცებ,  
შეკვეთაა, არეული, უცნაური,  
შენ ღმისლით ჩაის ფინჯანს ხელზე იდებ,  
მიდიხარ და გეწვის,  
გეწვის ხელის გული.  
მოგდევს ბიჭი, ოხვრით ყლაპავს სამდურავებს,  
რადგან უპირველესია შენი ნება,  
და პატარა თავში ასე ახურდავებს,  
მზარეული მიმტანობას ეცილება.  
ესც თქვენი კენკრის ჩაი დალოცვილო,  
მეუბნები და წინ მიდგამ გიგანტ ფინჯანს,  
რადგან დადგი, ხელისგულზე მაკოცნინე,  
გაკოცებ და ახლა ბიჭი  
თითებს იჭამს.  
ასე უცებ გაიზრდება ის მიმტანი,  
შენ კი ისევ ძველებურად აალდები,  
გაბუტული მსაყვედლურობ ჩუმი ტონით, —  
დაგეკურანა ნუკრიანის ლავანდები!

କେଣ୍ଟାକୁଣ୍ଡରୀ ବେଳିବା ଫା  
 କେଣ୍ଟାକୁଣ୍ଡରୀ ଶ୍ଵେର୍ଦ.  
 ଫା ଫା ଲକ୍ଷନ୍ତର୍କ,  
 ଫୋଣୋ ପକରିବାକ  
 ମିଳକୁଣ୍ଡରୀ ଲୁହାଗଠ  
 ଶ୍ଲମିଳ କୃଷ୍ଣଶ୍ଲମିଳ ଜୀବାରି,  
 ଗାନ୍ଧାରୀର୍ଯ୍ୟଲୀ  
 ନରିଳ ନାନାନ୍ତର,  
 - ଲମ୍ବେରଣି ମନ୍ଦିରର  
 - ଲମ୍ବେରଣି କାହିଁ କାହିଁ!

၁၂၁

## სანთლის გოგო ადელა

თვალი გაალე ჩემო ადელა,  
თვალი გაალე,  
შენდა უბინო მზერას დიდება,  
ეგ წამნაები ჰეგვანან პარმალებს  
ჩენ კი მოვჩანვართ ალბათ დვრიტებად.  
შენი მუხლების ანაბეჭდი  
ატყვას ტაძარს,  
ეგ ანაბეჭდი ამოზრდილი რწმენის ნერგია,  
ისენი გზები, რომლებიც არ ჩანს  
ისენი ვინც კი ადელ-ბეგია.  
გადაგვარჩინე ჩემო ადელა  
გადაგვარჩინე,  
ვიდრე სახლები მინდვრებს მოსვრიან,  
შენი ძმა მუდამ მეტყიება  
უფლის საჩინო,  
ჩემი ორი ძმაც ანგელოზია...  
აგერ მუხლები,  
ეს მუხლები მიდგას უდრეკად,  
მონანიენი,  
ცივნი,  
უბრები,  
ადელა, ჩემო სანთლის გოგო  
მკურნალო დეკა,  
მუხლმოდრეკილი მეტანით  
გესაუბრები...  
მკურნალი წყარო შემაწიე,  
შენთან მოსული  
ვიყო ვინც თესა ბალახი და  
ლვარძლი გათელა,  
შენ ამიხილე და მომმადლე  
მართალი სული  
ჩემო ადელა.

## მთას ასკულა

კუსას და მიშოს

ახვალ ახლა დართლოში და  
ღამლამობით გათოშილი  
დამირეკავ,  
როცა ბარში სიცხე დაწვავს  
ღამის წყვდიადს,  
მომიყვები,  
როგორ დაქრის ქარი, თითქოს  
მწყემსია და  
მთები მიაქვს.  
ახვალ და იქ დაგიხვდება  
კვავლოს კოშკი აშოლტილი  
პირამიდა,  
გადალლილი ჩაუწვები  
კესანებს და იტყვი,  
ღირდა, –  
ყველა დაღლა,  
ყველა ღამე გატეხილი,  
მთელი წელი რუტინული  
სამსახური,  
რომ ჩაკბიჩო პაპისეულ  
ეზოს ხილი,  
რომ შენს კერას  
კრამიტები გადახურო.  
ახვალ ახლა დართლოში და  
დალევ წვიმას,  
გამოწურულს საქალწულე  
ღრუბლებიდან,  
მანამდე კი თუშის თვალებს  
არა სძინავთ,  
სიზმარშიაც მთის გადავლას  
უნდებიან.  
მანამდე კი, მარტო უკრავს  
მიშო ფანდურს,  
გულში მთელი დედამინის დამტევია,  
დედამინას რომ ეშმოდეს  
მიშოს რა სურს,  
სიზმარივით გაუვლიდა პანდემია.



## ალა დათუკიშვილი

3

შაშვები,  
ზღაპარიყო,  
და გახდნენ ავად,  
ქალები რომლებიც  
დადიოდნენ სამოგზაუროდ  
წიგნის აბზაცებში  
და გზებს უკვლევდნენ  
კარიერისატ ქმრებს,  
ქალები შიშის  
ანარეკლში ბარბაცებენ,  
ავი თვალი სცემს,  
კაბებს, რომლებსაც  
მარტოები დაატარებენ  
მივლინებაში მყოფი ქმრების  
სამგლოვიაროდ,  
შუალამით კი მათი ტანის  
ანდამატები  
მთვარეულობენ,  
რომ ქალაქი შემოიარონ,  
სადაც, როდესაც  
გვერდით ჰყავდათ  
ლამაზი ქმრები,  
როგორც უთაო მხედრები  
ისე უთვალონი,  
რადგან თვალები სხვების იყო,  
სხვა გოგონების,  
ცრემლები უთვალავი,  
ყლაპეს და ჰელიუმის  
ბურთებს დაემსგავსნენ,  
დარღვეულ ჰორმონებით  
ზოგი გაფრინდა,  
ზოგი კი გამობმულ  
ყოფას ემონება.  
ქალები ჯადოქრები,  
მაგები,  
მოგვება,  
ვარსკვლავთმრიცხველები,  
ფიანდაზების  
ქმრებისთვის დამგები,  
ქალები, – ვიცელებით.  
სხედან და შიშზე ქადაგებენ  
და მშვიდდებიან  
რომ სხვების შიში შეუძლიათ  
მალე განკურნონ,

## შიშის ქალფეა

ქალებმა შიშის პირპადეებს  
მიაშურეს და  
შიშზე ქადაგი წამოიწყეს  
ქალებმა,  
მარტოსულებმა,  
არა და ქორწინება შესაშური,  
დაორსულება,  
თითქმის ყველაფერი  
რიგზე იყო,  
შესანიშნავად,  
ჭალები,





ჭიქაში ჩაის სუროგატი  
ტყის შინდებია,  
ქმრები კი ალბათ ორლეპნიანს  
ჭამენ საკურას.  
ეს პანდემიაც მარტოებმა  
გადაიტანეს  
და რისკის ჯგუფიც არ არსებობს  
მაშასადამე,  
სხედან და შიშზე ქადაგტენ  
რადგან არ დარჩათ არაფერი  
შიშის სადარი.  
მე კი მინდა რომ  
ერთ ლამესაც მათთან მივიდე,  
გავხსნა ბაროკოს ლარნაკებში  
მკვდარი თამბაქო,  
ინდიელების საქმეველით  
ვწმენდდე მიმიკებს  
და შიშის გარდა ყველაფერზე  
ვალაპარაკო.

## ჩრდილების საუნა

ყოველ სამშაბათს,  
ის საუნის ოთახთან მიდის  
ჯერ არმისული  
ტანზე იხდის  
ისეც არაფერს,  
ერთი უბრალო  
თითის გაკვრით  
იხსნება რიდე,  
და წვივებიდან  
ფეხით იძრობს  
ვითომ სარაფანს.  
იმ დღისით ისე ბედნიერი  
დგას შვეიცარი,  
იმ დღისით  
ქერა დაცვის ბიჭიც  
მოულელია,  
და ისე  
თითქოს დასაჯდომად  
ვერ მოიცალეს,  
დგანან და ახლა  
ქალბატონის გასვლას ელიან.  
ქალის, – რომელმაც  
შესვლასა და გამოსვლას შორის,  
ოუდის ვარდი კილიანის  
დატოვა ჰოლში,  
ქალის, – რომელიც  
ჰოლივუდურ მიხერა-მოხვრაში,  
უბრალოდ უფრო ლამაზია  
ქართველის როლში.  
შიგნით კი კანზე დახვეული  
ოფლის წვეთები,  
ასე უბადლო მარგალიტის  
სანახებია,



წევს საუნაში და უმაღლეს  
სიცხეს ნებდება,  
დროდადრო მეთვალყურები  
ენახებიან.  
ქერა ტრენერი თითქოს განგებ  
ყურებს ინითლებს,  
ლოყანითელა მასაჟისტი  
ზის როგორც გნოლი,  
მოარბენინებს რესტორნიდან  
მიმტანი ბლითებს,  
წითელი სელის მარცვლებიდან  
ებნევა გონი.  
გარშემო წვანან სხეულები  
როგორც ჩრდილები,  
ცოლი ქმარს ეკვრის,  
ქმარი ცოლის მუხლსაც არ აჩენს,  
საოცარია,  
თითქოს ოფლსაც იმორჩილებენ  
ტანზე იკრავენ პირსახოცის  
მფარველ განაჩენს.  
ყოველ სამშაბათს,  
საუნიდან როდესაც გადის,  
გაფერმკრთალდება  
ჭრელი ჰოლი  
და სულს განაბავს,  
ერთი უბრალო  
თითის გაკვრით  
იკვრება ბანტი,  
და წვივებამდე  
ჩამოიშლის  
ვითომ სარაფანს.

## დარიჩინის ელფერი

გაალე შენი ზაფხულები,  
ბების სკივრი,  
ხელი დარიჩინის სიზმრები,  
გამოუცვალე პერანგები  
მზეთუნახავებს,  
რომელთა ფესვიდანაც  
იზრდები.  
იპოვე ნასიზმრალ ლოგინებში,  
გადამალული  
ფეტვის მარცვალი,  
ქველი კალამი,  
რომელიც უწინ  
კევჭი გაცვალე.  
შეები ბროლის სამურაბეს,  
ნუ გეშინია,  
ალარ გატყდება,  
რაც გასატეხი იყო უკვე  
ნაგავს მიბარდა,  
დაისაკუთრე, როგორც მყუდრო  
სოფლის კატებმა,  
წინსაფრებიდან გადმოყარე

წითელი ბარდა.  
შემოაცალე აბლაბუდა  
საკერავ დაზგას,  
სპეციფიურმა ზეთის სუნმა  
რომ გაახელა,  
სახლში, რომელშიც ეს ზინგერი  
ძეგლივით დგას და  
ცოტა თუ იცნობს  
მსახიობი ბიჭის ნახელავს.  
გაალე შენი ზაფხულები,  
ზღაპრული სკივრი,  
იპკურე დარიჩნის შეეფები,  
მართლა არაფერი იყარგება,  
ბავშვობას დიდობაში შეხვდები.

არც არაფერი აღარ მაკვირვებს,  
აღრაც მე ვცდილობ შენ გაგაკვირვო,  
ვუყვები ხოლმე ზღვათა ნაპირებს  
ღალატიც იყო,  
საქმე საგმიროც!  
აღარ იღელვო რაზეც ღელავდი,  
მიაქვს ქარიშხლებს ნამქერთა ხუნტა, ახლა,  
მოხუცდა ჩემი თელავი  
და მოხუცებულს სიმშვიდე უნდა.

## საფარ მოხუჯდა ჩემი თელავი


ხდება სიცხეში ხშირად გაციებს,  
გესიზმრებიან როცა მიწები,  
იწყებს უდაბნო თვითერემაციას  
წევხარ მის კანზე და შენც იწვები.  
ვინც გადავირინდით საკენისათვის  
რომ მოვაყაროთ შენს წმინდა ბალებს.  
ყოველდღე ეხედავთ ქვრივი მესანთლე  
ღვთაების კარს რომ უწუმრად აღებს.  
სხვათა ქირქილი ჯვარს შეგვაყენებს  
თითის გამშვერთა გვიდგას არმია,  
თუ ვენატრებით ჩვენ და ნაყინი,  
გლახებს, – რომლებიც სულ იქ არიან,  
სადაც ქუჩაა და ქვაჯენილი,  
სადაც მოხუცდა ჩემი თელავი,  
სადაც სუნთქავდა ბევრი ფელინი,  
მაგრამ უფულოდ შედგა ვერავინ.  
ვინ მოგახდინა ცივი ავდარი,  
მზე უნდა ფენდეს მწვანე ნადიკვარს,  
შენი ერთგული ხმელი ჭადარი  
კიდევ ცხრაას წელს ცხრაჯერ გაგიტანს.  
რა ტკივილები აღარ მომყვება,  
რა აღარ მახსოვს ასატირალი,  
მაგრამ აჯობა ჩემში ლოცვებმა  
გადაივიწყა ბოლმა ტირანი.  
აქეთ გამიხდა შესაცოდავი,  
ვინც კი ამ გულზე გადამიარა,  
ასე ყოფილა ბედი მცოდველთა  
დაღად ედება შუბლზე იარა.

## მფუმარე შეკათი

მამა თეოდორე გიგნაძის ქადაგებიდან



ღმერთი სდუმს ახლა  
დიდი შაბათის  
მისტიურ ლავას  
აწყდება ქარი,  
და ვიდრე წალმა  
ამოგვაქსოვებს  
თითქოს კვართებიც  
უკულმა არი.  
როგორი ტკივილია,  
როგორი სიმწარეა,  
თითქოს სული გახდა  
ავატარი,  
უატმოსფერობა  
უსივრცობა,  
ექებ და ღმერთი  
არსად არი...  
მე და შენ შორის  
მოძღვრების და მონაზვნების,  
სისხლით გაუდენთილი ლრუბელია,  
შენთან არს მიმდევარნი შენი ნების,  
უშენო შაბათია  
ყრუ კელია.  
ქრისტეა ხსნა და  
ქრისტეა შვება.  
და ცა იხსნება,  
დიდი შაბათის  
მისტიურ ლავას  
შლის ცეცხლის ქარი,  
გახარებული  
რბის იოანე,  
– ღმერთი მოვიდა  
– ღმერთი აქ არი!





၅၁၃  
မာနဒေဝါရီ

შაქტილის დღე გაახსენდა, დღესასწაულზე ნახასვლე-  
ლად სახლიდან მაჩათონ ერთდ რომ გაფიდა. უბაროდა.  
ხელში წყპტი ფირან, მოკლე ძაფზე გამირმეული. უკრდ თახმა  
შეესანა ფეხსაცმლზე. წლებიზო ჩაიმუხლა და თახმები როკურ  
გამოყენებანდა. პირით ანთერული სიგარეტი ფირან. მელანის  
სიამოვნებდა მამის ყურადღება. გაირნდა და ურუ კი მიხ-  
ვდა როგორ ნავიდა მისი წყპტი სიგარეტისკან. გასკომისა  
ხმაშ გამოაფხიზეს. წლებიზე ხმაშილა მისებ შენიშვნა. იმ  
ჭრის მათმა მეზობლებმა ჩაიარეს და შერწყვენილ მელანის  
გაულიმეს. წრემლები მოაწვა, მაგრამ ტირილისა შერწყვა.  
ალარჯ საადმე უნდოდა ნახვლა...

ମନ୍ଦିରାଳୋ

תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

## *Il est où le bonheur*

## სად არის გელიორეპა

(რომანი)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ოლქ“ №4, 2021 წ.

ଓଡ଼ିଆ ଲେଖକ

შარლოტამ და ბლეიზმა მორიგი ჩეუბი  
თავიანთი საძინებელი ოთახიდან დაიწყეს. პა-  
ტარა მელანის, რომელიც ტელევიზორში სა-  
ბავშვო გადაცემას უყურებდა, სუნთქვა შეეკრა  
და შიშისგან სავარកელში მიიკუნჭა. ხელში სა-  
თამაშო ბაჭია ეჭირა, რომელსაც მშობლების  
ყოველ დაყვირებაზე უფრო და უფრო უჭერდა  
თითებს.

შარლოტა თან კიოდა, თან ისტერიულად ტიროდა. უეცრად სასტუმრო ოთახში გამოვარდა და იატაზე დაეცა, პირიდან დორბლები, თვალებიდან კი ცრემლები მოსდიოდა. ბლეიზიც მაშინვე გამოჰყვა. ისედაც შემინებულ ბავშვს, მხართან განითლებულ ადგილს უჩვენებდა და ყვიროდა: „შეხედე! კარგად შეხიდე! რა მიქნა აფთარმა დედაშენმა!“

მელანის გული ამოკარდნას ჰქონდა, მთელი ძალით აწვებოდა სავარძლის საზურგეს და კბილებს აკრაჭუნებდა. შარლოტამ ფართხალი დაიწყო. ბლიზმა ყვირილი შენყვიჩა...

გოგონა ძმის ოთახისკენ გაიქცა, კარი ჩა-  
კეტილი დახვდა. – ლუი გააღე, გააღე!..

ლუიმ შიგნიდან რაღაც მძიმე ისროლა  
დისკენ.

ექვსი წლის მელანი, შოკირებულ მდგომარეობაში მყოფი დიდხანს იდგა აივაზზე. ცრემლით და ცხვირიდან გამონადენი სითხით დასველებულ მოაჯირს, გახშირებული სუნთქვით ათბობდა და ტირილისგან დაოსებული თვალებით ბინდბუნდად ხედავდა აქეთ-

იქით მოსიარულე ადამიანებს, რომლებიც მისი  
ტკივილის მიღმა, სულ სხვა სამყაროში ცხოვ-  
რობთნინ.

მელანიმ ცრემლები მუშტით მოიწმიდა. ბაჭია მკლავებში მოიქცია და ორივე ხელი ყელში ნაუჭირა. მერე თავი გისოსებში გააყოინა და ხანგრძლივი მოჭერისგან სისხლდანრეტილი, გადათეთრებული თითები ნელა გაშალა...

სრულიად უემოციოდ უყურა როგორ დაე-  
ცა ძირს მისი საყვარელი სათამაშო და სახლში  
შებრუნვა.

၁၅၀၁၆၀

სეფარადი დედის და აშქენაზი მამის  
შვილი იყო ელიასი. პატარა ბიჭის ჭროლა  
თვალებში სეფარადების საუკუნეობრივი სევ-  
და ჩაბუდებულიყო. ეს სევდა განსაკუთრებით  
შესამჩნევი ხდებოდა მაშინ, როდესაც გარინ-  
დებული გასცეკროდა სივრცეს და ირგვლივ  
ვერაფერს ამჩნევდა.

ალფამბრის დეკრეტით ესპანეთიდან გან-  
დევნილი მისი წინაპრები თავის გადასარჩენად,  
ოსმალეთის იმპერიას შეეხიზნენ. ყოველთვის,  
როდესაც ელიაპუ მიზრაპის შთამომავლები,  
სამღლოვიარო ლოცვას აღავლენდნენ, ელი-  
ასს საიდანდაც მომსკდარი დარდი უგლეჯდა  
გულს და ცრემლს ადენდა:

„....და შენს ქალაქ იერუსალიმში მოწყ-  
ალებით დაბრუნდები...“ – მშობლებთან ერ-

თად ისიც ჩურჩულებდა და ყელში გაჩერილი ბურთის გადაყლაპვას ცდილობდა...

შემოდგომის იმ დღეს, მაშინ როდესაც მელანისგან გამეტებული ბაჭია, სტრასბურგის ერთ-ერთი უბნის ქვაფენილს დაენარცხა, დეიდასთან სტუმრად მყოფი ათი წლის ელიასი, ფანჯრის რაფიდან უმალ ჩამოხტა.

ქუჩა კოჭლობით გადაჭრა და დასვრილი ბაჭია აიღო. აივანს ახედა. იქ აღარავინ იყო. სადარბაზოში შეგარდა, რამდენადაც შეეძლო სწრაფად აუყვა კიბეს და მეოთხე სართულზე შეჩერდა.

ელიასმა ზარის დარეკვა ვერ გაბედა და კარზე მორიდებით დააკაკუნა. დიდხანს ელოდა სახლიდან ვინმეს გამოსვლას, ბოლოს ხმაურით გაიხსნა საკეტი და მაღალმა, გამხდარმა კაცმა გამოიხედა. – ეს ბაჭია, აივნიდან ჩამოუვარდა თქვენს გოგონას, – ეცადა ხმა მტკიცე ჰერნოდა. – აჲ, მელანის? – კაცმა გაკირვებულმა გამოართვა სათამაშო და მადლობა გადაუხადა. კარს სანახევროდ მოფარებული მელანი ცრემლიანი თვალებით უყურებდა.

ქვევით ჩასულს გოგონას ხმა შემოესმა:

– Merci beaucoup!\* – მელანი აივანზე იდგა

და ხელს უქნევდა.

მეჩერდა და გაულიმა:

– Derien!..\*\*

მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში, ვიდრე დედა კოლმარში, სახლში წაიყვანდა, ყოველდღე ზვერავდა მელანის აივანს. უფრო ხშირად მამამისი გამოდიოდა სიგარეტის მოსაწევად. ბიჭმა ზეპირად ისწავლა მისი მანერები წევის დროს. მოგვიანებით ფანქრით ესკიზებიც გააკეთა პატარა სახატავ რვეულში. გოგონა იშვიათად წნდებოდა. მოაჯირს ჩაჭიდებული, თავს უკან გადააგდებდა და ცას შესცეკროდა. მის დანახვაზე ელიასს უცნაურ გრძნობათა ნაზავი ეღვრებოდა გულში – სიბრალულის, სიხარულის და... მფარველობის სურვილი.

## შარლოტა

შარლოტამ თასში ცივი წყალი ჩასხა და სკამზე დადგა. იქვე თავისი და ბლეიზის ცხვირსახოცები დაალაგა, აგრეთვე მარსილიუ-



## ლანა მანველი

მელანი ერთმანეთს დიდად ვერ ეწყობოდნენ. მელანი წყნარი და გულჩათხრობილი გოგონა, ხოლო ლუ ჩხირკედელა და ცოტა უხეში ბიჭი იყო. თუმცა ხანდახან ერთადაც თამაშობდნენ, ბოლოს კი, მაინც ჩხუბობდნენ და იბუტებოდნენ. შარლოტამ, ცხვირსახოცების გასარეცხად მელანის დაუძახა, თვითონ კი მომზადება განაგრძო. მოკლე, კარედ შეჭრილი თმა ჯერ აიღუა, მერე კი ფრთხილად გადაივარცხნა. ტონალური თითების მსუბუქი მოძრაობით გადაინაწილა სახეზე. პუდრს არ ხმარობდა. წამნამებს რომ იღებავდა, ბლეიზმა ჩაუარა – „მე წავედიო“ – უთხრა, მაგრამ სახლიდან არ გასულა, სიგარეტს მოუკიდა და აივანზე გავიდა. ქალს ნერვიულმა სპაზმამ წაუჭირა ყელში, მაგრამ მოითმინა და არაფერი თქვა.

## გლეიზი

ბლეიზს სიგარეტი გამხდარ, გრძელ თითებში მოექცია და განსაკუთრებული ელეგანტურობით ეწეოდა. თვალები ოდნავ მოეჭუტა. სადღაც სივრცეში იყურებოდა და გონებაში როლს იმეორებდა. წასვლა ეზარებოდა. ახლა ყველაფერს წამონოლა და წიგნის კითხვა ერჩივნა. თუნდაც ფეხბურთის ყურება. ის ფილმიც დასამონტაჟებელი ჰერნდა, გასტროლზე რომ გადაუღო დასს.

ბოლო წაფაზიც დაარტყა და სიგარეტი აივნის რკინის რიკულს მიაჭყლიტა. წამნვი საჩვენებელი და ცერა თითებით დაიჭირა და მზერა ისევ სივრცეში გაეყინა. გარშემო ვერაფერს ამჩნევდა, თავისთვის ოცნებობდა. ძალიან უნდოდა კინოში გადაეღოთ, წამდვილ კინოში, თორემ სერიალებში კი ჰერნდა რამდენიმე ეპიზოდური როლი შესრულებული. ოცნებებში გახლართული გავიდა სახლიდან. თეატრისკენ მიმავალ გზაზე ტრანსპორტში

\*დიდი მადლობა. (ფრანგ).

\*\*არაფერს. (ფრანგ).





არ ჩამჯდარა. რესპუბლიკის მოედნამდე კიდევ ოთხი ლერი სიგარეტი მოსწია. პრეფექტურას გვერდი აუქცია და თეატრის უკანა შესასვლელისკენ გაემართა.

ვესტიტიულში თანამშრომლებს ხავერდოვანი ხმით, არტისტულად მიესალმა და საგრი-მიოროსკენ გაეშურა.

## მელანი

მაჯეპი რომ დაიკაპინა და რეცხვას შეუდგა, ბლეიზი ჯერ კიდევ აივანზე იდგა და სიგარეტს ეწეოდა. პატარა მელანიმ იცოდა, რომ სიგარეტი მავნებელი იყო როგორც მწეველისთვის ასევე მათვისაც, ვინც გამონაბოლქვს ისუნთქავდა. როდესაც ბლეიზი ფეხბურთს უყურებდა აღელვებული შეძახილების თანხლებით, ისეთი კვამლი დგებოდა, გოგონა ოთახში ვერ ჩერდებოდა.

...მელანი ჯერ დედის ცხვირსახოცებს რეცხავდა გულმონდგინედ, ასე სჯეროდა, რომ თუკი მის ნასვლამდე მოასწრებდა მისი ყველა ცხვირსახოცის გარეცხვას, იმ საღამოს დედამისი ცუდისგან იქნებოდა დაცული. ეს ყველაფერი რაღაც რიტუალური იყო მისთვის. დაძაბული და თან ყურადღება გამახვილებული რეცხავდა. წყალი ცივი იყო, როგორც ადრე დედამ უთხრა, ცხვირსახოცები ცივ წყალში უკეთ ირეცხებოდა. ხანდახან ლუისაც არეცხინებდა, მაგრამ მხოლოდ მაშინ თუ ხელებში ქუჩის ჭუჭყი იმდენად ჩაუჯდებოდა, რომ დაბანით ვერაფერს უხერხებდა. ისე, ძირითადად, ცხვირსახოცები მელანის საქმე გახლდათ.

შემოსასვლელი კარის ხმაურზე მიხვდა, რომ მამა უკვე წავიდა. გონებაში ბოდიში მოუხადა და დედის ცხვირსახოცების რეცხვა განაგრძო. რეცხავდა და თან ათას რამეზე ფიქრობდა. უფრო წარსულზე.

ბასტილიის დღე გაახსენდა, დღესასწაულზე წასასვლელად სახლიდან მამასთან ერთად რომ გავიდა. უხაროდა. ხელში ბუშტი ეჭირა, მოკლე ძაფზე გამობმული. უცბად თასმა შეეხსნა ფეხსაცმელზე. ბლეიზი ჩაიმუხლა და თასმები ორჯერ გამოუკვანდა. პირით ანთებული სიგარეტი ეჭირა. მელანის სიამოვნებდა მამის ყურადღება. გაირინდა და ვერც კი მიხვდა როგორ წავიდა მისი ბუშტი სიგარეტისკენ. გასკდომის ხმამ გამოაზიზლა. ბლეიზმა ხმამალლა მისცა შენიშვნა. იმ დროს მათმა მეზობლებმა ჩაიარეს და შერცხვენილ მელანის გაულიმეს. ცრემლები მოაწვა, მაგრამ ტირილისაც შერცხვა. აღარც სადმე უნდოდა წასვლა...

სარეცხი სამჯერ გაავლო და აივანზე

\*\*\* „როდესაც ის მე მეღლავებში მომიქცევს და მელაპარაკება ჩუმად, მაშინ ცხოვრება ვარდისფერია, ვარდისფერია მუდამ...“ (ავტ. თარგმანი ფრანგულიდან)

მდგომ ორ მოწნულ სავარძელზე მიიფინა საგულდაგულოდ. მერე ოთახები მოიარა. ყველა კუთხე-კუნძული შეამოწმა. ტუალეტშიც შეიხედა. იცოდა, რომ მშობლები სახლში უკვე აღარ იყვნენ, მაგრამ მაინც... ლუიც, სადღაც უბანში თამაშობდა.

დედას, შემოსასვლელში, სარკის ზემოთ დამაგრებული ნათურა ანთებული დაეტოვებინა. სუნამოების და ნელსაცხებლების კოლოფებიც წაღმა-უკულმა ეღლაგა. ყველაფერი გაასწორა და შუქი გამორთო. მალევე ისევ ჩართო და საკუთარი გამოსახულება შეათვალიერა. წარმოიდგინა, რომ ისიც მსახიობი იყო და სახე სხავადასხვა მიმიკებით ნელა მიატრიალ-მოატრიალა აქეთ-იქით.

მერე საძინებელ ოთახში გაიქცა. ტანსაცმლის კარადა გამოალო და შედგა. იქაც მცირე არეულობა დახვდა. დალაგება დაიწყო. მოსწონდა დედის ნივთებთან შეხება. ჩამოკიდებული კაბები თითებით შეიგრძნო და მათგან ერთ-ერთი, შავი ფერის ჩამოხსნა. კაბა უცბად გადაიცვა და სარკიანი კარადის ზედა უჯრა გამოალო. სამკაულები ამოალაგა. ყელ-საბამები ყელზე, ბეჭდები კი თითებზე ჩამოკიდებული კაბები და გაიპრანჭა. ვერცხლის ძაფით მოწნული დრეკადი სამაჯური და ყელსაბამი უყვარდა ძალიან. სინამდვილეში ყელსაბამი ძველებური ვერცხლის ბალთა იყო, სქელ ჯაჭვზე ჩამოკიდებული. ბალთაზე უცნაური გრავიურა იყო გამოსახული – შუაში ფართედ ტოტებგაშლილი ხე, ხის ნინ ნელზე დოინჯშემოყრილი ქალი იდგა, რომელსაც თავზე ვაშლი ედო. მარჯვნივ მუზარადიანი ცხენოსანი შემდგარიყო, ხოლო მარცხნივ, ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა იყო მსროლელის, რომელსაც ქალი (ალბათ უფრო ვაშლი) ნიშანში ჰიყავდა ამოღებული. სილრმები დაბალი შენობაც მოჩანდა. მელანიმ ცერა თითი გადაუსვება მინიატურას. თითი კარგად დააჭირა, რათა ამბის დრამატულობა კიდევ უფრო უკეთესად შეეგრძნო და ისიც ყელზე ჩამოკიცნიალა. თხელ წარბებზე დედის შავი ფანქარი გადაიტარა. საჩვენებელი თითით შეისწორა და ახლა წამნამები აიპრისა. ტუში გამხმარიყო და ფუნჯს უხეშად მიკრობოდა. ბოლოსთვის ყველაზე სასიამოვნო პროცესი შემოინახა, ნითელი საცხის წასმა. თვალები მოჭუტა და ტუჩები ნებიერად გამოსწინა ნინ...

ცოტა ხანში, ფირსაკრაკზე ედიტ პიაფის ფირფიტა დადო, გულზე ხელები დაიკრიფა და დაბალი ხმით აჲყვა.

„Quand il me prend dans ses bras

Il me parle tout bas

Je vois la vie en rose ...“\*\*\*

სანახევროდ ჩაბნელებულ შემოსასვლელს მკრთალად ანათებდა სანათური, რომელიც მელანის წარმოსახვას განსაკუთრებულ შთაგონებას აძლევდა.

## ლუი

ლუი იქამდე აჭერდა ზარის ლილაკს თითს, ვიდრე კარი არ გაიღო. ლოყებანითლებულ მელანის ისევ აესხა დედის სამკაულები. ეს ლუის ძალიან აღიზიანებდა.

– რა მულენ რუჟის მოცეკვავესავით ჩაგიცვამს? – დას ხელი გაპკრა და აივანზე გავიდა. მელანიზე ნლით და ცხრა თვით იყო დიდი და ცდილობდა ეუფროსა. სახლი აღიზიანებდა, დაც. რატომლაც ზედმეტად მიაჩნდა მისი არსებობა. რაც უფრო იზრდებოდნენ, მით მეტად უღვივდებოდა მის მიმართ სიძულვილი. რომ გეკითხათ, ალბათ, კონკრეტულ მიზეზს ვერც გეტყოდათ. არ უყვარდა და მორჩა!

აივანზე დგომა მოპეზრდა და ოთახში შებრუნდა. მელანის ტანსაცმელი გამოეცვალა და თეატრიდან მოტანილ უურნალებს ათვალიერებდა.

– გინდა მურაბის ჭამაში შევეჯიბროთ? – ლუიმ ხმა დაითბო. მელანიმ მაშინვე გაუღიმა და ძმას სამზარეულოში გაპყვა. ალუბლის მურაბა პატარა თევზშებზე ამოილეს და მაგიდასთან ერთმანეთის პირისპირ დასხდნენ.

– Un, deux, trois... სამამდე დათვალეს და დაიწყეს.

ლუი ალუბლებს სწრაფად ჭამდა და კურკებს აქეთ-იქით ისროდა. მელანი კი კარგად გასუფთავებულ კურკებს ლამბაქზე აწყობდა. – ნუ ყრი, დედა გაბრაზდებაო, – ამოილულულა და ბოლო ორი მარცვალი ერთად ჩაიდო პირში...

შეჯიბრი ლუიმ მოიგო. სამზარეულოს დასუფთავება კი მელანის ხვდა წილად.

## გაცორნილება

შარლოტამ, შვილები მზრუნველი, ცოტა არ იყოს უცნაური ხმით იხმო. მელანი ნდობით მიჰყვა დედის ხმას და იმ სავარძლის სახელურის კიდეს მოჰკიდა ხელი, სადაც მათ მოლოდინში შარლოტა ჩამჯდარიყო. ლუი შორიახლოს შეჩერდა. ქალმა გაიღიმა. სათქმელს შეგნებულად აგვიანებდა. ბავშვები მოთმინებით ელოდნენ.

ბოლოს, ღრმად ამოისუნთქა და რაც შეეძლო წყნარად ამოთქვა, – მე და მამათქვენმა განქორწინება გადავწყვიტეთ, თქვენ რა აზრის ხართ?

ლუიმ პირი მაგრად მოკუმა და პასუხად

მხრები აიჩეჩა. მელანიმ თანაგრძნობით შეხედა და დედას. თავში ათასი ფიქრი აეშალა, მაგრამ ეცადა გარეგნულად არაფერი შესტყობოდა.

– შენ როგორც გინდა, დედა! – თქვა და ნალვლიანად გაიღიმა. ლუიმ კი, დედას მზერა აარიდა და ოთახიდან გავიდა.

მელანი, მთელი დღის განმავლობაში, დედას სულ თან დასდევდა. მასთან ერთად და-დიოდა ოთახიდან ოთახში, სამზარეულოში, აივანზე. სახეში არ უყურებდა, მხოლოდ მისი ტანსაცმელისთვის მიეჩერებინა მზერა. დაფრიალებდა ჭრელ, მუქ ფერებში თხლად ნაქსოვი კაბა აქეთ-იქით და თან დაათრევდა სულში ნამსხვრევებ ჩაყრილი გოგოს უსასობას...

9



## ნასვლა

ბლეიზი შემოდგომის ერთ მზიან დღეს წავიდა. ჩემოდანში აუცილებელი ნივთები ჩაალაგა, ზევიდან თავისი ხელით გადაწერილი როლები დაადო, ჩალისფერი პიჯაკის ქვეშ პალსტუხი შეისწორა, თავზე შლიაპა მოირგო და წავიდა. იღლიით საპროექციო აპარატი ეჭირა, მხარზე კი კინოკამერა ჰქონდა გადაკიდული. წასვლამდე კი, რა თქმა უნდა, ისევ იჩხუბეს.

მიზეზი კი ის იყო, რომ შარლოტამ რამდენიმე ობლიგაციის დატოვება სთხოვა, – ხელფასამდე ხომ უნდა ვაჭამო ბავშვებს რამეო. ბლეიზმა უარი უთხრა. ჩეუბსა და ჯაჯგურში ფასიანი ქაღალდები ოთახში მიმოიფანტა. ერთი ცალი პიანინოს უკან გადავარდა. ბლეიზმა სასწრაფოდ წამოკრიფა ყველა, მერე მუსიკალური ინსტრუმენტი გამოსწია და უკანასკნელ ობლიგაციასაც გამარჯვებული იერით დასწვდა. შარლოტას ისტერიული სიცილი აუტყდა, – სასამართლოზე შევხვდებოთ! – დაემუქრა და კარი ისეთი ძალით მიუჯახუნა ზურგს უკან, კინალამ ანჯამებიდან ჩამოვარდა.

სასამართლოზე კი დიდი არაფერი. ბლეიზმა არც ერთი შვილის მეურვეობა არ ისურვა. მხოლოდ შემოსავლის მიხედვით განსაზღვრული ალიმენტის გადახდაზე განაცხადა თანხმობა. სხდომის დასასრულს კი უხერხულად განაცხადა: ვწუხვარ, ოჯახი ჩემი საქმე არ ყოფილაო და გრძელი, ჩამოთლილი თითები ხელისგულებში მოისრისა.

## მამის გარეშე

შარლოტა გადასახადების გადახდას ვერ აუდიოდა. სახლში ხშირად წესიერად საჭმელიც არ ჰქონდათ. ამ ყველაფერს თეატრიდან მისი წამოსვლაც დაერთო. სკოლიდან დაბ-

ლექტორი №5, 2021





რუნებულ ბავშვებს ხშირად უწევდათ ზეთში მოშუშული ხახვის, სუნელებით შეზავებული ტომატპასტის, ნიორნასმული ბაგეტის ან პურის და ნიგოზის ჭამა. იმ ხანებში ორივეს შარლოტასთან უნდოდა დაძინება. საამისოდ, განრიგიც კი შეადგინეს, მაგრამ თუ რომელიმე მოასწრებდა (ასე უფრო ლუ იქცეოდა) და რიგგარეშე ჩანვებოდა ლოგინში, ის ღამე დედასთან ერთად ეძინა.

მელანი, ფრთხილად შეუწვებოდა ხოლმე შარლოტას ზურგის მხრიდან. ერთხელ დედამ სთხოვა, რომ ცივი ხელებით არ შეხებოდა. მას შემდეგ სულ ფრთხილობდა. იწვა გატრუნული შარლოტას ზურგს უკან და ცდილობდა შეუმჩნევლად, სუნთქვით გაეთბო გაყინული თითები. დედის სხეულის შეხება რომ შესძლებოდა....

ასე გადიოდა დღეები და მათ გულებში, თანდათან სევდა და უიმედობა ისადგურებდა. არც ადრე ჰქონდათ მხიარული ოჯახი, მაგრამ ახლა სხვანაირი სიცივე უვსებდათ გულ-მუცელს და დაქასქსულობის საკუთარი კუნჭულისკენ მიჰყავდა თითოეული. შარლოტა გამკაცრდა, იყო დღეები როდესაც შვილებს არაფერზე არ უბრაზდებოდა – „ვაგროვებო“ – იტყოდა წყნარად და თავის საქმეს აგრძელებდა. მოულოდნელად, მაშინ როდესაც ყველაზე ნაკლებად მოელოდნენ, ვულკანის უეცარი ამოფრქვევასავით იწყებდა ჩხუბს და ორომტრიალს. კვირა დღე ეჯავრებოდა მელანის, დედა განსაკუთრებით ამ დღეს ბრაზობდა. დილაუთენია აღვიძებდათ შარლოტას ყვირილი. ჯერ კიდევ ლოგინში მყოფებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ და რადგან ყვირილს კარებების ჯახუნიც ერთვოდა თან, სწრაფად დგებოდნენ, შეშინებულები ასწორებდნენ საწოლებს, აქაოდა ჩვენ კარგი ბავშვები ვართო, მაგრამ შარლოტა ვერ მშვიდებოდა. ერთ-ერთმა ასეთმა კვირა დღემ შეინირა ლუის კასეტებიანი მაგნიტოფონი, რომელიც ნაწილ-ნაწილ დაშალა ფილებიან იატკაზე დანარცხებისას. გაბრაზების მიზეზი კი ის იყო, რომ ლუი მაგნიტოფონს ველოსიპედზე ჩამოკიდებულს ატარებდა აღმა-დაღმა და სიმღერების თანხლებით დადიოდა უბიდან უბანში. მელანის გასარეცხ ჭურჭელზე ეჩხუბებოდა უფრო მეტად, კიდევ მეზობლებთან ურთიერთობას უშლიდა. შარლოტა ხევდა, ლენდა, ყრიდა. თუ შეეპასუხებოდნენ ორივეს სცემდა, ლუის უფრო გამეტებით... დასასრულს დაძაბული სიჩუმე ისადგურებდა სახლში. ასეთ დღეებში დიდხანს არ ინთებოდა სინათლე. ყველანი თავის კუთხეს მოფარებულები იქარვებდნენ სიბრაზეს, წყენას, დარდს... მოგვიანებით იბანავებდნენ და გამოცვლილ

თეთრეულში მორიდებით შეწოლილები ცრემლიანი მზერით ადევნებდნენ თვალს დედის მოძრაობებს, რომელიც სკოლაში ნასასვლელ ტანსაცმელს უმზადებდათ დილისთვის...

## დარჩენილი ნივთები

ბლეიზმა, დარჩენილი ნივთების ნასაღებად თეატრის ავტობუსის მძლოლი გამოგზავნა. კვირის ბოლო იყო. ბავშვები შარლოტას ხმამ გამოაღვიდა. ქალი მკაცრად და გარკვევით წარმოთქვამდა სიტყვებს. როივენი უცბად გამოფხიზლდნენ და დაძაბულები გაიყურსნენ დახურულ კარს მიღმა. შარლოტა ლაპარაკობდა იმაზე, თუ როგორ უჭირდა კომუნალურ გადასახადებთან, კვების და კიდევ მრავალ მოულოდნელ ხარჯთან გამკლავება...

– ბლეიზმის ალიმენტი... – როგორც იქნა ხმა ამოილო კაცმა.

– ჰმმ... ალიმენტი! ეგ დიდი არაფერია! არც ჩემი უმუშევრობის დახმარებაა ბევრი, მაგრამ ჯერჯერობით სხვა რა გზა მაქვს? ბავშვები სწრაფად იზრდებიან. ტანსაცმელი მალე უპატარავდებათ. ფეხიც ეზრდებათ. ახლა სკოლის ნივთები? მარტო კალმები ორ კვირაში ერთხელ მაქვს საყიდელი...

მელანიმ და ლუიმ ერთმანეთს შეხედეს. მათი ამბების უცხო ადამიანთან გაზიარების შერცხვათ.

ლუიმ ისევ საწოლს მიაშურა, ლოგინში ჩაწვანდა და თავზე საპანი წაიფარა. მელანიმ კი კაბა გადაიცვა და კართან ჩაჯდა.

## ლუი და ბლეიზი

უცნაური ურთიერთობა ჩამოყალიბდა მამა-შვილს შორის. შარლოტა თავიდან დიდი წინააღმდეგი იყო შვილებს მამასთან რაიმე კონტაქტი ჰქონდათ. ერთხელ შენიშნა როგორ იდგა ქუჩაში, მათი აივნის მოპირდაპირე მხარეს ბლეიზი და გადაწყვეტილება შეცვალა. მანამდე, რამდენჯერმე ფოსტის ყუთში წერილებიც დახვდა სინაულით და ბოდიშებით სავსე. ასე იყო თუ ისე, ბოლოს ლუის ნება დართო მამასთან ტელეფონით ესაუბრა და თან ახლად გარჩეული მუსიკალური ნაწარმოებებიდან ნაწვეტები მოესმენინებინა. მათ დიალოგს თავიდან ბოლომდე შარლოტა აკონტროლებდა. მელანიც დადიოდა მუსიკაზე, მაგრამ ის არავის ახსენდებოდა. ბლეიზს რატომლაც მხოლოდ ლუისთან სურდა საუბარი. მოშორებით იჯდა და საერთო კომპოზიციიდან ამოვარდნილი, მხოლოდ მაყურებლის როლით კმაყოფილდებოდა. ლუი კი დიდი გატაცებით უკრავდა ფორტეპიანოზე და ხანდახან გა-





### მხატვარი სოფიო ჭელოძე

ბრწყინებულ, თუმცა ამავდროულად ოდნავ შეცდუნებულ მზერას მიაპყრობდა მისკენ მიშვერილ ტელეფონის ყურმილს, რომელიც ამაყად ეჭირა შარლოტას ხელში.

დიდხანს იყვნენ ასე ჩუმად, საკუთარ ამღვრეულ ფიქრებში გამოხვეულნი – ბავშვები ჯერ კიდევ ჩვეულ ბუდეს, ის კი გარეთ, სიბრძესა და ცივ ღამეს მიკედლებულნი...

### გავარგის სახლთან განვორება

ერთ დღეს შარლოტამ, ისევ იხმო თავისთან შვილები. ისევ ისე ჩაჯდა სავარძელში, როგორც მაშინ განქირნინების შესახებ რომ უნდა დალაპარაკებოდათ. თუმცა, მათ ახლა უკვე აღარ ჰქონდათ ძველებურად გულლია და გულითადი ურთიერთობა, მისი ადგილი გაუცხოებას და უნდობლობას დაეკავებინა. ლუის ერთი სული ჰქონდა, დედას სათქმელი ეთქვა და თავის ოთახში მაგიდაზე სანახევროდ აწყობილ გემის კონსტრუქციას მიბრუნებოდა. მელანის სახე აელანდა და ცუდის მოლოდინში გაირინდა.

– ბინა უნდა გავყიდოთ! – მტკიცე, სიბრაზეშერეული ხმით თქვა შარლოტამ და ამოსუნთქვას ერთგვარი გმინვაც ამოაყოლა.

მელანი შექანდა. იგრძნო როგორ დატრიალდა ოთახი. ფრჩხილები ხელისგულებს მთე-

ლი ძალით ჩაუჭირა და თვალები დახუჭა. ბნელდებოდა. შარლოტა ვერ ამჩნევდა მის ღაწვებზე ჩამოგორებულ ცხელ-ცხელ კურცხლებს, ლუი ამჩნევდა და ყურადღებას არ აქცევდა.

– რატომ? – ლუი ეცადა ხმა არ აკანკალებოდა.

– სახლს ვიყოფთ, ჩვენ და მამათქვენი!

ისევ დუმილი ჩამოვარდა. ბევრი რამის თქმა უნდოდა მელანის, შეკითხვების დასმა, მაგრამ როგორც სჩვეოდა, ცდილობდა ყველა კითხვისთვის თავადვე გაეცა პასუხი და შექმნილი სიტუაცია ბოლომდე აღექვა.

– სად ვიცხოვრებთ? – ისევ ლუიმ დასვა შეკითხვა და ჩაბნელებულ ფანჯარას მიუახლოვდა.

– გარეუბანში გადავალთ, სადმე.

– სკოლა?

– სკოლა ყველგანაა, მეც...

– მე ჩემი სკოლა მინდა, ძმაკაცები.

– მეც იქით ვიშოვი ახალ სამსახურს. – შარლოტამ დაწყებული წინადადება დაასრულა და აივანზე გავიდა.

დიდხანს იყვნენ ასე ჩუმად,

საკუთარ ამღვრეულ ფიქრებში გამოხვეულნი

– ბავშვები ჯერ კიდევ ჩვეულ ბუდეს, ის კი გარეთ, სიბრძესა და ცივ ღამეს მიკედლებულნი...

მელანის ყველაზე დიდი ტკივილი წინ ელოდა. გული ეგლიჯებოდა, როდესაც მაკლერს ბინის სანახავად კლიენტები მოჰყავდა. ვერ უძლებდა უცხოების სიარულს ოთახიდან-ოთახში, სადარბაზოში გამოდიოდა და შეშლილივით არბოდა და ჩარბოდა კიბეზე. ლუი გაღიზიანებული სახით, ზურგშექცევით ხვდებოდა მომსვლელებს და ხმას არ იღებდა.

ავეჯის ნახევარი დატოვეს, ფარდებიც, ჭალებიც... და ან უკვე სხვისი სახლიდან, ყველამ თავისი, საკუთარი მოგონებები წაილო თან.

### ახალი გარემო

უსახური და მოუვლელი აღმოჩნდა ახალი უბანი. აქ მხოლოდ ტრამვას და ავტობუსის გაჩერებების და ქუჩების სახელები თუ მოგხიბლავდათ.





— პოლ ელუარის, დანტეს, სერვანტესის, შექსპირის გაჩერებები... მარგარიტ იურსენარის, გრაფინა დე სეგურის სახელობის ქუჩები, ვიქტორ ჰიუგოს დასახლება და ა. შ.

სამ პატარა ოთახში გადანაწილდნენ. ყველაფერი თეთრად შეეღებათ, იატაკი კი ლინოლეუმით დაეფარათ. სააბაზანოში საკიდს რომ აჭედებდნენ, კედელი გაიხვრიტა და ლურსმის ბოლოები საძინებელ ოთახში აღმოჩნდა.

სახლის გარშემო მწვანე საფარი სიგარეტების ნამწვავებით და ათასგარი ნაგვით იყო დაბინძურებული. მეზობლების უმეტესობა არაფრანგი იყო. მელანიც და ლუიც ძალიან ცუდ ხასიათზე იყვნენ, შარლოტა სახლს ასუფთავებდა და თან მაჟლერზე ბრაზობდა...

### სკოლა

მელანის მთელი ღამე თვალი არ მოუხუჭავს. ღელავდა. ცდილობდა წარმოედგინა, როგორი მასწავლებელი დახვდებოდა ახალ სკოლაში, ბავშვები როგორები იქნებოდნენ, იმეგობრებდნენ მასთან თუ ცხვირს აუბზუებდნენ.

როგორც იქნა ადგომის დროც მოვიდა. მაღვიძარას ხმამ კიდევ უფრო ააფორიაქა. მალე გაემზადნენ და ყველანი ერთად გავიდნენ. სკოლა სახლთან ძალიან ახლოს იყო. შარლოტამ, ბავშვები სამასწავლებლოში შეიყვანა, მასწავლებელს ჩააბარა და თვითონ ისევ უკან, სახლში დაბრუნდა.

მელანიმ უხერხულობის დასაძლევად ძმას შეხედა, მან კი თვალი აარიდა და ფანჯრისკენ გაიხედა.

მალევე ორივენი ეზოში გაიყვანეს და დანარჩენ ბავშვებთან ერთად რიგში ჩააყენეს. მელანი უხერხულობისგან კანკალებდა. დერეფანში, კლასისკენ მიმავალს ფეხები უკან რჩებოდა. ლუიც დაძაბული გამოიყურებოდა, ყურები აწითლებოდა და პირიც მაგრად მოეკუმა.

### გლეიზი

ბლეიზმა, ბინის გაყიდვით მიღებული კუთვნილი თანხა ფასიან ქაღალდებში დააბანდა და ამგვარად, ისევ მშობლებთან განაგრძო ცხოვრება. პასკალს და ანეტს, სტრასბურგის ძეველ უბანში, ბალით შემორტყმული ერთსართულიანი სახლი ჰქონდათ. მოხუცებმა შვილს ყველაზე დიდი ოთახი გამოუყვეს, რომლის ყველა კუთხე-კუნძული ძალიან მალე აივსო სიგარეტის უნცველი კვამლით. პასკალიც ეწოდა, მაგრამ იშვიათად. განსაკუთრებით მაშინ თუ ვინმეზე ან რამეზე ბრაზობდა. დიდი ხნის

პაუზის შემდეგ პირველად მაშინ მოწია, ბლეიზი რომ მშობლიურ სახლს დაუბრუნდა. მამა-შვილი ერთმანეთს დიდად ვერ ეწყობოდა, ანიტასთვის კი ბლეიზი მუდმივად ის „ბიჭი“ იყო, მზრუნველობა და მოვლა რომ სჭირდებოდა. ცდილობდა საუზმე მანამდე მოემზადებინა, ვიდრე ახლადგაღვიძებული ბლეიზი სიგარეტს მოწევდა. როგორც წესი, ვერასოდეს ვერ ასწრებდა. თუ რეპეტიციაზე იყო წასასვლელი, დილით ადრე დგებოდა, მოემზადებოდა, თოხლო კვერცხით და ჩაით ისაუზმებდა. სულ ბოლოს ხავერდის ნაჭრით საკუთარი ხელით გაპრიალებულ, კარგად მოვლილ ფეხ-საცმელს ყუთიდან ამოიღებდა და განუმეორებელი რიტუალური მოძრაობებით განასკვავდა თასმებს. თუ არა და იწვა ლოგინში, უამრავ სიგარეტს ეწეოდა და მთელ დღეს, ოცნებასა და ტელევიზორის ყურებაში ატარებდა.

### ნათესაური ურთიერთობები

შარლოტა შვილებს იქამდე არ აძლევდა მამასთან და ბებია-პაპასთან წასვლის უფლებას, ვიდრე პასკალი ლოგინად არ ჩავარდა. მისი ავადმყოფობის ამბავი კი ასე დაიწყო: მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგში იშვიათად თოვდა, იმ წელს გვარიანად მოთოვა. აქა-იქ მოყინა კიდეც. ბავშვებსაც მეტი რა უნდოდათ და ციგების სრიალით კიდევ უფრო გადააპრიალეს არემარე.

იმ დილით, ბლეიზმა აღმოაჩინა, რომ სიგარეტი გასთავებოდა. თუმცა საშინლად დაეზარა თბილი ლოგინის მიტოვება, ამიტომაც მამას სთხოვა სახლთან ახლოს მდებარე პატარა მაღაზიაში წასულიყო და მისთვის ცოტაოდენი თუთუნი და ახალი გაზეთები შეეძინა. პასკალი, ისედაც ყოველ დილით გადიოდა სუფთა ჰაერზე სასეირნოდ და შვილისთვის უარი არ უთქვამს.

მისი წასვლიდან ათი წუთიც არ იყო გასული, რომ ეზოს ჭიშკარზე ბრახუნი და ბავშვების ერთმანეთში არეული ხმები მოისმა.

...ფეხმოტებილი პასკალი, სასწრაფო დახმარების მანქანით წაიყვანეს საავადმყოფოში. ვიდრე ფეხს თაბაშირში უსვამდნენ, დერეფნის კუთხეს მიყრდნობილი შეცბუნებული ბლეიზი, დიდი გულისყურით ახვევდა თუთუნს...

მელანი და ლუი, პაპის მოსანახულებლად ერთად წავიდნენ. თებერვლის ბოლო, სუსხიანი დღეები იდგა. პასკალი უკვე ერთი თვის ჩაწოლილი იყო. ბავშვებმა მორიდებით შეაბიჯეს სახლში. შუქი ჯერ არ აენთოთ. ბინდბუნდში კიდევ უფრო სევდიანად მოჩანდა ყველაფერი. კედლის კალენდარზე მხოლოდ ერთი ფურცელილა დარჩენილიყო.



– თქვენთან ისევ ნოელია? – უხერხულად ჩაილაპარაკა მელანიმ და პაპას შეჰლიმა.

– ჰო, ნოელია. თქვენ რომ მოხვედით, განა დღესასწაული არ არის? – პასკალმა ლიმილზე ლიმილითვე უპასუხა და შვილიშვილები გულში ჩაიკრა.

სანოლზე ჩამომჯდარნი მოეფერნენ პაპას. ბევრი ისაუბრეს. ძველი ამბები გაიხსენეს. ანეტმა იქვე, საწოლთან გაშალა პატარა სუფრა და მონატრებულ შვილიშვილებს ალუბლის მურაბის წვენით და კარტოფილის ღვეზელებით გაუმასპინძლდა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, უეცრად პასკალს აღფრთოვანებული ხმით რომ არ წამოეძახა: – ნახეთ, ფანჯარაში რამდენი ბეღურაა!..

ბავშვებმა სასწრაფოდ ფანჯრისკენ გაიხედეს, ახლოსაც მივიდნენ, მაგრამ იქ მხოლოდ სიცარიელე და ქარის ზუზუნი დახვდათ. პაპისკენ მოტრიალდნენ. პასკალი უწყვეტად ლაპარაკობდა:

– არა, არა, ხალხი ზის მანდ, ბეღურები გაფრინდნენ. თქვენ აქეთ წამოდით. მოერიდეთ!..

პაპის ჰალუცინაციებით და ბოდვებით დაბრეული მელანი და ლუი, ანეტმა მეორე ოთახში გაიყვანა. თვითონ კი პასკალთან დაბრუნდა და წამლები დაალევინა.

იმ ოთახში, ბლეიზი იწვა და გაზიეთს კითხულობდა. ბავშვებმა ერთმანეთს შეხედეს და სახლში დაბრუნება მოუნდათ.

...პასკალი მარტის ბოლოს გარდაიცვალა. მანამდე უფრო გაუძლიერდა ალცჰაიმერის დაავადება. თანდათანობით დაკარგა ლოგიკური აზროვნების და ცნობიერების უნარი. წანოლებიც გაუჩნდა და კიდევ უფრო გაწვალდა. ბოლო დროს ველარავის ცნობდა. მელანი სევდიანად უყურებდა მის გამხდარ თითზე წამოცმულ ალმასისთვლიან ანტიკვარულ ბეჭედს და საწოლის თავთან ჩამოკიდებულ გალაქულ, კარგად მოვლილ ბასტონს.

ყოფილი მამამთილის პატივსაცემად, მის ბოლო გზაზე გასაცილებლად შარლოტაც მოვ-

იდა. ბევრი საქმე მოაგვარა და სამძიმრებიც მიიღო.

გალანტურ პასკალს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა რძალთან. თავის დროზე, სწორედ მან აჩუქა საქორნინო ბეჭედი, რომელიც საგულდაგულოდ გადანახული ძველებური ოქროს მონეტისგან დაამზადებინა პარიზის ცნობილ იუველირს. რამდენჯერმე კინოთეატრ „odyssee“-შიც დაპატიჟა, რომანტიკული მელოდრამის სანახავად. შარლოტა პატივს სცემდა მამამთილს, ცნობისმოყვარე და მსუბუქი ხასიათის მქონე ანეტთან კი ვერ ააწყო ურთიერთობა. ხშირად იყო მასზე ნაწყენი.

ის დღეები თითქოს ჩამოთბა ბლეიზა და შარლოტას შორის. მელანის უხაროდა და გულის კანკალით შეხაროდა მშობლებს. ლუი უბნის ბიჭებთან ერთად დაპერიდა ალმა-დალმა.

პასკალის ცხედარს კრემაცია არ გაუკეთეს. მისი ანდერძის თანახმად, ჩვეულებრივად დაკრძალეს საგვარეულო სასაფლაოზე. პაპის დაკრძალვის დღეს მონათლეს მელანი. სევდის, სიხარულის და სიამაყის ნაზავით გულგავსებული იდგა და თავის გამოგონილ ლოცვას ჩურჩულებდა:

„უფალო, იესო ქრისტე, გთხოვ, კეთილი ადამიანები გამომიგზავნე... თუნდაც ერთი... მხოლოდ ერთი...“

იმ ღამით ყველანი ბებიის სახლში დარჩენ. დილაუთენია უბანში ხმაური ატყდა. როგორც მალევე გაირკვა ლუის და მის ამხანაგს, მისი მამინაცვლის ქურთუკიდან ფული მოეპარათ. შეშინებულმა ბიჭებმა მალევე დააბრუნეს ფეხებურთის ბურთში საგულდაგულოდ გადამალული კუპიურები, ბოდიშიც მოიხადეს, მაგრამ შარლოტას განრისხებას ვეღარაფერმა უშველა, მკაცრმა და შეუვალმა შვილები სასწრაფოდ, ცხვრებივით წაასხა სახლში. ბლეიზი დიდხანს იდგა აივანზე და ვიდრე არ მიიმანენ, ბოლომდე უყურებდა.

(გამრბელება იქნება)





# ნინო არსენაშვილი

მნერალი უნდა სიტყვასა სიზრდნით იმუშავებოდეს: კინგ საკუთრია, მხოლოდ იმპას, იმპას აკერდეს.

## ნინო ამილენაშვილი

ორკნიარებული

\* \* \*

თუ გსურს, რომ გენდონ, მიენდე შენაც,  
ძმიტი არიან ნოობა თა რწმინა.

\* \* \*

სათქმელი მსურს ამოვთქვა ისევ ორპნკარედებით, ასენია ალბათ წიგნი ლიტერატურით-ანიობრი.

፩፻፭፻

ჭვარტლი მოედო სარკმელს ამდენ სანთელთა  
ნთებით,  
ძველებურ სურნელს აკმევს ვაზზე ქალწულის  
თმები.

\* \* \*

გასაიუბილებელი  
არ აამოა არ ა წიტოვის წილი

\* \* \*

დაუსრულებლად ვინც მოთქვამს, ტირის,  
დაფიქტოს, რისთვის იჭოძა სტარი.

ნამსვლელი ნავიდა, დამრჩენი დარჩა,  
შემოდგომის თბილისმა გამალა ფარჩა

\* \* \*

რნმენა ნებაა უზენაესის,  
მისა წინ იმსახურება ბჭინი ჰაოისა

მუცულით ნაშობი ყველა კვდება ადრე თუ გვიან,  
რათან სიკონგლობის ამონურვას სიკვდილი ჰქია.

\* \* \*

სივრცემ დრო ვეღარ გაიზიარა,  
ორო საკუთრივია სიგრძე კი = არა!

აღმართულია მახვილი...  
არაია, არაია, არახოლი

\* \* \*

დაკანონული სულით, მიწის მავთულხლართებით,  
წევ აკომ დახვიცა საკი მიმდინარეობა!

\* \* \*

\* \* \*

მერცხალმა კულის მაკრატელით გადაჭრა ზეცა;  
და გულზე ზეცას მონაჭერი გადაუკიცა.

\* \* \*

სულხან-საბასთან ვსაუბრობდი, ორბელიანთან  
თა წომი ეკვითნია თავი ვითა უაგბ ენაცა.

## ძველი სახლში

დედაზარდალის ქსელით  
ამოვსებული კუთხე,  
მოგონებები მწველი, მოგონებები  
მწუთხე...



\* \* \*

სულის უდაბნოში ვეძებ ოაზისებს,  
კაქტუსის ეკლები მეგებება ისევ.

\* \* \*

ოცნებებში გაიხლართა დრო და  
მანძილი,  
რეალობა ველარ ფხიზლობს,  
არჩია ძილი.

\* \* \*

წვიმა ტალახად იქცა, კაცი ბალახად  
იქცა,  
რაღაცა ვერ აივსო, რაღაცა  
გადაიქცა...

\* \* \*

შემჭამა დარღმა აცრილთა თუ  
აუცრელების,  
ტყვეობაში ვარ დედამიწის  
ბიო-ველების.

15



## ნინო არსენიშვილი

\* \* \*

დროსა და სივრცეს ვერ მოვარგე ჩემი მანტია  
და ამ მანტის სამშვენისნიც დამიფანტია.

\* \* \*

ნამდვილ პოლიტიკოსს სჭირდება მწერალი,  
ნამდვილი მწერალი – უამთაალმწერელი.

\* \* \*

იკარუსივით მზისკენ ვილტვი, დაე დავიწვა  
და ჩემი ფერფლი მოეფინოს მტლად დედამიწას.

\* \* \*

გედის სიმღერაა თუა მიეთმოეთი,  
ყოველთვის მარტოა ნამდვილი პოეტი.

\* \* \*

ნაცრისფერ ზამთრის ნაცრისფერ ქუჩებს  
სველი თვალები და ოდნავ მოღებული გულმკერდი  
უჩანთ.

\* \* \*

ამა სოფლის ფანციფუნცი ფაციფუნცით მოვიშორე;  
სხვა ბარგი მაქვს შესაკვრელი, ვემზადები, მივალ შორეთს.

\* \* \*

ყველაფერი ხილული რომ უხილავით დაემყარა,  
ალბათ მიტომ გვესმის ციდან: – იდექ მტკიცედ! იყავ მყარად!

\* \* \*

მე ზეთისხილის რტოს მოგიტან, როგორც მშვიდობას  
და სიყვარულით დავამშვენებ მაგ შენს კიდობანს.

\* \* \*

**ბესიკ ხარანაულის პოემაზე „მიკარნახე ანგელინა“ მიწერილი**

მიკარნახე, ანგელინა, სიყვარულის რეცეპტი,  
მაპოვნინე მყუდრო ბინა, აქამდე რომ ვეძებდი.

ოლქა, №5, 2021





6060  
ძაგუპავვილი

ნინო ძამუკაშვილი

## არავის გაგა და ყამარი

ეძღვნება ყველა 1970-იანელს და ასევე ყველა  
Eleanor Rigby\*-ს

„There is nothing to writing. All you do is sit down at a typewriter and bleed“ - Ernest Hemingway\*\*

გაგა და ყამარი რამდენიმე წელი თავიანთი ცხოვრების დასაწყისში მშობლებს ეკუთვნონდნენ და მერე სულ ალარავის, თავიანთი თავების გარდა.

რა მნიშვნელობა აქვს, რა ერქვა დედას – დიდ-ქალაქელი ქალი ერქვა. იმ პატარა ქალაქში კი, სადაც ის გათხოვდა, მისნაირ ოდნავ ცხვირაბზუ-ებულ ქალებს „ფოე-ფოე“ ქალებს ეძახდნენ ადრე; გაპარანჭულ და ცოტა უკადრის ბუნებას გულისხ-მობდნენ.

— ცოლად არ გამომყები? მთელ ჩვენ უპანში ყველაზე დიდი სახლი მე მაქსა. კიბე შეგნიდან ადის, გარეთ გამოსვლა არ დაგჭირდება. თუ გამოხვალ, ეზოზე გამავალ აივანზე და, იქაც ულამაზესი პანორა- მა მთებისა გადაეგძლება თვალინინ, — სიტყვებს არჩე- ვდა ქალაქელ ქალოთან; „ხედს“ ისევ „პანორამა“ არჩია.

ოცდათ წელს მიტანებული კაცი დიდ-ქალაქელ ქალს ეძებდა და ადვილად მოიხიბლა, როცა ქალაქელ ნათესავთან მისულმა ნახა ის: ჩაის ფინჯანი ტურფად ეჭირა, ფერუმარილი ზომიერად ეცხო, სისხლივით წითელი ტუჩები და გიშრისფერი თვალები ჰქონდა. ქალიც – მართლა მოიხიბლა ამ სიტყვითაც და უფრო მეტად „დიდი სახლით“; დიდ-სახლიან კაცზე ოცნებობდა, რადგან „დიდი სახლის პატარა დიასახლისს\*\*\* მოსვენება დაეკარგა მისთვის. ილუზიებ-ოცნებებში ჩაკარგული ქალი დედოფალივით დარონინებდა ზემო უბნის ხელის-გულისოდენა იტალიურ ეზოზე გადმოკიდებულ საზიარო აივანზე.

მოხდა. თუმცა უცნაური წყვილი ჩანდა ზოგისთვის, ერთმანეთს კარგად გაუგეს. კაცი ქალს სთხოვდა, როცა შინა ხარ ტანთ ჭრელი ხალათი გეცებას და ხის რიკულებიან კიბეზეც მაღალი ქუსლებით იარეო. იმანაც იმ კიბეზე მრავალი დრამატული ჩამოსვლა-ჩამოგოგმანებით დაამახსოვრა კაცს თავი. პირველი წლების ქალის ახირება: სთხოვდა იმდენი ეშრომა კაცს, რომ ყოველ წელინადს მეორე სართულის მაღალ ფარჯვებზე ახალი თეთრი ქათქათა ფარდა-იალქნები აეფრიალებინა. ამოვარდებოდა თუ არა ქარი, ქალი ყველა კარ-ფანჯარას გააფრიალებდა. ჰაერის ნაკადი ფარდებს ხან გარეთ გასდევნიდა, ხან შიგნით შემოაფრიალებდა. თეთრი ფარდები იალქნებივით იბერებოდა და ქალსაც რაღაც ებერებოდა ყელში, როცა ქარი თმებს უწენავდა, გრძელ საყურეს კისერზე ახლიდა და ჭრელი ხალათის კალთებს უსნიდა...

კაცი დურგალი იყო და კარგი საქმეც იცოდა. ის ცნობილი კაკლის ხის კიბეც მისი ხელობა იყო. მას შემდეგ რანაირი კიბე თუ რიკულები არ გა- მოთავა, მაგრამ ასეთი ნაკითობა აღარ გამოიყიდა.

პირველი გოგო გამოდა. ქალმა ემარი დაითანხმა, თუ გოგო გვეყოლება, ყამარი იქნებაო. კაცი მიჩვეული იყო ქალის უცნაურ და იძვიათ სურვილებს, მაგრამ მაინც ყურში არ მოუვიდა ეს სახელი. ქალმა კი ყმანვილქალობაში წაკითხული „ამირანიანი“ ასეთი გადაწყვეტილებით უკვდავყო. ყამარი იქნებოდა ერთადერთი იმ არე-მარეში და ყველასგან გამორჩეული.

მეორე ვაჟი იყო. ახლა კაცმა აინიუა, მამაჩე-  
მის სახელი გედევანი უნდა დავარქეათო. ქალს ეს  
სახელი ძალიანაც არ ეჭაშნივა და: ყამარს არ უხდე-  
ბათ; ყამარს არ ერითმებათ და ყველა სასაცილოდ  
აიგდებს, რადგან დიდი კაცის სახელიაო. ბოლოს

\*Eleanor Rigby („ბითლზის“ ამავე სახელწოდების სიმღერის პერსონაჟი);

### \*\*\* პეტ ლონდონის რომანი

გადაწყვიტეს სამი წლის ყამარისთვის ეკითხათ: „გინდა შენს ძმას გედევანი ერქვას?“ „გაგა მინდა“, თქვა გოგომ და მშობლებიც ცოტაოდენი ფიქრის შემდეგ დაყალბდნენ.

წლები გადიოდა. კაცი ხეზე მუშაობდა და ხშირად იყო საკუთარი ნაკეთობით ტკბობის ანუ ბედნიერების წუთები. ქალი ოჯახში ფუსფუსებდა. მაღალი ქუსლები ცოტა დაედაბლებინა, მაგრამ ქარების დევნა ძველებურად გრძელდებოდა. ამოვარდებოდა თუ არა ქარი, ქალი ყამარსა და გაგას აკვინში თუ ჭოჭინაში თვალით საიმედოდ დააფიქსირებდა და აბაკუნდებოდა ზევით. იქიდან აფორაჯებული და იდუმალი ღიმილით, თვალთა უცნაური ელვარებით, თმის და ხალათის კალთის სწორებით ჩამოვიდოდა, თითქოს საიდუმლო პატარის დაბრუნდა. პატარა ნათურებს დატოვებდა რამდენიმე ადგილას და საოცრად აღელვებდა იმაზე ფიქრი, რომ მთელი მათი უშველებელი სახლი აფრიალებული თეთრი ფარდებითა და აქა-იქ გაბნეული შუქის ციალით ოკეანეში მოცურავე გემს წააგავდა. ზოგჯერ შინ გვიან მომავალი კაცი შორიდანვე თვალს მოკრავდა ფაფარაშლილ სახლს და გაიღიმებდა, არც ცოლის ახირება აბრაზებდა და არც მეზობლების ფარული თუ აშკარა ქილიკი აღიზიანებდა. შემოდგომის ნისლიან მწუხში განსაკუთრებით წარმტაცი იყო ხოლმე მათი სახლი: ხშირად მხოლოდ სახლი ხედავდა, როგორ უცქერდნენ მას კაცი გარედან და ქალი ეზოდან.

სახლი შემაღლებული გორის თავში იდგა, თავისუფლად. ხშირმა ქარებმა და წვიმებმა ხე-მასალა დაშამრა. დაჯირჯვებული კარ-ფანჯარა კი აღარც კარგად იყტებოდა და აღარც იღებოდა. წლები გადიოდა. კაცი ისევ სხვათა შეკვეთებს იყო გადაყოლილი და ხშირად თავიც აღარ ჰქონდა მეორე სართულზე ასულიყო და ენახა რა სჭირდა იქაურობას. კაცის მასიური ხის გალაქული კიბე ლამის დეკორაციად და ავეჯად იქცა, რადგან მეორე სართულზე თითქმის აღარ ცხოვრობდნენ. ადრე თუ გაგა და ყამარი აირბენდნენ და ზედა ოთახებში დაჭრერაობა-დამალაობას თამაშობდნენ, ახლა უფრო ხშირად კიბეზე მსხდომთ დაინახავდით; თითოეულს თავისი საფეხურები ჰქონდა მისაკუთრებული და ხშირად იქვე ამზადებდნენ გაკვეთილებს. თანაც ზამთრობით კიბის მაღალ საფეხურებზე უფრო თბილოდა ხოლმე. შემოვიდოდა საღამოს კაცი ოჯახში და პირველ რიგში კიბეს ახედ-დახედავდა და იქ დაბუდებულ შვილებს შეავლებდა თვალს. „მანდ აპირებთ არაა გამობამირებას?“ – ეტყოდა ხოლმე ღიმილით. გაგა და ყამარიც ხშირად ხუმრობდნენ, თითქმის მთელი ბავშვობა ხომ ამ კაცლის ხის კიბეზე გავატარეთ და ფეხიც ალბათ ამ კიბეზე ავიდგითო.



## ნინო ქამუკაშვილი

ჩაკეტილი ოჯახი იყო. მხლოდ ირიოდე თჯახთან მეზობლობდა ქალი და ესეც ხელს უწყობდა ათას მითქმა-მოთქმას. გამვლელ-გამოვლელი სახლის გზიპირა განათებულ ოთახს ვიწრო ზოლებად თუ ხედავდა მუქი მძიმე ბროკადის ჭრილებში.

გაგას და ყამარს ბევრი მეგობრები არ ჰყოლიათ. ერთი-ორი მასნავლებელი და ამაზე ცოტა მეტი თანატოლი თუ წუხდებოდა ამ ცოტათი ჩაკეტილი ბავშვების აღმოსაჩენად. „უცნაური ბავშვები“, „აი ის უცნაური და-ძმა“ იყვნენ

დანარჩენებისთვის. უნდოდა, მაშ არ უნდოდა ყამარს ვინმეს თუნდაც მისი სახელი მოსწონებოდა. მერე, რაც დრო გადიოდა, აღარც ეუბნებოდა მისი სახელით გაკვირვებულთ, აბა ამირანის ზღაპარი ნაიკითხეთო. ზოგი ეუბნებოდა, ეს რანაირი სახელი გქვია, მოფერებითაც ვერ დაგიძახებთ ვერაფერსო. აბა ვინ დაუძახებდა „ყამრის“, „ყამრიკოს“ ან „ყამრიას“. არც უნდოდა, რადგან ძალიან მოსწონდა უბრალოდ „ყამარ!“ „ყამარი“, როგორც შინ ეძახდნენ ხოლმე.

გარდატეხის ასაკს რომ მიაღწიეს, მათმა სახლმა და მათმა ქვეყანამ ერთად დაიწყეს რლვევა. კაცს ბევრი შეკვეთა აღარ ჰქონდა და უმუშევრობამ ნაადრევად დააბერა და დააჩიავა. არც სიგარეტმა და არც სასმელმა, მაგრამ რაღაც უფრო დიდმა და ბევრისთვის აუსხნელმა რამ ბოლო მოუღო. ამის შემდეგ ქალმა ბევრი ჩვევა მიატოვა და ბევრ რამეზე ხელი ჩაიქნა. ქალაქელი ნათესავებიც იშვიათად აკითხავდნენ და ესენიც კაცის გარეშე ვეღარ მიდიოდნენ ქველებურად მოსაკითხით. სახლი თავზე ექცეოდათ. ქალს აღარც სჭირდებოდა ქარში ზევით ასვლა. სუსტი ქარიც კი აფრიალებდა კარ-ფანჯარას. აქა-იქ გაბნეული სანათურებიც აღარ ციალებდა და მთელი ზედა სართული გაძარცულ, მიტოვებულ ხომალდს წააგავდა: ჩამოდლავებული შემორჩენილი ფარდები საცოდავი სანახავი იყო. სასწაულად გადამრჩენილი მინები ქარში რომ აზრიალდებოდნენ, კარ-ფანჯარის რახუნიც ბანს ეუბნებოდა.

როცა ძლიერმა წვიმებმა კიბიდან ჩამოსკლა დაიწყო, ერთადერთი რაც მოახერხეს ის იყო, რომ კიბის მეორე სართულზე ასასვლელი ჩაკეტის, დაგმანეს. ამიტომ, როდესაც პირველი ბზარი გაუჩნდა სახურავს და პირველი კავიც ჩამოტყდა, საშინელი ხმაურით თავზარდაცემულები გარეთ ვერ გავიდნენ იმ ღამეს. მეორე დილით, ეს ყველაფერი ეზოდან დაინახეს, ის საშინელი ქარიანი და ნარლვნის შემდგომი დღე რომ გათენდა.

უჭირდათ. ძალიან გაუჭირდათ. რა ისწავლეს შვილებმა, რა შეძლეს იმ გაჭირვების წლებში ეს მხოლოდ თავად იცოდნენ. დასახლისი ხან ნამცხვრებს აცხობდა, ხან საკერავის შეკვეთებს იღებდა.





ყამარი ცხოპაში ეხმარებოდა, გაგა ოსტატებთან და-მოწაფებას ცდილობდა. ბიჭი მონდომებული იყო და მძიმე საქმესაც არ თაკილობდა. სამივე წვალობდა. რასაც შოულობდნენ, პურის ფულად ძლიერ ყოფილი იყო და მოწიდათ. ზედა სართულის მისახედად ვერ იცლიდნენ. მხოლოდ დიდ-ქალაქელი ქალი ვერ თმობდა ზედა „აპარტამენტებს“. იშვიათად, მაგრამ მაინც, როცა მარტო რჩებოდა, მაღლა ავიდოდა და ოთახებში დაფიქრებული, ნელა დადიოდა. უმჯაცრესი ზამთრების დროს შვილები ეჭვებს ახშობდნენ და ოლონდ გამთბარიყვნენ, აღარ კითხულობდნენ საიდან გაჩნდა ხე-მასალათ. თუმცა ხანდახან, დილაადრიან ზემოდან ჩამოსული ბრახა-ბრუხის ხმები ალვიძებდათ. რამდენიმე წლის მერე იყო, რომ როცა შიდა ეზოდან აივანს ახედეს, დაინახეს, რომ აივნის ჩინჩხილა დარჩენილიყო.

ზუსტად არავინ იცოდა, ყამარის გარდა, რა მოუკიდა დედას. ზედა სართულზელა პაოვა, სადაც ქალი გონდაკარგული იწვა საშინელ სიცივეში. ქარიც იყო იმ დღეს და თოვლის ფიფქებიც ცვიდოდა ციდან. ჭერში ალაგ-ალაგ თეთრი ცის ნაგლეჯები მოჩანდა. ყველა ფანჯარა ლია იყო, რადგან უპრალოდ აღარ იკეტებოდა. იატაკზე პარკეტი და ფიცრები თითქმის აღარ შემორჩენილიყო. იქვე ცულიც ეგდო და ნაჯახიც. მთლად გაყინული დედა როგორ ჩამოიყვნა ყამარმა დაბლა სართულზე ამაზე გაგასთანაც კი არ უსაუბრია. სასწრავოს გამოძახება მხოლოდ გვიან მოახერხა, როცა დედა დაბლა დააწვინა. დიაგნოზი იყო მწვავე ინსულტი. ქალი მდგომარეობიდან ველარ გამოვიდა და ერთ კვირაში დედაც დაკარგეს.

ჰომი, კიდევ უფრო გაუჭირდათ. გაგა თავს არ ზოგავდა, ბევრს მუშაობდა, მაგრამ ხან უმართლებდა, ხან არა. ზოგჯერ ორიოდე დღითაც გადაიკარგებოდა ხოლმე, ნასვამიც მოდიოდა და უცხო სურნელსაც შემოიტანდა შინ. ყამარი ბურის კატის ალლოთი ყველა ახალ სუნსა თუ სურნელს მაშინვე იყნოსავდა. გაგა დოდი იყო უკვე და დამოუკიდებელი კაცის ცხოვრებით ცხოვრობდა ახლა, მშობლების ზრუნვისგან თავისუფალი და მათ მიერ ასე მიტოვებული.

გაგასგნ განსხვავებით ყამარს ლოგინს არავინ უთბობდა, არავინ ანუგეშებდა. ერთი-ორი კი არა და, მართლა ორი ადამიანი კითხულობდა ხოლმე: მეზობელი ლალიკო და მეზობელი ნელიკო. სწორედ ამ უკანასკერლმა წაიყვანა და თავის დამხმარედ, რესტორნის სასადილოში დააწყებინა მუშაობა. ორი თვე მაინც ფიქრობდა ყამარი, ჰომი ეთქვა თუ უარი. იმ ლამეს, როცა სახურავის კიდევ ერთი კავი ჩამონვა წარმოუდგენელად საშინელი ბრახუნით თითქოს ზუსტად მისი სანოლის თავზე, აკანკალებულმა ყამარმა გადაწყვიტა, რომ მუშაობას იწყებდა.

იმ დილით დამფრთხალი გავიდა გარეთ და იგრძნო, როგორ დასწვა მზემ თვალები. მერე დაინწყო ერთფეროვანი დეკადა: რესტორანში ქანცის

განყვეტამდე მუშაობა, მერე შინ ფუსტუსი და გა-გას ლოდინი. მერე ლოდინის თავიც აღარ ჰქონდა ხოლმე. შეიცვალა. გული გაიქვავა. მეტად აღარ აღიზიანებდა ზოგიერთი ხეპრეს უშნო ხუმრობა და შენიშვნა. აღშფოთდებოდა, მაგრამ მაინც არ ეტყოდა ზოგ-ზოგებს დაუდევარი, ბინძური და უპასუხ-ისმგებლო ხარო. ცდილობდა მაღლე დაევინებინა ყველაფერი. თავად აჩრდილივით იყო, მაღალი, ხმელი და თვალებში მუდამ თმებჩამოფხატული. აღ-მოაჩინა, რომ სამზარეულოს საქმე მართლა ემარ-ჯვებოდა და უყვარდა. მისი გაკეთებული საჭმელი საიმუშო იყო, გემრიელად და ზომიერად შეზავებული და სუფთად გაკეთებული. მაინც ამრეზით უყურებდნენ; მისი ძველი და ათასჯერ გარეცხილი ტანსაცმელი სუფთას არ ჰგავდა, ზედმეტად ცხი-მიანი თმა კი – დაბანილს. თუმცა ყამარი იყო ის ერთადერთი, როგორც არასოდეს ავიწყდებოდა თავის დაფარვა სამზარეულოში.

მიუხედავად იმისა, რომ კერძებს შეუქებდნენ ხოლმე, მაინც გრძნობდა, მისი სხვა არაფერი მოსწონდათ. ყველაზე ნაკლებად კი მისი ლამაზი სახელი... ჯიბრიანი გახდა. თუ როგორმე ახალ რამეს იყიდიდა, სამსახურში მაინც არ ჩაიცვამდა. ვინ მოსწონდა, ვისზე ფიქრობდა, ეს არავინ იცოდა. გაგა დარდობდა დაზე ისე, როგორც დარდობენ ხოლმე მუდამ მოუცლელი, ხან ერთ და ხან მეორე ქალს ატორლიალებული ძმები. რასაც ავალებდა, გვიან მაგრამ მაინც მოჰქონდა და ნასვამი და გადაქანცულიც კი, ცდილობდა დისთვის არ დაეყვირა, მოთმინებიდან არ გამოეყვანა მისი ახლად შექ-ნილ ჯიბრიან ხასიათს. ხშირად იყო, რომ მოუტანდა საძმე ნაჩქარევად, ალალბედზე ნაყიდ ტებილულსა თუ უხარისხო ძეხვს. ყამარი გამოხედავდა ჩამოშლილი თმის მიღმა და გაილიმებდა: „მაღლე კიდევ ერთი კბილი შეენირება ამ შენ მოტანილ კანფეტებს“. გულთან რაღაც გაუელვებდა გაგას ამ უცნაური და მწარე ლიმილის დანახვისას. მაღლევე გარბოდა ხოლმე შინიდან.

ასე გავიდა უფერული და ულიმლამო ათი წელი. ვითომ საჭმელიც ჰქონდათ, ახალი ტანსაცმელიც ეცვათ ხანდახან, მაგრამ ეკლდათ მთავარი. ერთიანი ოჯახის სითბო. გაგა ცოლის მოყვანას არ ჩქარობდა და რომ გეკითხათ, მრავალი მიზეზი გააჩნდა საამისოდ. ყამარი გულს მხოლოდ მეზობელ ლალიკოს გადაუშლიდა და ისიც, მისი ერთადერთი მეგობარი სადლაც სოფელში გათხოვდა. სამსახურში, შესვენებისას სიგარეტის მაგარი ნაფაზის დარტყმისას თვალი გაუშტერდებოდა და მაინც ბევრს ვერაფერს წაიკითხავდით იმ თვალებში; თმები ჰქონდა ხშირად ფარდასავით ჩამოფარებული.

ეს ათი წელიც ხომ გავიდა და ერთხელ მათი პატარა რესტორნის მუდმივი კლიენტი უცხო სტუმრის თანხლებით შემოვიდა. იგემა რა ჩვეულებრივი სადილი, სტუმარმა დესერტი მოიკითხა. ეტყობა, მენიუში არ ჩაეხედა. ყველამ შეატყო სამზარეულოში შემოსულ რეგულარულ კლიენტს, როგორ უნდოდა



მეგობრისთვის პატივისცემა. მოულოდნელად ყამარმა თქვა, მაქსიმუმ ნახევარ საათში კარგი დესერტი იქნება. მოკრიბა გოგომ რძე, შაქარი, კვერცხი, ქიშმიში და ვანილი. კიდევ სამი სახეობა ხილი მოატანინა და როგორც სტუმარმა თქვა, საოცარი დესერტი მოამზადა. ეს დიდ-ქალაქიდან ახლად გადმოყვანილი სტუმარი ამის შემდეგ თითქმის ყოველდღე მოდიოდა და ყოველთვის ყამარის დესერტსაც უკვეთავდა. რამდენჯერმე სხვა კოლეგებიც და ცოლ-შვილიც მოიყვანა. ერთ დღეს პირდაპირ შევიდა სამზარეულოში და ყამარს ყველას თანდასწრებით უთხრა: „ერთ კაფეში, ქალაქის ცენტრში, შენისთანა ხელოვანი სჭირდებათ. უფრო მეტი ხელფასიც გექნება და უფრო მეტი ადამიანიც იხილავს შენს შედევრებს. პასუხი ხვალ მითხარი“. ყამარმა იქვე უთხრა თანხმობა. გული უგრძნობდა თითქოს, რომ ერთ დღეს ასე მოხდებოდა და ნაფიქრიც ჰქონდა ამაზე. ნელთბილად გამოემშვიდობნენ ერთმანეთს ყამარი და რესტორნის თანამშრომლები, თითქოს ეშინოდათ რაიმე თბილი სიტყვა არ დასცდენოდათ. ერთი ნელიკო იყო, რომ უკანა გზაზე ცრემლმორეულმა ჩაიკრა გულში და გზა დაულოცა. მეორე დღეს თავად ჩინოვნიერმა მიიყვანა ახალ ადგილას. ეს იყო პატარა მოდური კაფე, ასევე მოდური პარფიუმერიის მაღაზიის გვერდით. ორივე ადგილას ძალზედ გაპარანჭული გოგოები დახვდნენ. ყამარი ამისთვისაც მზად იყო. „მენიუში ახალი დესერტები შეიტანეთ გოგოები და ნახავთ, რამდენი ხალხი მოგანყდებათ!“ – შინაურულად უთხრა გოგოებს ყამარის მფარველმა. „ჩვენ ისედაც არ გვაკლია მომსვლელები“ მზერით მთავარმა გოგომ ყამარი სამზარეულოში წაიყვანა.

მაშინ აიღო ყამარმა დედისეული „პიროგების ბლოკნოტი“ და ამონერა ოცამდე რეცეპტი, რაც ყველაზე ორიგინალურად და მიმზიდველად მოეჩვენა. მეოცნებე რომ ყოფილიყო, შორეული, გალანტური სამყაროები გაცოცხლდებოდნენ მის თვალწინ: გახამებული ტილოს მოქარეული სუფრები, ნატიფი ბროლის და ფაიფურის წეარუნი, ეგზომ მშვიდი და ამავდროულად ემოციური დახვენილი საუბრები. ასე გაჩნდა ზემო უბის აიგანზე გაზიარებული, დედის ბებიების ყმანვილქალობისდროინდელი, ახალ-გაზრდული ხელით ჩაგვირისტებული რეცეპტები მოდური კაფის მენიუში: ბელგიური მაქანი, ბრიუსელური ლიმონით, პროვანსალური ფორთოხლით,



### შხატვარი სოფიო ჭელიძე

ძველი ვენერი თხილით, ვარშავული უოლოთი, ვენეციური ტირამისუ, აგსტრიული შტრუდელი, პრაღული შოკოლადით, ფრინგული ჰაეროვანი ვანილით, პეტერბურგული ვაშლითა და დარიჩინით, კრაკოვული მოცხარითა და ალუბლით, ბერძნული კაკლით და კივით.

არც ამათ მიიღეს ყამარი. ერთმანეთთან კარგი გოგოები იყვნენ ეს გაპრანჭული არსებები, მაგრამ „უჟ, კა ერთი რაა!“ და „შენი ჭირიმე, რაა!“ დამოკიდებულებით და მუდმივი დაკავებულობით ამ ერთი „უცნაური“ გოგოსთვის ხუთი წუთიც ვერ გამოენახათ, მასთან დასაჯდომად და სასაუბროდ. თავად თუ თავისუფალი წუთი ჰქონდა, უკან ეზოში გადიოდა და ეწეოდა. იმ პერიოდში ყველაზე მეტს ეწეოდა. მისი დესერტები ძალიან მოსწონდათ და მალე მართლა ვერ ნახავდით თავისუფალ ადგილს მათ კაფეში. უხაროდა ყამარს, როგორ არ უხაროდა, მაგრამ დარდანი იყო. ძმა არეულ ცხოვრებას ეწეოდა, თან თავდაუზოგავად ბევრს მუშაობდა. სახლიც ეფიქრებოდა. ძლიერი წვიმების დროს ან მაშინ როცა უხვი თოვლი დნობას იწყებდა, უკვე პირველ





სართულზე ჩამოსდიოდათ წყალი. მალე ზედა სართულის დარღვეულმა კედლებმა ნგრევა დაიწყო.

ჩინოვნიკი დახმარა. როცა გაიგო მათი პრობლემა, სპეციალურ ჯგუფს მათი სახლის მდგომარეობა შეაფასებინა. დასკვნა სავალალო აღმოჩნდა. მთავრობამ და-ძმას დაუყოვნებლივ სთხოვა სახლის მიტოვება და პატარა ბინა დაუქირავა სულ სხვა უბანში. ყველაზე საჭირო ნივთები შეერეს და უქმნდ აიბარგნენ. ყინავდა. კარი დიდხანს იყო ღია. ზამთრის კაშკაშა მზით განათებული, გაპრიალებული კაკლის ხის კიბე ყველაზე ცოცხალი და თბილი ადგილი იყო მთელ სახლში.

ახალ სახლსაც მიერვივნენ. თითქმის მთელი დღეები გასულები იყვნენ. იღლებოდნენ. ყამარი ყველდე თორმეტის მერე იწყებდა მუშაობას, გვიანობამდე. დილით ადგომა უჭირდა. თუ ცოტა დრო ჰქონდა, ისევ ეძინა. სახლიც ისევე ენატრებოდა, როგორც მშობლები და ადრინდელი დაცული, უფრო მშვიდი ცხოვრება. ბინის ქირას მთავრობა იხდიდა. ამ უბანში ახალი ნელიკო და ლალიკო ვერ გამოუჩნდნენ. ან როდის? ძმას მოჰყავდა ხოლმე ძველი და ხანაც ახალი მეგობრები. თვითონ შლიდნენ სუფრას, თვითონვე ალაგებდნენ. ყამარი თუ შინ იყო, თავის ოთახიდან არც გამოდიოდა. ეძინა.

აღარ ახსოვთ, რამდენი ნელი გაატარეს იმ სახლში. ყამარი ხედავდა, რომ ქვეყანაში ბევრი ცვლილება ხდებოდა. კაფეშიც თითქოს უფრო ნდობით უყურებდნენ. ცხოვრება, რა თქმა უნდა, თავისი გზით მიდიოდა. ის საღამოც ჩვეულებრივი ჩანდა, როცა გაგა მის ოთახში შემოვიდა და უთხრა, რომ ორ დღეში ზღვაზე მივდივართ, სამსახურიდან გაეთავისულეთ. ხელში პატარა ცელოფინის პარკი ეჭირა. იმდენი ფული იყო იქ, რასაც ყამარი სამ თვეში იღებდა კაფეში. ზღვაზე წასასვლელად ვაგროვებდიო. გაგა ბეჭინერ სიმსუბუქეს აეტანა: და აქმდე უნახავი მოვლენის სანახავად მიყავდა. იმ ღამეს ყამარს არ ეძინა.

ერთ დღეში შეიძინა საჭირო ნივთები. ორი სარაფანი ნელა და სიამოვნებით შეარჩია. რა მნიშვნელობა აქვს ზოლები ეხატა ზედ, ყვავილები თუ ფოთლები. ორივე უხდებოდა.

ის ნათელი, სხვებზე უფრო მეტი იმედებით სავსე ზაფხული. პირველად ასე ახლოს ნანახი წყლის უზარმაზარი ქამელეონი სტიქია. ზღვამ უსაზღვრო სიმშვიდე მოჰკვარა და დახემარა ყველა სამზარეულოს უსიამოვნო სუნის და ყველა უსიამოვნო მზერის ნაშლა-ჩამორცხვაში.

ახალი ენერგიით დაბრუნდნენ უკან. გაგას უხაროდა, რომ უფროს დას მთელი დღეები გაღიმებულს და ბედნიერს ხედავდა. ყამარი კი – სრულიად შეყვარებული ერთ მყუდრო ზღვისპირა კაფეში, ოცნებობდა ოდესმე მსგავსი თავის ქალაქშიც გაეხსნა, სადაც მხოლოდ მისი დამზადებული ტებილეულობა დახვდებოდა მომსვლელთ. მყუდრო, თბილი, კარგად განათებული, ქათქათა ადგილი უნდოდა,

ძალიან საკუთარი ადგილი, სადაც ამრეზით არავინ შეხედავდა. ვერც ხედებოდა, რომ მანამდეც და მას შემდეგაც ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე შეუძლებელი ოცნება უმეტესობა ადამიანებისთვის.

ნამზეური ლამაზი მხრები ბევრის მეხსიერებაში მხოლოდ ერთხელ, იმ გვიანი სექტემბრის დღეს გამოპრნენდა. ბევრი იარა და-ძმამ. კვირა დღე იყო და ხალხი მრავლად იყო გამოშლილი ქალაქის ბაზარში. ზღვისპირა გულგახსნილი ქალაქიდან ახლად დაბრუნებულმა ყამარმა პირველად შეძლო ალალი ღმილი შეეხვედრებინა ცნობისმოყვარე უცხო თვალებისთვის. ბევრისგან პასუხად ისევ ღმილი მიიღო და ყამარს ეგონა, რომ სრულიად ახალი ცხოვრება იწყებოდა მათვის. დატვირთულები დადიოდნენ ბაზარში. ცნობისმოყვარენი კი ბევრ კითხვას შეეცყრი ერთდროულად. იშვიათი იყო ბევრისთვის და-ძმის ერთად ხილვა. მაგრამ რა იცის ბევრმა? მხოლოდ ორმა იცოდა, ბიჭის მეგობრებმა, რომ იმ დღეს გაგას 33 წელი შეუსრულდა და ამას აღნიშნავდნენ.

ყველა ამჩნევდა ცვლილებას ყამარს. უფრო გულგახსნილი და ღმილიანი გახდა. მის ყურებში ზღვა ხმაურობდა თითქოს, ფეხებზე მარილიანი ქაფიანი ტალღები ეხლებოდა და თვალებს მზის სხივის ბოლო გაელვება სტრიდა. გამოფხილებული საქმეს უბრუნდებოდა და თავდაუზოგავი შრომით ყოველდღე უბრუნდებოდა თავის ოცნებას.

ერთ საღამოს ყველა ეს ოცნება ერთად გაქრა და ყამარის თავზე თითქოს ათი ჭერი ერთდროულად ჩამოიქცა. კარი კი არ გაიღო, გაფრიალდა და მთლად სისხლში მოსვრილი გაგა შემოიტანეს. ქორნილში წასული გაგა... საგანგებოდ გამოწყობილი გაგა... ღამაზი წვერი სისხლს შეეღება... ერთი სიტყვისთვის ასე დასაჯეს... გარეწრის დანა სამჯერ დატვირალდა მის სხეულში... კითხვები, სიტყვები, კითხები, სიტყვები და არანაირი პასუხი... არანაირი ნუგეში და ამ კოშმარიდან გამოფხილება...

**efinitely\*\*\*\***, იმ დღეს კონკურსი რომ ყოფილი ყო, ის ახალგაზრდა ქალი ყველაზე გამომწვევი მაკაუჭის მფლობელის სტატუსს მოიპოვებდა. რაღაც ისტერიული იყო, როგორც მის მაკაუჭი, ასევე მის ექსპანსიურ, სამ მეტრზე გაქცეულ საუბარში. აქაურ ნათესავს ვიღაც მუსკულებიან ტიპზე უყვებოდა. თითქოს ამით ეპრძოდა ამ უბადრუკობას და უბედურებას; თითქოს იმისთვის ჩამოსულიყო დიდ-ქალაქიდან, რომ მოეშთო ეს საშინელი დღე და რაც შეიძლება მალე უკან გაქცეულიყო, და არა იმისთვის, რომ ყამარისათვის თანაელმო.

იმ სევდიან და ცრიატ დღეებში, სამიმრის და მერე გასვენების დროსაც, სამი ფიგურა იდგა უცვლელად და ერთგულად მათი დროებითი სახლის წინ. სამი დურგალი. გაგას პირველი მეგობარი, მეორე მეგობარი და პირველი და ერთადერთი გულშემატკივარი მეზობელი. „ხედავ, დღესაც არ გამოჩნდა




\*\*\*\*efinitely\* (ინგლ. უდავოდ, ჭეშმარიტად).

ის შენი ძმაკაცი, ვის არ უყიდია სახლი?“ – უთხრა პირველმა მეორეს. „შენი ძმაკაცი რატოლა არ მოვიდა, მერე ვერ გაიფორმებდა იმ მანქანას?“ მესამე ჩუმად იყო. ხედავდა, რომ მისი კარის მეზობელი ისევ მოღალატე ცოლთან არჩევდა საქმეს.

გაყინული და გათოშილი ყამარი უკვე მერამდენე დღეა ვერაფერს გრძნობდა. აქეთ ლალიკო ეჯდა, იქით ნელიკო. ყველა ახალი და ძველი თანამშრომელი მოვიდა. ვერც ერთი კონვერტის ჩადება იგრძნო ჯიბეში და ვერც მეორის. ჩინოვნიკიც მოვიდა, ყვავილებით. ყამარი საკუთარ ხელებს დაჰყურებდა. თუ თავს ასწევდა, ფართოდ გაღებულ თვალებში ტკივილზე კიდევ უფრო მეტად ენერა კითხვა „რატომ?“ თვალები დაკრძალვის დღეს კიდევ ერთხელ გაუფართოვდა, როცა ყური მოპერა: ამათი სახლის მეორე სართული წუხელ თითქმის ბოლომდე ჩამოინგრა და პოლიციამ ქუჩის მხარეს ტროტუარი ყვითელი ლენტით შემოღობაო.

ყამარი თავს ხრის და თავისთვის ბუტბუტებს, ჩურჩულებს. ხანდახან ნელიკოს ყურამდე აღწევს: „ბრიუსელური ლიმონით, პროვანსალური... კივით... არა, არა ფორთოხლით, პრალული შოკოლადით, ფრანგული ჰაეროკანი... რითი? რითი??? მერე მოდის კრაკოვული მოცხარითა და ალუბლით, ბერძნული კაქლით და კივით...“

...თუ იქით მოხვდები, ახლაც ისე დგას ის სახლი. ყვითელ ლენტას დრო და დრო ანახლებენ. აღარც გაგა და აღარც ყამარი მეტად აღარ ცხოვრობენ იქ. მეორე სართული აღარ არსებობს. სახლში მოელი მხოლოდ ის მშენებერი ხის კბება, ერთ დროს პირველ სართულს მეორესთან რომ აკავშირებდა და ახლა მისი ზედა რიკულებილაა აღმართული ცისკენ. ზამთრის იმ დღესაც კიბემ დიდ-ქალაქელი ქალი ალბათ პირდაპირ სამოთხეში აიყვანა.





8030  
ԲՈՅՑՈՒԵԱԿ

תְּנִינָה

დეფიცის მონაცემება აჩნევია  
ეზოს შემოჩეული ფურისულებს,  
მთელი ამნიჭერებული ნარისაცნარებს,  
მართონ ყორის თავს ვარდებიანს,  
კიდევ შეუცილებული ნიტლის ფოთლებს,  
თავადაუ რომ წარისულს გარდებიან...  
და თუმც მისეული ხილვის მოლონდება  
ჩემი მომავალი სევდის გაზიზრდელია,  
გულზე სათუთ ფიქრდ მეფერება  
კულონერი, რაუ დეფის წარმორია...

გივი ჩილვინაძე

ՏԵՇԱՅԻ ՀԱՅՈՒԹ

წინანდლის კართან შემომზევდი წამით -  
საღამოს მშვიდი ბალი ვნახეთ იქ -  
და გულთან გაკრთი, ვით ნაპერწკალი.  
გამოვიქროლეთ მერე კახეთი...  
შემოგვევება გომბორზე მთვარის  
შუქზე მავალი უცხო ლანდები -  
თავშენირული თუ წაომარი,  
გარდასულ დროთა სული რამდენი!..  
გამომყვა ფიქრად იმ მთების ძილი,  
ვრცელი ყანები და ვენახები,  
კავკასიონზე ღრუბლები მძიმე  
და ძირს დამშრალი ძველი არხები...  
მეც მიწა მტკივა დღეს დაუცველი,  
ვეღარ ამოველ ამ წვალებიდან  
და მშვენიერი ალაზნის ველი,  
ნამზერი შენი წამნამებიდან,  
მზიბლავს და ათასწლეულთა წაცვლად  
ახლადა მინდა, თვალი მოვავლო...  
ვის შერჩა კიდევ მატულის განცდა,  
სად მიდის ჩვენი გზა სამომავლო?!

## ყაზბეგის კართლის ულებელი

## ნიქოზის სკოლაში სტუდენტობისას ნათევამი

სანამ იმერეთს და რაჭას მოვივლიდე,  
მანამ ქართლის ველთა ელვა დამაჩოქებს –  
დღილის სხივ-ნავში ნაზად მოლივლივეს  
მშვიდად ვიჟურები ულიც ყაყაჩოებს.

თვალწინ მომავალთა რწმენად გაიქროლეს  
შინდის-კარალეთმა-ფხვენის-ვარიანმა,  
თუმცა მტკიცებული სევდა გავიყოლეთ,  
გული გაგებიშალა მხარემ დარიანმა.

ყაყაჩიობი კი მართლა იმდენია,  
ნამით გვავინყდება ყველა გასაჭირი,  
მეტს რომ გვპირდებან, ქართლის მინდვრებია,  
მტრისგან უმოწყალოდ წელზე გადაჭირილი.

ნიქოზის მოშროალე დიდი ნიგბზებია, კიდევ სიზმრებია მთამდე ასულები, ჩვენი მიზნებია, აქ რომ იზრდებიან ლალი ვაჟები და ანცი ეალულები.

ისევ სამერმისო იმედს დავიგულებ,  
რადგან არ ვიკადრებ ბეჭთან შევაჭრებას...  
გამოვყოლებდი ლამაზ თაიგულებს,  
მაგრამ შეინს ნახვამდე ზელში შემატუნება...

\* \* \*

პატარა ქალსა –  
თაფლის წვეთს,  
უტკბესი რომ ჩანს ყველაზე,  
კარგავს სამშობლო – უცხოეთს  
აძოდის მისთვის ყველა მზე...  
გამიჩნდა გულის წუხილი, –  
კის დაეკმა ენაზე?!



## ဗုဒ္ဓဘာသုပေါ်မြတ်စွာ

არც სხვაგანა წასვლა გარებია,  
არც წუნუნი და ოხვარინი,  
შენს მიწას ენდე მადლიანს –  
ხე დარგე, ახო მოხახი...  
ვერ შეგენევა უცხოთა  
დენა სტუმრად და ხიზნადა,  
იმდენი მამა უცხონდათ,  
შენი ხსნა ჰქონდეთ მიზნადა,  
თუმც მოყვარე რომ გშველოდეს,  
გარეული რას გიზამდა?..  
მაინც ღიმილი გშვენდეს  
მშედამ ჩახოთა თუ საზრავადა...

\* \* \*

შემოდგომისკენ  
გაფრენილიყო  
უკვე ზაფხული,  
მთები ქარვისფერს ნელა  
გვითოვდა,  
შენ დამემგზავრე  
ფიქრით გართული –  
ამ სიახლოვით გული  
გითოთოდა...  
გვეფინებოდნენ  
სულმი სხივები  
და ჩვენს უმშვიდეს ალერსს  
ნიღბავდნენ,  
მერე წახვედი,  
წარსულს მინებდი,  
ვერ დაგვიტია ერთად იმ ღამემ.  
მწუხრი კი  
შენზე მონდობილ იმედს  
განშორებისას  
ნისლში ახვევდა...  
რა ვუთხრა ამ ჩემს გზებს  
და ბილიკებს,  
შენთან რომ ადრე არ შემახვედრა!..



## გივი ჩილვიცაძე

სად – ქერი, სად – ფეტვი და ჭვავი.  
ვაგროვეთ წაბლი და წიფელი,  
კაკალი მოვიდა იმდენი,  
იქით რომ ზიდავდნენ ციყვები,  
აქეთ ჩვენ ავავსეთ გიდლები.  
ტყისპირას მწიფდება კუნელი,  
ფერდობზე – შექრი და ასკილი.  
გაისმა მწყემსების ძახილი –  
მთებიდან ბრუნდება ნახირი.  
ბელელში ბლომად გვაქვს სიმინდი,  
ხორბალი – ასამდე ბათმანი...  
დათოვოს ტყეები და მთანი,  
ველარას დაგვაკლებს ზამთარი.

23



## მოერის კიდევთან

გადაყვითლებულ მთების კიდესთან,  
სადაც იწყება ლურჯი ცის ზღვარი,  
დგას მოწყენილი ჩემი კარავი,  
ვით შემოდგომის ღამის სიზმარი...  
ალბათ, ამ დღეებს უნდა ვუმადლო,  
რომ მაგ ფიქრებმა აქ მოაღწიეს,  
ტოტზე შეისვეს მშვიდმა ხექმა,  
მოეფერნენ და გადაარწიეს...  
მერე რა ვუყოთ, თუ შენს სიტყვებში  
ზოგჯერ უცნობი ხმა გაიჟორებს,  
მოიხიბლები ამ ფოთოლცვენით,  
ჩემს ნაოცნებას შენც დაიჯერებ...  
რა დრო გასულა! – მილეულ მთვარეს  
შემოუვლია უკვე მთა-ველი  
და გულთა შორის გრძელი მანძილი  
გამხდარა თითქოს ერთი მტკაველი...

## შემოფენა

გადაჰყვა ფერები ოქტომბერს,  
მიქრინა ქედებზე დღეები,  
აფრევევენ ქარვას და ოქროსფერს  
ნიავის ჩურჩულში ტყეები.  
საბჭელთან დავცალეთ ძარები,  
მარანში ღვინდება მაჭარი,  
სუყველგან ავიღეთ ყანები:

## წილერი კარა

რა სიყვარულით ააფრიალა,  
რა სიხარულით დაქროლა ქარმა! –  
მეცხრე სართულის თეთრ აივანზე  
კაბა გაფინა ლამაზმა ქალმა...  
და არხევს ქარი შმაგი ალერსით,  
ათრთოლებს კაბის საყელოს, ბოლოს,  
ეხვევა, ვნებით იხუტებს გულში,  
შეუჩნდა, მასთან ტრიალებს მხოლოდ...  
ხან გულისაპირის ლილებს უსინჯავს,  
ხანაც მკლავებზე დაიწვენს უცებ,  
ის კაბის კალთებს ესათუთება,  
მე ქალის ტანის მიმოხრას ვუცქერ...  
ვუცქერ მოცლილი, ვფიქრობ და ვნატრობ,  
რომ მივდიოდეთ ახლა მარტონი  
მონატრებული მთების ბილიკზე  
მე და იმ კაბის ნაზი პატრონი...

## წმინდა სავანე ყაყაჩიერში

ფიქრი დავითგარეჯში 2015 წლის 24 მაისს

წინაპრის ნაშენს დუმილით მოცულს  
ვეყრდნობით ისევ, ის გვრჩება ბურჯალ –  
როგორც მტერს უნდა აქ კარზე მოსულს,  
ვერ გადაგვიქცევს სამშობლოს ჯუნგლად...

დავეძებთ ველებს საყანედ მოხნულს,  
ეს მხარე მეტად გვიმატებს ოხვრას,  
უნდა შევიძლოთ, ვაჯობოთ მომხვდურს  
და დაუურჩინოთ მცდელობა ოხრად...

თუმცა საამო ლოცვა კი ისმის,  
თავს შეგვასხენებს ზუზუნი ისრის,  
დაფერილია აქ ღამის ნისლიც  
ექვსი ათასი მოწამის სისხლით...

ოქტომბერი, №5, 2015





ნუ შეგვაშინებს სიმცირე ჩვენი,  
მკლავი გაშლილი ბოლომდე გვქონდეს,  
იცავენ საზღვარს ლომგული ძმები –  
მზერით ალტობენ დასიცხულ შორეთს!..

დასალიერთან კვლავ ვიდგეთ გუნდად,  
ჩვენი მზის სხივი სხვის ლრუბლებს სწენდეს,  
აյ არწივები ფრინავდნენ მუდამ  
და არწივები გვიძლოდნენ გზებზე...

უდაბნოს ქარით ვავსებდეთ სურებს,  
და მით ვიკლავდეთ ზედაშის წყურვილს,  
მომავლიდანაც ბევრი რამ გვსურდეს –  
კაცს რა დაულევს ნატვრას და სურვილს?..

აյ მოდიოდნენ ხანდახან დებიც,  
მოჰქონდათ ნამი ტყეთა რტოების  
და ბრუნდებოდნენ შინისკენ კდემით,  
მორთულნი ნაზი ყაყაჩოებით...

## ჩვეულებრივად

ჩვეულებრივად შევყურებ ზეცას, –  
არ ვდარდობ ყვითელ ფოთოლთა ცვენას, –  
თითქოს ამქვეყნად მარადის ვივლი  
და უსასრულოდ შევძლებ მის ცქერას...  
ჩვეულებრივად, როგორც ნიავი,  
ჩამივლის მშვიდად, მხიბლავს თვალებით –  
იქნებ ისაა ნანატრი ქალი,  
ვისაც ნამდვილად შევიყვარებდი...  
ჩვეულებრივად მივდივარ მთებში,  
როცა ეულად ყვავის იელი,  
ვივსები ნაცნობ დუმილის თმენით  
და მონატრების სიცარიელით...  
ჩვეულებრივად ვაბნევ ამ პწკარებს,  
აღარ მანალვლებს, ასე რომ ვცდები,  
თითქოსდა მეტი საქმე არ მქონდეს,  
ანდა მიზანი, რასაც ვერ ვწვდები...

## დეფის ნამზერი

მშობელი ქედების გრძელ ჰორიზონტებზე  
მარტობა რომ ქცეულა დარდებად,  
ბავშვობის დღეების შორიდან ცქერისას  
კვლავ ამედევნება ნარსული ლანდებად...  
და დედის ღიმილი გაკრთება სხივივით  
(ძველ წუთებს სამყარო მიქარგავს ფერებად),  
მისი თბილი მზერა სიმშვიდედ ციმციმებს  
და საიდან აღარ მეფერება?! –  
დედის მონატრება აჩნევია  
ეზოს შემოჩვეულ ფურისულებს,  
მდელოდ ამწანებულ ნაბოსტნარებს,  
მარანთან ყორის თავს ვარდებიანს,  
კიდევ შეყვითლებულ წიფლის ფოთლებს,

თავადაც რომ წარსულს ბარდებიან...  
და თუმც მისეული ხილვის მოლანდება  
ჩემი მომავალი სევდის გამზრდელია,  
გულზე სათუთ ფიქრად მეფერება  
ყველაფერი, რაც დედის ნამზერია...

## სიზძარი

სიზმარი ვნახე, ვეძახდი მამას:  
– რატომ არ მოხვალ სახლში?  
ის ღელის პირას მალლარსა სხლავდა,  
მე კი ვიყავი ბავშვი...  
რომ დავაკვირდი, არა ვენახში,  
თურმე ყოფილა ცაში,  
არ აპირებდა შინ დაბრუნებას,  
სხივებს მისდევდა კვალში.  
მანაც მომხედა, რაც მომაძახა,  
ფრთხილად ვიგონებ ახლა –  
ისიც თქვა: – შენს ჩრდილს მიადგი კიბე,  
ისე ამოხვალ მალლა...  
რა იგულისხმა? ნუთუ დასცინა  
ამ ჩემს ცხოვრებას ნეტავ,  
თუ რამე კარგი რამ მიმანიშნა  
და მე კი ვერა ვხედავ?..  
სიხარულია მმობლის ლანდიც კი,  
ცხადში იხილე თითქოს...  
ჩემს ჩრდილს როგორლა მივადგა კიბე,  
ახლა ამაზე ვფიქრობ...

## ქამიღა

ეზოში ვარდნარს და კონდარს  
ხეხილი ჩრდილს ჰუნდა მალლიდან...  
ჩვენს ნახვას ცის გახსნას ადრიდა,  
ხარობდა, ჩქარობდა მამიდა –  
უეცრად რა სუფრას გაშლიდა,  
რა სიტკო-სიყვარულს დალვრიდა!..  
თან თონე, სამზადი, ბოსტანი –  
მამიდას განა რა დალლიდა?..  
სევდიან ღიმილით ვტოვებდით  
და ისევ გვნატრობდა თავიდან:  
– ე, ბიჭო, რა ხანი გავიდა...  
– ე, ბიჭო, რა ღვინო დალვინდა!..  
რამდენი ყვავილი ჩამოჭვნა,  
რამდენი ზაფხული გაფრინდა...  
რამდენჯერ ვისტუმრეთ ზამთარი –  
სულშიც რა ლამაზად ბარდნიდა!..  
ტიროდა ზეცა და სოფელი,  
როდესაც იმ ქვეყნად წავიდა...  
წარსულის ცრემლიან თვალიდან  
ყოველთვის გვიყურებს მამიდა...



# ମୁଖ୍ୟମନ୍ତ୍ରୀ

## କାପୁଲାପତ୍ରିକା

10. **What is the primary purpose of the International Organization for Standardization (ISO) in the field of quality management?**

ଓ, যাক ও মিনকা কামনের ক্ষেত্র

იბედნიეროს, ყველამ, უკლებლივ,  
მამულის დროშა ერთად ასწიონ.

რა ძალამ შეძლო,  
ვინ შეაფრევია,  
ციცინათელა ზეცას, ამდენი?..  
ამ, ცას და მიწას, სამოთხე ჰქვია  
სიკეთისა და მადლის ჩამდგრინ.

ეს მიწა-წყალი,  
ადამიანო!  
შენია, შენვე, უნდა იზრუნო,  
უნდა ეძებო, უნდა მიაგნო,  
რაკ დაიკარგა, რომ დაიპრონო!...

ბევრჯერ ჩამონავა,  
შავი ღრუბელი  
და სისხლიანი გათენდა დილა,  
გამოიარე წრთობის ღუმელი  
ბრძოლით მოდიხარ, უხსოვარ დოიდან.

၁၀၃၈၃၈၂၉၆၇

არა გწყალობდა –  
ბედი, ტიალი,  
ბევრჯერ, დაეცი, წამოდექ, ისევ...  
საუკუნეთა ორომტრიალი  
და... სატიქარი, განვდილი მტრისკენ.

დავიგვიანე,  
ბანარაო და ალაზანო,  
გამახსენდებით,  
თქვენს ატეხილ დინებას გხედავ.  
დავიგვიანე, ბახტრიონო, ჩემო ალვანო,  
მოხუცო ქალო.  
წელში დართით მოხრიოო დედავ!

ერო, ძლიერო,  
ამ, ლამაზ, ცაზე –  
ბედის ვარსკვლავი ანთია შენი,  
ცოცხალი თავით, არ გაგცვლის სხვაზე.  
ყავლა ქართველი, მოკლება შენთვის.

დავიგვიანეს,  
სიჭაბუკე დავხარჯე სხვაგან,  
თუშო ასულო,  
მაგ ლეჩაქის სიწმინდეს ვფიცავ!  
დავიგვიანეს,  
ვიცი, ახლა, შენთვის სულ სხვა ვარ,  
გვერდს ჩამიარე, ყრმობავ ჩემო  
და ვიარ მიჟან.

## შენია, შენვე უნდა

იზოუბო!..

შფოთავს ჩანჩქერი,  
დალის, დალალი,  
კლდეზე ჰეკიდა ნისლი დარდივით,  
მთებს ახმიანებს შლეგი ალაზნის,  
ოცვრა, ხევიდან ამოვარდნილი.  
არწივებს  
ფრთებით მოაქვთ ღრუბელი,  
კახეთის ველებს რომ დააწვმონ,

გულას ხელურია ლამი სიმღერა,  
გულას ხელურია მზა თვალოთა — ჩუბლი,  
ალალუ ხდოქონებს ვასყორ სიმერად,  
არ შინაგრია ოქრო და ცერზელი.  
თან, დაგულებიან, მეგზურად, ყველგან,  
ჩემი ფიქრი და ჩემი ოწერა,  
ნამოგენეცი, ჩვერდაყრილ ცელონი,  
ზაგე ლიმილით დაგვაოწება.  
ნამოგენეცი, შენს ნაცერფალზე,  
ყვავილებს გაოჩნი. — ტუჩერთაფლიანის,  
ინვის ოწერა — უხილავ ალზე,  
მოჭი, გულას შენი სითონ აკლია.

မြန်မာစံ နှုန္တစွာနှုန္တ



მუხლზე დაშვებით,  
თაყვანსა უცემ წინაპრის სახელს,  
ქართულ ვაზსა და  
საქართველოს ზღაპრულ  
განთიადს.  
უმდერებ მამულს,  
სანამ ვსუნთქავ და თვალებს  
ვახელ,  
სანამ ჩემი მზე საქართველოს  
ცაზე ანთია.

26



## მოდი, სტუმარო!..

მოდი, სტუმარო! —  
ერთად ვილხინოთ,  
ნახავ ზღაპარში გაგონილ ედემს,  
თუ, საოცრება გინდა იხილო,  
გომბორის მთიდან გადაიხედე.

მითიურ მხატვრის  
უკვდავი ტილო,  
ალაზნის ველზე გადაფენილი,  
მწამს, გაგაოცებს კაცო, კეთილო,  
ამ სამოთხეში, მოლხენით ივლი.


მზე მთების იქით,  
ჩაწვა, ჩავიდა,  
დღის და საღამოს ფერებს აურევს,  
ნახვალ, აქაურ ამბავს ჩაიტან,  
იტყვი, ზღაპარში იმოგზაურე.

## იყო კარძა

იყო კაცობა,  
შეურცხვენელი,  
და... შემართება — ჩემი ალვანის,  
გადარცული, ლურჯა ცხენებით,  
ფიცხი მხედრები, ტანად ალვანი.

ალარც კაცობა,  
ალარც დანდობა,  
ნაღდი ქართული გაქრა თაობა,  
დაკარგა ფასი, სიტყვამ და ძმობამ,  
ცხოვრება იქცა — არარაობად.

არსად ჩანს მხსნელი,  
ბრძნი მინდა,  
გამოგაფხიზლოს, მონადქცეული,  
რა გემართება?!... საით მიდიხარ?! —  
ქართველო ერო, — ხვთივ კურთხეულო!..



## მოდი, გეძახი!...

გულსა სწყურია ლალი სიმღერა,  
გულსა სწყურია მაგ თვალთა —  
ცეცხლი,

ალალ სტრიქონებს ვაწყობ სიმებად,  
არ მინატრია ოქრო და ვერცხლი.

თან, დაგყვებიან, მეგზურად,  
ყველგან,

ჩემი ფიქრი და ჩემი ოცნება,  
ნამოგენევი, ცვარდაყრილ ველთან,  
ბაგე ლიმილით დაგეკოცნება.

ნამოგენევი, შენს ნატერფალზე,

ყვავილებს გკოცნი, —  
ტუჩებთაფლიანს,

იწვის ოცნება — უხილავ ალზე,

მოდი, გულს შენი სითბო აკლია.

ლამეა, ახლა, წყნარი და მშვიდი,  
ო... ამ ლამესაც, მარტო ვიქნები,  
მოგონებებმა მოზიდეს შვილდი,  
დამკარგეს — სადლაც, — მძიმე ფიქრებით.

## სმენადქცეული მთერი ფამიგარან

თუშურ გარმონზე  
სიმღერას ვუსმენ,  
ოცნებით, მთებში დავხეტიალობ,  
ციცაბო კლდეზე გავჩნდები უცებ,  
გადამარჩინე, ნისლო ტიალო.

ხან, ვაჟყაცური,  
ისმის ძახილი,  
ხან, განწირული ქვითინი — ქალის,  
რკინის ბეჭთარზე წივის მახვილი,  
ხან, სიყვარულის ინთება ალი.

მთები დამდგარან, —  
სმენადქცეული,  
ცაში არწივთა უდგათ გნიასი,  
ჩანჩქერი, — კლდიდან ჩამოქცეული,  
მიექანება ხევში გრიალით.

თუშთა ჯილაგი  
დგას უძლეველი,  
ერის წინაშე, ალალ-მართალი,  
სიმტკიცე რკინის, სისწრაფე ელვის,  
სალი კლდეების ჩამონათალი.

მემატიანებ —  
ბევრჯერ, შეაქო,  
ამ, ერთი მუჭა, ხალხის ამაგი.  
მათს, ნათელ ხსოვნას დრო ვერ ჩაქრობს,  
ენთება მარად სულით, ალაგით...

P.S.

უფლის კურთხევა: მთიდან ბარისკენ,  
ბარიდან — მთისკენ, ნუ მოგვიშალოს!...



### გიორგი შარვაშიძე

საბულონის მინისტრი

— შვილო, პატარა ალარა ხარ... — წყვეტილ-წყვეტილია მიმართული დეფინიტივის, — ჩვენ სხვა გზა ალარ დაგვარჩენია... ისეფაქ სხვის ოჯახში ვართ შესაფლებულები... ხალხი კუთილია, ვინმე, რამეს გამოიმედებს ჩვენთვის... — გული ამოუჭადა, წრემლის კულარ იყავერდა.

...და, მივცვდი, რომ იმ ფლიდან, ჩემთვის, ახალი წეოვნება იწყებოდა.

გიორგი შარვაშიძე

27



საბულონის მინისტრის მიმართული განცხადების მიხედვის მიზანი არ იყო განცხადების მიმართული განცხადების მიზანი.

### ცრემლად დაღვენთილი სანთელი

ჩვენი ოჯახის ცხოვრება კარგად მიდიოდა მანამდის, სანამ, ერთ, არცთუ ისე მშვენიერ დღეს, სრულიად არ შეცვალა წუთისოფლის განგებამ.

იმ კვირა დღისით, როცა მე ათი წელი შემისრულდა, მამაჩემმა სათევზაოდ წამიყვნა. ადრიანად ავდექით და ფეხით გავუდექით გზას მდინარე ინწობის სათავეებისკენ. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, რადგან ასე შორ მოგზაურობაში, პირველად მივდიოდი. მიხაროდა მამაჩემის გვერდით ყოფნა, რომელიც ბეპიაჩემის მოყოლილი ზღაპრების შემდეგ, ყოვლის შემძლებელი გმირად წარმომედგინა და ახლა მივდიოდით მდინარის სათავეებისკენ, გველეშაპის დასამარცხებლად.

ადგილზე მისვლისას, მამაჩემმა, მეც სახელდახელოდ ამინუო პატარა ანკესი და მასწავლა, როგორ მეთევზავა, თუმცა, ყველანაირი ცდების მიუხედავად, თევზის დაჭრას ვერ ვახერხებდი. მამაჩემს კი, ყოველი ანკესის გადაგდების შემდეგ, თითო თევზი ამოჰყავდა, რომლებსაც სპეციალურად გამზადებულ ლარზე ჰკიდებდა.

შუადღეს მამაჩემმა მდინარესთან ცეცხლი დაანთო, სანადირო დანით შამფური გამოთალა და ჩვენი დაჭრილი თევზები შეწვა. შამფურზე შემწვარი თევზი პირველად ვიგებე და სურვილი ჩავიფიქრე. ჩვენი ბედნიერი მომავლისა, რომ ყოვლისშემძლე მამაჩემი სულ გვერდით გვყოლოდა, რომ ეს მშვენიერი დღე, მალე არ დამთავრებულიყო.... ჭამის შემდეგ, მდინარეში ვიბანავეთ და ისე გავერთე, წყლიდან გამოსვლა აღარ მინდოდა, მაგრამ მამაჩემმა, „არ შეცივდესო“, ძალით გამომიყენა. ცოტა ხანს კიდევ გავაგრძელეთ თევზაობა და მოსალამოვებულზე, როცა უკვე ღრუბლები წამოიშალა, სახლისაკენ გავემართეთ თევზებით და უამრავი დადგებითი ემოციებით დატვირთულები.

გზას ხალისიანად მივუყვებოდით მანამდე, სანამ წვიმა არ წამოგვერნა. მაშინ კი ანება სტვენას თავი მამაჩემმა, დამიძახა, ხელი მხრებზე მომხვია და მკლავის ქვეშ მიმიკრა. მისი გულის ცემა ვიგრძენი. მისი სითბო ჩემს სხეულში გადმოიღვარა. გული ლამის

საგულედან ამომვარდნოდა იმ დადებითი ემოციები-საგან, რასაც მამაჩემის სიახლოვე განმაცდევინებდა. წვიმას და სიცივეს უკვე ვეღარ ვგრძნობდი. მოსახვეს გავცდით და შორს, ჩვენი სახლიც დავლანდე, სადაც, ალბათ, დედაჩემი ახალგამომცხვარი პურის სურნელით გაულენთილ ოთახში გველოდებოდა. სულ მალე ჩვენი მისვლით გახარებული, გულში ჩამიკრავდა, სველ ტანსაცმელს გამომიცვლიდა და დაღლილებს გვავახშებდა, ლოგინს გამიმლიდა, ზღაპრებს მომიყვებოდა და მის ტკბილ ღილინში ჩამეძინებოდა...

...მაგრამ ყველაფერს წერტილი დაუსვა მოსახვევიდან გამოვარდნილმა ავტომობილმა, მძღოლმა წვიმიან გზაზე საჭე ვერ დამორჩილა და მე და მამაჩემს დაგვეჯახა. ფარების შუქსა მოვკარი თვალი და ყველაფერი უკუნში ჩაინთქა.

...დავრჩი მარტოდმარტო ამ უკაცრიელ უკუნში. მამაჩემის სილუეტი საერთოდ დავკარგე და ხანდახან, მის ადგილას, დედაჩემის ლანდს თუ მოვკრავდი თვალს. უკუნეთში სანთლის შუქი შევნიშნე, რომელიც კედელზე მიკრული, დედაჩემის ცრემლებად იღვენთებოდა...

ასეთ ჯოჯოხეთში, რამდენი ხანი გავატარე, არ მახსოვს. როცა კომადნ გამოვედი და გონზე მოვედი, გავიგე რომ მამაჩემი, იმ ავარიის შედეგად, ადგილზევე გარდაცვლილყო, მე კი წელს ქვემოთ გრძნობადაკარგული და მეტყველება დაქვეითებული, დავინვალიდებულიყავი. დედაჩემი ჩემს საწოლთან იჯდა, რომელიც ისე გაჭალარავებულიყო, რომ ვეღარ ვიცანი. რამდენიმე თვის უშედეგო მეურნალობის შემდეგ, საავადმყოფოდან სახლში გამწერეს. მეურნალმა ექიმმა დედაჩემს ურჩია, თუ საშუალება გაქვთ, ზღვასთან ახლოს გადაცხოვრდით, ზღვის კლიმატი მოუხდება. ჩემი ძმა, რომელიც სკოლიდან გამოსულიყო და მშენებლობაზე მუშობდა, სახლში დაგვხვდა. მამაჩემის არ ყოფნა გულს მიკლავდა. სახლიდანაც ბევრი რაღაცები გამქრალიყო. დედაჩემი ადრე დაგებოდა. ჩემი ძმაც დილადრიანად გადიოდა. სალამოს დაქანცული მოდიოდა, ჭამდა, ცოტა ხანს მეთამაშებოდა და დაღლილს მალევე ეძინებოდა. დე-

ოლები №5, 2021





დაჩემი ყოველ კვირა აკითხავდა რაიონის ჯანდაცვის წარმომადგენლებს, რომ ჩემთვის ინვალიდის ეტლი მოეცათ, მაგრამ უშედეგოდ. საწოლს მიჯაჭვულს, ხანდახან წამომსვამდნენ ხოლმე და ბალიშებზე მიუჟდებული, გარე სამყაროს ფანჯრიდან თუდა ვადევნებდი თვალს.

დაახლოებით, ერთი წლის შემდეგ შევიტყვე, რომ დედაჩემი სახლს ჰყიდდა და ჩვენ საცხოვრბლად უნდა გადასულიყავით საპირტო ქალაქთან ახლოს მდებარე ერთ-ერთ სიფელში, სადაც პირველ ხანებში, სანამდის საცხოვრებელ ბინას ვიყიდდით, დეიდა მარიასთან დავბინავდებოდით, რომელიც ჩვენი შორეული ნათესავი იყო. ერთ დღისითაც დავტოვეთ ჩვენი ბინა და ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ გამოყოფილი ავტომობილით, სადაც ჩემი კომფორტულად მოთავსება შეიძლებოდა (თუ ამას კომფორტი ერქვა), გავეტავრეთ ზღვისპირეთში საცხოვრებლად. ბარგი ბევრი არაფერი გვერნდა, რაც ჩვენს ბინას ამშვენებდა, ჩემს მკურნალობას შეენირა და დავტოვეთ ცარიელი კედლები, სადაც ჩემი ბავშვობის საუკეთესო წლები მქონდა გატარებული.

ჩვენ მოვხვდით ზღვისპირას ერთ წენარ, მყუდრო სოფელში. დეიდა მარია, რომელიც მარტო ცხოვრობდა, სათნო და კეთილი ქალი აღმოჩნდა. მან თავისი, ოროთახიანი, ღარიბულად მოწყობილი ბინის ერთი ოთახი ჩვენ დაგვითმო. ჩასვლიდან მეორე დღესვე, დედაჩემი და დეიდა მარია ჯანდაცვის განყოფილებაში წავიდნენ, რომ ჩემთვის ინვალიდის ეტლი გამოყოფით. იმედოველულები დაპრუნდნენ,

ჩემმა ძმამ მუშაობა დაიწყო კერძო კომპანიის სარენაო თევზასჭერ გემზე და ხან, მთელი კვირა სახლში აღარ მოდიოდა. ხშირად, დედაჩემიც დილით აღრე გადიოდა სახლიდან და საღამოსდა ბრუნდებოდა საჭმელებით სავსე კალათით. მარტომობისას დეიდა მარია მზრუნველობას არ მაჟლებდა. ჩვენთვის საკუთარი ბინის ყიდვა, რასაც დედაჩემი გვპირდებოდა, ველარ მოხერხდა, რადგან იმ ფულის ნახევარზე მეტი, რაც ჩვენი ბინის გაყიდვიდან დაგვრჩა, დედაჩემია ვალებში დაარიგა.

ჩვენი ჩასვლიდან, რამოდენიმე ხნის შემდეგ, ჯანდაცვის წარმომადგენლებმა ინვალიდის ეტლი მოიტანეს. თავიდან მიჭირდა ეტლს შეგუება, მაგრამ მალე მივეჩვიდა და ნელ-ნელა დამოუკიდებლად დავიწყე მოძრაობა. ერთ დღისით, როცა ჩემი ძმაც სახლში იყო, ჩამსვეს ეტლში და ეზოს გარეთ გამიყვანეს. იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ, მე მხოლოდ გამოყრუებულ ოთხ კედელს შორის მინევდა ყოფნა და ახლა, ჩემთვის, ეს, თითქმის, დღესასწაული იყო. ჩემს უკან, აქეთ-იქიდან, ამომდგომოდნენ ჩემი ძმა და დედაჩემი და ეტლს ზღვის მიმართულებთ მიაგორებდნენ. ერთი წამით წარმოვიდგინე, რომ მამაჩემიც უკან მედგა და გულმა ძეგრა დამიწყო, მაგრამ ზღვის დანახვამ რეალობაში დამაბრუნა და ღანკებზე ცრემლი ჩამომედვენთა. ცრემლი უჩუმრად, ხელით მოვიწმნდე და ლურჯად მოლივლივე ზღვას გავხედე, რომელიც პირველად დავინახე და ვინატრე, ნეტავ, ძველი დრო დაბრუნებულიყო, როცა ყველა

ერთად და ბეჭნიერად ვცხოვრობდით. გაზაფხული იდგა, სანაპიროზე ხალხი ნაკლებად გვხვდებოდა, მაგრამ ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია და მთელი დღე იქ დავრჩით.

ერთ დილით, ჩამსვეს ეტლში და დედაჩემმა ქუჩაში გამომიყვანა. მეგონა, ეს ჩვეულებრივი გასეირნება იყო, მაგრამ ქალაქის გზას რომ გავუყევით, მივხვდი რაღაც სხვა ხდებოდა. ენის ბორძისით შევეკითხე დედაჩემს, თუ სად მივდიოდით.

– შვილო, პატარა აღარა ხარ... – წყვეტილ-წყვეტილად მიპასუხა დედაჩემმა, – ჩვენ სხვა გზა აღარ დაგვრჩენია... ისედაც სხვის ოჯახში ვართ შეკედლებულები... ხალხი კეთილია, ვინმე, რამეს გამომმეტებს ჩვენთვის... – გული ამოუჯდა, ცრემლს ვეღარ იკავებდა.

...და, მივხვდი, რომ იმ დღიდან, ჩემთვის, ახალი ცხოვრება იწყებოდა.

დედაჩემმა მიმიყვანა ხალხმრავალ ბაზართან და ერთ ადგილს გამარება, ეტლზე კი მუყაოს ოთხკუთხა კოლოფი დადო. დედაჩემმა მთელი დღე თავი არ დამანება და ფულიც საქმაოდ მოვაგროვეთ. საღამოს კი საჭმელებით დატვირთულები გავემართეთ სახლისაკენ. ამ ყოფას ნელ-ნელა მივეჩვიე და ჩემთვის საინტერესოც გახდა. მეგობრებიც კი შევიძინე, რომლებიც ხშირად მაკითხავდნენ. ჩემი ძმა, რომელიც ბოლო დროს საქმაოდ გულჩათხრობილი გახდა, იშვიათად ბრუნდებოდა სახლში. მან ჩვენი ასეთი ყოფა ვეღარ აიტანა და თავის მეგობართან ერთად, საზღვარგარეთ დარჩა, რაც დედაჩემს იმ გემის კაბიტანმა აუწყა, სადაც ის მუშაობდა. თურქეთის ერთერთ პორტში, მაროკოელი მეზღვაურების დახმარებით ამერიკაში მიმავალ გემში შეღწევა შეძლეს.

დავრჩით მე და დედაჩემი უფლისა და კეთილი ადამიანების ანაბრად. ამის შემდეგ, დედაჩემი ძალიან გახდა, წელში მოიხარა, თავისი გაჭადარავებული თმა უფრო მეტად გაუთეთრდა.

...დრო დროს მისდევდა, წელიწადი წელიწადს. ჩემი ძმის შესახებ, იშვიათად თუ მოაღწევდა ხოლმე აბავი მისი წარმატებული ბიზნესის შესახებ. ხშირად, როცა ზაფხულის დღეებში სანაპიროზე ხალხმრავლობა იყო, ბაზრის მაგივრად იქ ვამჯობინებდი მათხოვრობას. მეზღვაურებიც სანაპიროზე გავიცანი.

ჩემი გარეთ გასვლის და ხალხთან ურთიერთობის შემდეგ, თითქმის, უკეთესობა დამეტყო, სიმხიარულეც მომემატა.

ერთ დილით, დედაჩემი მეორე ოთახში გავიდა დეიდა მარიასთან.

– მარია, უნდა დამეხმარო... – დედაჩემი დაბალი ხმით ესაუძრებოდა დეიდა მარიას, მაგრამ ღია კარიდან ყველა კედელი მესმოდა.

– რა მოხდა თამარ?.. – შეშფოთებულმა ჰეკითხა დეიდა მარიამ.

– ამერიკაში უნდა წავიდე, ჩემი შვილი უნდა მოვძებნო...

– მერედა, როგორ?.. ვინ გაგიშვებს?..

– მხოლოდ შენი დახმარება მჭირდება. ბიჭთან ერთად გამიჭირდება იქამდის ჩალწევა. ამიტომ, სანამ





### მხატვარი სოფიო ჭელიძე

დავბრუნდები, შენ უნდა მიმიხედო, შენ უნდა მოუარო... ოლონდ უარი არ მითხრა. შენს იქით გზა ალარ მაქსა... ექიმებიც ამას მეუბნებიან, თუ სადმე რამე ეშველება, მხოლოდ ამერიკაშიო... რადაც არ უნდა დამიჯდეს შვილს მოვძებნი, იქნებ, მან მოგვხედოს.

— თამარ, მაგაზე უარს როგორ გეტყვი, საკუთარი შვილივით მიყვარს, მაგრამ გაგიჭირდება იქ ჩაღწევა.

— რეინის ქალამნებს ჩავიცემ, სალ კლდეს გავარღვევ და ჩემს შვილს მაინც ვიპოვნი...

— კარგი, კარგი თამარ!.. არაფერს გავუჭირვებ, ჩემი იმედი გქონდეს.

მას შემდეგ, სულ იმის ფიქრში იყო დედაჩემი, რომ ჩემი ძმა როგორმე მოექცნა. მეზღვაურების დახმარებით იმ გემის კაპიტანსაც შეხვდა, სადაც ჩემი ძმა შსახურობდა, რომელიც დაპირდა, მის ასავალ-დასავალს გავიკითხავო.

ჩვენ ჩვეულებრივად ვაგრძელებდით ცხოვრებას. ყოველდღიურად მოგროვილი ფულიდან დედა-ჩემი ნანილს შორეული მგზავრობისთვის ინახავდა. ერთ დღისითაც, მეზღვაურებმა მოგვაჟოთხეს და დედაჩემს უთხრეს, ამ კვირის განმავლობაში, როგორც ხელსაყრელ დროს ნახავდნენ, ნაიყვანდნენ. მისი ნასვლის დღეს სამათხოვროდ ალარ წაესულვართ. დედაჩემმა მთელი დღე ჩემს ალერსს შეალია. საღამოს, დათქმული დროისთვის, მე, დედაჩემი და დეიდა მარია სანაპიროსკენ გავემართეთ. მეზღვაურები უკვე იქ გველოდნენ მოტორიანი ნავით. დედაჩემი ახლოს მოვიდა და თვალებში ჩამხედა.

— მე დავბრუნდები, არ იდარდო...

მეტის თქმა ველარ მოახერხა და გული ამოუჯდა. მე დავინახე, როგორ ჩამოუგორდა თვალიდან ორი დიდი ცრემლის კურცხალი და გულში ჩამიკრა. ველარც მე შევიკავე თავი და ჩემებურად ამოვიბლავლე.

— ნუ გეშინაა, დეიდა მარია არაფერს მოგაკლებს... მე მალე დავბრუნდები... არ იდარდო... დაუჯერე დეიდა მარიას...

ერთმა მეზღვაურმა აიღო დედაჩემის მომცრო ჩემოდანი, მეორემ კი, მელავში გამოსცდო ხელი და ნავისკენ წაიყვანა. ცრემლებს ველარ ვიკავებდი და უაზროდ ვზღუქუნებდი, დედაჩემი კი ზღვის ტალღებზე ათამაშებული ნავიდან არ მაშორებდა თავის ცრემლიან თვალებს და ნელ-ნელა გვშორდებოდა.

იმ დღის შემდეგ, დეიდა მარიას დავყავდი სამათხოვროდ. ახლა, უყრო ხშირად, ზღვის სანაპიროს ვირჩევდი და მთელი დღე, ნაღვლიანი თვალებით გავყურებდი უყიდევანო ზღვას. დღე დღეს მისდევდა, თვე თვეს, მაგრამ დედაჩემის შესახებ ვერაფერს ვგებულობდი. ნაცნობმა მეზღვაურებმა მითხრეს, რომ მათ სამედო გემზე გადასვეს სტაბოლში და მას შემდეგ, მათაც არაფერი იცოდნენ.

ასეთ ყოფაში რამდენი ხანი გავატარე, არ მახსოვს. შემოდგომის ერთ ცრიატ დღეს, კვლავ სანაპიროზე ვიდექი ჩემი ეტლით. ხალხი იშვიათადლა გვხვდებოდა, მაგრამ მე გული სულ აქეთ მენეოდა. ვიჯერი ეტლში და იმედგადანურული გავყურებდი მოლივლივე ზღვის ტალღებს, რომლებსაც, ხანდახან, თოლიები გაეთამაშებოდნენ ხოლმე.

ამ დროს ჩემი ყურადღება მიიპყრო ზღვიდან ნელ-ნელა ამოზრდილმა ამერიკულმა დროშამ. გემი სანაპიროს მოუახლოვდა და გარკვეული მანძილის დაშორებით გაჩერდა, რომელსაც მალე ნავი გამოეყო... რამდენად დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ნავში გაღიმებული დედაჩემი და ჩემი ძმა დავინახე. გახარებულმა გამართულად შევყვირე:

— დედააა!!!...

### P.S.

ჩემმა ძმამ ისე მოაგვარა საქმე, ადგილობრივ ორგანოებთან და ჯანდაცვის განყოფილებასთან, რომ ჩემი ამერიკაში სამეურნალოდ წასვლა შესაძლებელი ყოფილიყო. ამერიკის საუკეთესო კლინიკაში ჩამიტარდა ოპერაცია. ოპერაციიდან, რამოდენიმე კვირის შემდეგ, ნელ-ნელა დავინებე ქვედა კიდურების ამოძრავება და სულ მოკლე ხანში ფეხზე დადგომაც შევძელი.

საქართველოში დავბრუნდით. ჩემმა ძმამ კარგად გაწყობილი ორსართულიანი სახლი შეგვიძინა ზღვისპირებში, სადაც დეიდა მარიაც გადმოვიყვანეთ. სულ მალე დავოჯახდი და ერთი წლის შემდეგ, ჩვენს ოჯახს პატარა არსებაც მოევლინა, რომელსაც მამაჩემის სახელი დავარქვი.

2021 წელი, სექტემბერი





ესია  
ფილმი

תְּבִ�ָה

ବ୍ୟୋଦିତ ଓ ଏକାକିକାର୍ଯ୍ୟର ଫଳିତଙ୍କାରୀଙ୍କ, ଶ୍ଵର୍ଗଲିଙ୍ଗ ନିର୍ମଳାକାରୀ ଅଧିକାରୀଙ୍କ, ହିନ୍ଦୁରା ମନ୍ଦିରଶ୍ଵର୍ଲୟ ପ୍ରମାଣିତ ଶିଳମର, ତନକୁଥିରେ ଅନ୍ତର୍ଜାଲରେ ବ୍ୟୋଦିତ ରାଷ୍ଟ୍ରପତିଙ୍କରେ.

ქართული დამწერლი

תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה תְּמִימָנָה

\* \* \*

აზარფეშას ავიგუსტს, სიყვარულით შეგხარი, თითქოს შენი ტუჩიდან შევსვი ახლა ნექტარი, თითქოს წყალს დავენავე, უკვდავების წყაროდან, თითქოს პური მოვიმკე საცხოვნებლად კალოდან, სულში უკვე ჩამიდგეს კალათი ზამბაზების, ანათებენ, ბრწყინავენ, ამაყინი, ლამაზები, არითმიის ქარები ჩემს სხეულში სახლობენ, როგორ შეი დაგინახავ, ლერთობიკ, კი მწყალობენ.

მერე ჩანთა შენ გეჭიროს მძიმე,  
სკოლისაკენ მივდიოდეთ ფურნით.  
ნეტავ, იმ დროს, ყვავილივით ლამაზს  
როგორ ჩქარა მივიტოვეთ წლები,  
მე ისევე უწინდელი ბაცი,  
შენ ისევე ალისფერი ცკიცხლი!

„ძალიან მიყვასხვა!”

ପତ୍ରବାନ୍ଦୀ

სულში კლავესინით ვიწყობ მე განწყობას,  
ჩამესმის „დო, რე, მი“, მღერიან ნოტები,  
შენ კი არ მიყურებ, მე გიცქერ რატომლაც,  
როგორც დიადემა, მოსჩანარ ტოტებში.  
სუნთქვიდან სუნთქვამდე ვჩურჩულებ შენს  
სახელს,  
ფერი და სინაზე მაშვილებს მე შენი,  
ავად ხომ არა ხარ, ო, სულის სინათლევ,  
ჩამერალო თვალები არაფრით შეგშვენი!  
მიყვარხარ და თავი არარად არ მიღირს,  
როცა შენ არ მყავხარ, როცა არ მიღიმი,  
ტოტებში გაჩერილს მე სევდით გიყურებ,  
მთვარეო, შენს ერთგულ მებობრად მიგზული

მე გეტყვი ბანალურს – „ძალიან მიყვარხარ“! და თან გამოყვება სიტყვათა კასკადი, „უშენოდ ვინა ვარ“, „უშენოდ არლა ვარ“, გრძნობით ვარ ავსილი დიდით და მარადით. ქარსა ვთხოვ, დაგათროს ვარდების სურნელით, გაგვლინთოს წერტარით, ვით წვიმის ორუელი და იმ ჩევნს ბანალურ „ძალიან მიყვარხარ-ს“, გეტყვიან უშენოდ დაღლილი ტუჩები. შეგახო თვალებზე სათუთი თითები, ცხადად თუ არა და, იქ, სადღაც, სიზმარში, და გულის სიჩებზე დაერული მუსიკით ნიავმა გაამბოს, თუ როგორ მიყვარდი.

ନେତ୍ରବ୍ୟାଧି, ଲୋକ ପାଦଫୁଲଙ୍କୁଠି ଗୁରୁତ୍ବକ୍ଷମ!

შენი სუნთქვით ანათროლი სიო  
ჩემთან მოდის და მიბინდავს მზერას,  
ნეტავ, ახლა ორივ ერთად ვიყოთ,  
ნეტავ, ისევ პატარები გვერქვას.  
მანოდებდე ბურთს, მსუბუქს და ფერადს,  
ქარს რომ ძლიერას გამოსტაცე ხელით,

71

ნისლს შევერევი, ნაცრისფერს,  
ნინ დაგხვდე, კვამში გაგხვიო,  
ქარიგით მოგეძალები,  
შეხედე, ვეჟო, რა გყო,  
სული შევეკრას, შენს სუნთქვას  
ვგრძნობდე მხოლოდ მე, თვალებით,  
ვერ მიპოვო და ვერ მნახო,  
აულს ნაგერითოს ალები.

\* \* \*

მე შენი თვალების ცქერა მწადია,  
ვიღებ ხელჩანთას, მოვდივარ  
შენთან

და ვიძირებით ვნების მორევში,  
შენა ხარ ჩემი რომიც და მექაც.  
მერე ქალაქში გავისეირნებთ,  
შემოვუსხდებით მაგიდას ერთად,  
ჩა და ყავა, როგორც

ყოველთვის,  
შენა ხარ ჩემი რომიც და მექაც.  
ხელს შუბლზე იდებ და ჭმუხნი  
სახეს,

იჩქარი მუდამ, იჩქარი დღესაც,  
ახლა თოვს, მალე გაიამინდებს,  
შენა ხარ ჩემი რომიც და მექაც.



## მოწი, ნუ გაგიკარდება!

მე წვიმა მიყვარს,  
ახლაც წვიმს,  
ზომა ემატა წყალს,  
ხან გზებზე მიედინება,  
ხან შეერთვება ზღვას,  
მოძი, ნუ გაგიკარდება, –  
ჩემს გულს კვლავ  
გვალვა კლავს.

31



## მაია დიაკონიძე

წვიმს...

\* \* \*

მე შენი სულის ნაწილში მძინავს  
და საპანად შენი მახურავს ფიქრი,  
ვგრძნობ, რომ როდესაც ამ საპანს ვიხდი,  
დგება მაშინვე სხვა ფიქრთა რიგი.

\* \* \*

შენ ჩემი თოლი ხარ, თოლიგე,  
მუდამჟამს მწყურიხარ, მინდიხარ,  
ერთი რამ ვერ გაითავისე,  
უშენოდ ლამე და ბინდი ვარ.  
მზესავით დამზვი და მომხიბლე,  
შენთვის მომღერალი ჩიტი ვარ. ხარ!

წვიმს და ელვასავით დამიდიან,  
შენთვის ნაფერები სტრიქონები,  
მინდა ღრუბელივით დავიწურო,  
ქარის მონამღერი სონეტებით.  
სიზმრებს სიმარტოვის სუნი დაჰკრავთ,  
სხეულს – უსამართლო განაჩენის,  
მალებს მიჰყვებიან სინანულის  
მკვლელი სისხლიანი ყაჩალები.  
მინდა ძველებურად მოგეხვიო,  
თვალებს გადახხადო შავი ფარდა,  
ზღვაზე მეკობრეთა მეგზურივით,  
ნავებს მიაქანებს სევდის აფრა.  
ახლა ყველაფერი სულერთია,  
დღომ მეც მომისაჯა განაჩენი,  
შენკენ გამოვყვები ნაფეხურებს,  
ქვეყნად ნუმც ყოფილა დანარჩენი.

## ჩემო მახარია!

## შემომხეფე, შეგიყვარდე იქნებ!

გაზაფხული მოვიხვიე მხრებზე,  
ალარ ვუფრთხი წვიმასა და ქარებს,  
დედამინის სიყვარული მომაქვს,  
შემომხედე, იქნებ შეგიყვარდე.  
თავაწყვეტილ რაშებს მოვაქანებ,  
გადავუსწრებ ცაში მფრინავ ღრუბლებს,  
მზის სხივებსაც გადმოგიშლი ულალებს,  
შემომხედე, იქნებ შეგიყვარდე.  
მოჟღურტულე ჩიტუნიებს ვანდობ  
ჩემს სიყვარულს და სევდიან ფიქრებს,  
შენთან ყოფნას დღენიადაგ ვნატრობ,  
შემომხედე, შეგიყვარდე იქნებ.

დილა მემუქრება: – ალარ გავთენდები!  
ლამე მებუტება, ამბობს: – გვიანია!  
ცაზე გადაფინეს ღრუბლის მარმაშები,  
წვიმას შეუყყვარდი, მანვიმს რა ხანია...  
დღეო, გათენდი და ლამევ, ჩამომშორდი!  
დილის სადიდებლად ვმღერი რა ხანია,  
ღრუბელს გადავრეკავ, ქარად გადვიქცევი,  
ცრემლებს ამოგიშრობ, ჩემო მახარია!!

## უჩემონით გაივსება ქუჩა!

მე წვიმაში სიარული მიყვარს,  
წყალს რომ გვასხამს ზეცა ნისლის თეფშით,  
აივსება წვიმით ყველა შუშა,  
– დროა, შვილო! – ზეციერი მეტყვის.

ოლქ. №5, 2021





ავუყვები ცისარტყელას კიბეს,  
იქნებ ვინმემ შემაშველოს მკლავიც,  
უჩემობით გაივსება ქუჩა  
და უჩემოდ დაიღვრება წყალი.

\* \* \*

მინდა ასგზის გიგალობო, დედოფალო,  
ცას სწვდებოდეს შენთა შვილთა დანამდერი,  
ერი შენი ისევ ცოცხლობს, ისევ ხარობს,  
შენ ხარ ჩვენი სულისთქმა და გადმირჩენი.  
შენს სხეულზე ურჯულოსაც უტირია,  
ცრემლი მოსწყდა შაპ-აბასის რჩეულ ვარდებს,  
შირაზს ახლაც ცეცხლისფერი აისია,  
სისასტიკეს სათხოება დაამარცხებს.  
გაიღიმე, ჩემო ტკბილო დედოფალო,  
შენს თვალებში ისევ ვხედავ სევდის ჩრდილებს,  
საქართველოს თავს ღრუბელი დასდგომია,  
ყვავ-ყორნები შესევია აკაციებს.  
მაგრამ ვიცი, ქრისტეს რწმენა გადაგვარჩენს,  
დაშინთული მკერდით ლოცავ ერის შვილებს,  
გაიღიმე, ცის და მინის დედოფალო,  
საკმევლის სუნს გამოვატან ნატანჯ ფიქრებს.

\* \* \*

იღიმები, ოპ, რა ტკბილად იღიმები,  
თვალთვან გცვივა იები და მზის სხივები,  
ეს რა ტანჯვა მომივლინე მინიერი,  
შემოგყურებ ზეციერს და ვერა გწვდები

\* \* \*

მამა და თოვლი, მინდა ენახო რაღაც საერთო  
და გლოვის ნიშნად ჩამოვკრავდი თითებს  
კამერტონს,  
თოვლივით სპეტაკს ატარებდა მამა პერანგებს,  
თეთრი წვერებით მაგონებდა მოხუც მეზღაპრეს,  
გრძნობანათევი, სიყვარულით საესე ფიქრებით,  
თოვლია სწორედ, ვერ გაზომავ ამას ნიხრებით.  
მაგრამ რა არის, ნეტავ, კიდევ მათში საერთო?!  
გაცივდა გული და ჩამოვკრავ თითებს კამერტონს.

მდნარი თოვლივით მიუჩინა მინამ ადგილი  
და არ ყოფილა მოშორება მშობლის ადვილი,  
ფერად სიზმრებში მეჩვენება ჩემი მეზღაპრე,  
ერთი მუჭა ვარ, დევისხელა ვხდები დილაზე.  
თბილია ყველა მოგონება, ტკბილი, მზიური,  
მასთან შეხება უკვდავია, მარადიული,  
„ნახვამდის, მამა“, – სიტყვებია თოვლივით ცივი...  
ეს მანვალებს და „მაპატიეს“ წლებივით ვითვლი.


## მე მაპატიე!

### ტერენტი გრანელს

ნალვლით საესე ხარ, სევდიანი, მუდამ მდუმარე,  
აგვიდებია მინის სუნი, ზამთრის ფიქრები,  
ჩიტივით დამფრთხალ შენს გულისთქმას ვეღარ  
უწამლე, –  
„მინყივ მუხთალი“ წუთისოფლის ბრუნვას მიჰყევი.  
მარტოობას და დიდ განსაცდელს შორს წაუხვედი,  
მაგრამ ქალაქმაც ცოლიანი შუქით დაგონდა,  
სულს გიხეთავდა მარტოობის მძიმე უღელი...  
ცისფერ თვალებში ზეციერის სევდა დაგქონდა.  
სასაფლაოზე მისულს, ვიცი, ამედევნები,  
მიჭირისუფლებ, ჩემი ცრემლის თანაზიარი,  
მჭმუნვარე რაინდს დონ კიხოტის გული გიძგერდა  
და მწუხარება გიზიდავდა ათასწლიანი...  
იმ ლამეს წვიმდა, შენი ლანდი ვნახე ჩრდილებში,  
შემოსვლა გსურდა, მაგრამ კარი უცებ ჩავრაზე,  
მე შემეშინდა, რომ ღვთიური შენი არსება  
ვერ იგუებდა წუთისოფლის ბედით დარბაზებს.  
მე მაპატიე, მე მაპატიე!

## ეძინა ქალაქს

გზად შემოდგომის ამინდი იდგა, –  
ქარი აფენდა ფოთლების საბანს,  
აურიალებდა დანესტილ მინას,  
ნისლს უხდებოდა ცისფერი კაბა.  
და სიმარტოვე არღვევდა ქუჩებს. –  
წლებს მიათრევდა – ასა და ათასა,  
ციოდა. წვიმდა. იქნებ სტკიოდა,  
მაგრამ ღრმა ძილით ეძინა ქალაქს.



# მიხე მოსულივალი

جذب انتباه وسائل الاعلام والجمهور الى اهمية انتخابات مجلس الشورى

## ოფიციალური თეატრი

(საბავშვო პიესა ერთ სიზმრად და ცხრა ზმანებად)

მოქმედებენ:

**მოქმედების ადგილი:** სალი-სალიკუნას ოთახი.

**1. სალი-სალიკუნა** – ცხრა წლის. თავისი ლეპტოპის წყალობით უკვე იცის, რას ნიშნავს „გა-off-ება“ და „გა-off-off-ება“.

2. ანდუყაფარ პროტაგონისტი – ხოხობი.

**3. მაესტრო ტიკსუსუნე** – სიზმრებში მოხეტიალე ოფოფების თეატრის მეპატრონე, კორიფე და ფურორი. დითირამბები არ სჭირდება.

5. ქალბატონი ოვაცია – პირველი მსახ-  
იობი თელავი.

6. ქალბატონი კაკაფონია – მეორე მსახ-  
იობი ღვთვები.

7. ქალბატონი ილუზია – მესამე მსახიობი ითვლიდა.

**მოქმედების დრო:** ოცდამეტთე საუკუნის დროის დასაწყისი.

აუცილებელი შენიშვნა, ანუ, რას ნიშნავს  
ინტერნეტული ტერმინი „გა-off-ება“ და „გა-  
off-off-ება“:

სიტყვა off ინგლისურ ენაში გადმოსცემს მოშორებას, ასევე ნიშნავს გარეშეს, გვერდითს, მიმდებარეს; ხოლო გაორმაგებული off-off ნიშნავს გვერდითის გვერდითს, მიმდებარის მიმდებარეს, გარეშეს გარეშეს.

## სცენა წარმოადგენს:

ჩვეულებრივ საბავშვო ოთახს, ტახტით, ორი სავარძლით, მუსიკალური ცენტრით, სასტუმროში გამავალი კარით, კედლებზე ოპერის მომღერლების პლაკატებით, ჭერზე დაკიდული ძველებური ჭალით, საწერი მა-გიდით, რომელზეც გახსნილი ლეპტოპი დგას. უკანა, ყრუ კედელთან დგას დიდი, სამკარ-იანი ტანსაცმლის კარადა (სალი-სალიკუნას გარდერობი), რომლის შუათანა, უფრო დიდ კარს წინიდან იმსელა სარკე აქვს, რომ შიგ ათამიანი თავითან ფეხებამდე მოჩანს.

**ჰირველი ზეანები – სალი-სალიკუნი თავის გარდეოროგში ცხოვრობს**

(მაგიდაზე დგას გაშლილი ლეპტოპი, საიდანაც ისმის ვიოლეტას არია ჯუზებე ვერდის „ტრავიატადან“. გარდერობიდან გამოდის სალი-სალიკუნა, დედამისის სასქორწინო კაბა ჩაუცვამს, დიდ ფეხსაცმელებში წაუკვია ფეხები. თავზე ჩამოყოფხატია ამავე

კაბის შესაფერისი, ბუმბულებით გაწყობილი შლაპა, ხელში მიკროფონივით უჭირავს ოვალური სავარცხელი და ცდილობს ხმა ააყოლოს ვიოლეტას არიას. არია მთავრდება, სალი-სალიკუნა წარბებს შეიკრავს და ლოყიებს გამობერავს, თან ხმას იბორებს).





**სალი-სალიკუნა** – ჰმ-ჰმ-ჰმ... იცით, ქალბატონო... ჰმ-ჰმ-ჰმ... (ქალის ხმით) გისმენთ, პატივცემულო, მთელი ყურადღებით და დიდი მოლოდინით... (ბოხი ხმით) იცით... ჰმ-ჰმ-ჰმ... თვენი ქალიშვილი ძალიან კარგი გოგონაა... ჰმ... მაგრამ... როგორ გითხრათ... ჩვენთან ვერა და... იქნებ საესტრადო სიმღერაზე მიგეყვანათ... (ქალის ხმით) ძალიან უნდა, რომ პრიმადონა გახდეს. სულ ამაზე ოცნებობს... ფორტუნინოს

ყველა ოპერა აქვს მოსმენილი... უბრალოდ მოსმენილი კი არა, ხმის აყოლებით... (კაცის ხმით) მარტო ხმის აყოლება რომ შველოდეს, ეჭ, ქალბატონო... (ქალის ხმით) დამოუკიდებლადაც მღერის ხოლმე... დღე და ღამე... სულ ფორტუნინოს ოპერებს... (კაცის ხმით) თქვენი ბავშვი ვერ გახდება სოპრანო, სამწუხაროდ... და ეს ფორტუნინო... ჰმ-ჰმ-ჰმ... რომელი საუკუნის მოღვაწეა? (თავისი ხმით) ვაიმე, დე!.. როგორ მინდოდა!.. როგორ მინდოდა, ოპერაში მემღერა!.. (წაიცეკვებს სასაცილო მოძრაობებით. ქალის ხმით) შენ არ იდარდო, სალი-სალიკუნა! ამან ისიც კი არ იცოდა, ფორტუნინო ვინ არის... ჩვენ სხვას ვნახავთ, ვინმე ისეთს, ვისაც ეცოდინება, რომ ფორტუნინო არის ჯუზეპე ფორტუნინო ფრანჩესკო ვერდი და ის მიგიღებს! შენ შემოგვლოს შენი დე, დე!.. (ცრემლს მოიწმენდს. მერე სარკეში გაეპრანჭება საკუთარ თავს და თავისი ხმით).

ვაიმე, როგორ მაოცებ,  
თავი მგონია ფორუმზე –  
დგახარ და თემას ა-off-ებ,  
ვერ შევთანხმდებით ქვორუმზე...

(საკუთარ თავს უკეთებს კნიქსენს სარკეში) სალი, სალი-სალიკუნა, როდემდე უნდა იცხოვორო ამ გარდერობში? როდემდე უნდა ანერვიულო დედა?.. არ ვიცი, მე სულ ამ ჩემს გარდერობში ვიქები... (პაუზა) მოდი, გინდა გავაოფოთ? (გადაიკისკისებს). გავაოფოთ და გავაოფოთ!.. სულ ოფოფები ვაფრინოთ!.. (ისმის ფეისბუკის „მესინჯერში“ მოსული შეტყობინების აღმნიშვნელი მუსიკალური ნაწყვეტი). ვაი! ვიღაცამ დამიმესიჯა!.. აბა, მარტო მე კი არა მყავს ოფოფები! (მიდის ლეპტოპთან, „მესინჯერს“ გახსნის) ვისგან



## მიხე მოსულიშვილი

არის, ვისგან და... (მაუსს ამოძრავებს, ტექსტს ჩამოსწევს) ბრავო-ბრავო-ბრავისიმო, ბის! ანუ ოთხი „ბე“... (სიცილი აუტყდება). ძალიან მაგარია! მართალია, მე ეს ვიღაც „ოთხი ბე“ მეგობრებში არ მყოლია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს? (კითხულობს შეტყობინებას) სიზმრებში მოხეტიალე ოფოფების დასი და, რაც მთავარია, თეატრის პატრონი, კორიფე და ფურორი, მაესტრო ტიკს... ტიკსუსუნე... (გადაიკისკისებს) მაგარია! (აგრძელებს კითხვას)

აცხადებენ კასტინგს მსახიობობის ნიჭით დაჯილდოებული ბავშვებისთვის პროტაგონისტის ადგილის დასაკავებლად. (ჩაფიქრდება) „კასტინგი“ ვიცი, დედამ მასწავლა, მსახიობების შერჩევა. აი, ეს პრო... რაღაცა კი... (მხრებს აიჩეჩავს) მაგრამ ახლავე გავიგებ... (მაუსს დაუწყაპუნებს) მოვნიშნეთ ეს პრო... რაღაცა სიტყვა და „კოპი-პეისტით“ გადავიტანეთ გუგლის ძიების სისტემაში და მივეცი „სირჩ“ – ძებნა!.. აი, ვიკიპედიას ლინკიც ამოაგდო!.. (ისევ დაუწყაპუნებს) ახლა ვნახოთ... (კითხულობს) „პრო-ტა-გო-ნისტი“... პროტაგონისტი – ძველი ბერძნული თეატრის მთავარი და უნელესი როლების სამი შემსრულებლიდან საუკეთესო, პრემიერი. მასვე ევალება რეჟისორობა... (ტაშს შემოჰკრავს) პრემიერი ვიცი, პრიმადონასავით არის!.. იეს! იეს! იეს! ძალიან მაგარია! თან მსახიობიც ხარ და თან რეჟისორიც!.. თუ პრიმადონა ვერ გავხდები, პროტაგონისტი მაინც ვიქნები! რით არის თეატრი ოპერაზე ნაკლები? არაფრით!.. (ეკრანს უყურებს) მაგრამ აქ არც მისამართი წერია, სად უნდა მიმიკვანოს დედამ და არც ტელეფონის ნომერია... თან ეს „ოთხი ბე“ ჩამქრალია და რომ შემოვა, შევეკითხები... (წამოდგება და ისევ წაიცეკვებს სასაცილოდ).

## სალი-სალიკუნას სიმღერა

სალი, სალი-სალიკუნა –  
კიდევ ერთხელ გაიბუტა –  
ახლოსაც კი ვერ მივიდა  
პრიმადონას ჰაბიტუსთან.

ვერ ივარგა სოპრანოდ და  
კვლავ გარდერობს დაუბრუნდა.  
უხარიათ: ბებოს, დედას,





მამიკოსაც, რა თქმა უნდა.

სალი, სალი-სალიკუნა  
გარდერობთან გაისუსა:  
თეატრიც რომ კარგი არის –  
ეს უქარვებს დარდის სუსხსაც.

დედას კაბა ჩაიცვა და  
თან სუნამოც დაიპურა:  
მსახიობი გახდება და  
ფართო შლაპას დაიხურავს.

(ისმის კაკუნი).

## მეორე ზმანება – დამალე ანდუყაფარი!

(კაკუნი მეორდება).

**სალი-სალიკუნა** – ვერ გავიგე, რატომ აკაკუნებენ! (კაკუნი მეორდება). ამ ბინას ხომ აქვს ზარი? (გასასვლელისკენ მიდის სა-საცილოდ. კაკუნი უფრო ხმამაღლა ისმის) ვაი!... საიდან აკაკუნებენ?.. (გარდერობისკენ გაიშვერს ხელს) აქედან!.. (ისევ ისმის კაკუნი უფრო ხმამაღლა) ვაიმე, ჩემი გარდერობიდან მიკაკუნებენ! (იმალება სავარძლის უკან).

**ანდუყაფარი** – (გარდერობის კარს ოდნავ გამოხსნის და თავს გამოყოფს) უკაცრავად...

**სალი-სალიკუნა** – ვაიმე, ქურდი! (გაქცევას ცდილობს, მაგრამ კაბაში გაიხლართება და დაეცემა).

**ანდუყაფარი** – ბოდიშს ვიხდი, თქვენ ხომ პროტაგონისტს ეძებდით?

**სალი-სალიკუნა** – (წამოდგომას ცდილობს და ვერ დგება) თქვენ ხართ?

**ანდუყაფარი** – (კარს უფრო გააღებს და ჯერ თავს გამოყოფს) მოგეხმარებით...

**სალი-სალიკუნა** – არ მომეკაროთ, თორემ ისე ვიკივლებ, ყველა აქ მოვა!

**ანდუყაფარი** – ბოდიშს ვიხდი... (ისევ კარს მიიხურავს) შეიძლება, შემოვიდე და წამოდგომაში მოგეხმაროთ?

**სალი-სალიკუნა** – თქვენ ვინ ხართ?

**ანდუყაფარი** – ხომ გითხარით, პროტაგონისტი ვარ მეთქი. ჰო, პროტაგონისტი ვარ და სტუმრად მოვედი!

**სალი-სალიკუნა** – არ ვიცოდი, პროტაგონისტები თუ გარდერობებიდან იარებოდნენ სტუმრად. (ისევ წამოდგომას ცდილობს, მაგრამ დაეცემა) ვაი!..

**ანდუყაფარი** – მეტის მოთმენა აღარ შეიძლება! (გამოდის გარდერობიდან, ხოხო ბივით ფერადი ბუმბულები აქვს).

**სალი-სალიკუნა** – (გაოცებული) თქვენ ხოხობი ბრძანდებით?

**ანდუყაფარი** – ჰო, ხოხობი ანდუყაფარი, სპეციალობით პროტაგონისტი ოფოფების თეატრში, უფრო სწორად, ყოფილი... (წამოაყენებს სალი-სალიკუნას) ძალიან ლამაზი

კაბა გაცვიათ, ცოტა დიდი რომ არ გქონდეთ...

**სალი-სალიკუნა** – ეს დედაჩემის საქორნინო კაბაა და...

**ანდუყაფარი** – ძალიან გიხდებათ, ქალბატონო სალი.

**სალი-სალიკუნა** – თქვენ საიდან იცით ჩემი სახელი?

**ანდუყაფარი** – პროტაგონისტებმა, თუნდაც ყოფილებმა, ძალიან ბევრი რამე ვიცით...

**სალი-სალიკუნა** – დაბრძანდით, ანდუ... სტუმრი, თუნდაც გარდერობიდან მოვიდეს, მაინც ღვთისაა...

**ანდუყაფარი** – „ანდუ“ მომწონს!.. ხოლო სტუმრი მაშინ უფრო ღვთისაა, თუკი უსამართლოდ მოექცნენ, იმათ გამოექცა და ძლივს მოაღწია თქვენამდე, ძლივს...

თავშესაფარს გთხოვთ, დედოფალო!

**სალი-სალიკუნა** – ჯერ ერთი, მე დედოფალი არა ვარ, სალი მქვია, სალი-სალიკუნა და ჩვეულებრივი ვარ... თუმცა უკვე იცით ჩემი სახელი...

**ანდუყაფარი** – და მეორეც?

**სალი-სალიკუნა** – და მეორეც, ვაითუ... ბოდიში, მაგრამ ქურდი რომ იყოთ?

**ანდუყაფარი** – ქურდი, ჩემო კარგო, შეიძლება იყოს გუგული! ან მაესტრო ტიკ-სუსუნე!.. აბა, ვის გაუგონია, რომ რომელიმე ხოხობს ექურდოს?

**სალი-სალიკუნა** – არც მე გამიგონია, მაგრამ აქ სტუმრები კარიდან შემოდიან და არა გარდერობიდან!

**ანდუყაფარი** – როგორ გეკადრებათ, ძვირფასო სალი, როგორ?.. განა არ იცით, რომ მაესტრო ტიკსუსუნეს განკარგულებით, ოფოფების თეატრის დიდი გარდერობი მსოფლიოს ყველა გარდერობის ქსელშია ჩართული? და რამდენადაც ვიცი, ყოველთვიურ გადასახადსაც პატიოსნად იხდის „ოთხი ბე“, თორემ აქამდე გამორთავდნენ.

**სალი-სალიკუნა** – ეგენი მართლა არსებობენ?





#### მხატვარი სოფიო ჭელიძე

**ანდუყაფარი** – ძალიან მართლა! მაესტრო ტიკ-სუსუნე კი ასე გეტყოდათ! (ცხვირში ნიღნილებს) დიქცია – კარგი! მიმიკა – ცუდი! ჟესტი – ბუნდოვანი! ულამაზო გრიმასა – არ გინდა! თუ იმუშავებთ – გელით სრული ფურორი! თუ იზარმაცებთ – სრული ფიასკო! დითირამბები – არ მჭირდება!

**სალი-სალიკუნა** – მაინც საიდან გაიგეთ ჩემი სახელი?

**ანდუყაფარი** – ყველაფერი მესმის... წელან თქვენი ლექსიც მოვისმინე და გამოგიტყდებით, მშვენიერი დეკლამაცია იყო. და სარკის წინ გათამაშებული როლებიც მშვენიერი... უკვე დედათქვენსაც ვიცნობ და იმ თქვენს უგუნურ დამწუნებელსაც...

**სალი-სალიკუნა** – უგუნურს?

**ანდუყაფარი** – ჰო, უგუნურს! და ამას მე გეუბნებით, ოფოფების თეატრის ყოფილი პროტაგონისტი! გამარჯობა! (ხელს გაუწვდის) ანდუყაფარი!

**სალი-სალიკუნა** – (ხელს ჩამოართმევს და კნიქსენს აკეთებს) სასიამოვნოა...

**ანდუყაფარი** – მშვენიერი რევერანსია! ვინ გასწავლათ?

**სალი-სალიკუნა** – დედამ მითხრა, რომ ეს კნიქსენია!

**ანდუყაფარი** – (გაიცინებს) ახლა თქვენ ფიქრობთ, რომ ერთ-ერთი ჩვენგანი თემას ა-off-ებს! ა-off-ებს და ა-off-off-ებს!.. გამოვიცანი?

**სალი-სალიკუნა** – მე – არა, ყოველ შემთხვევაში!.. გინდათ, „რევერანსიც“ გუგლში მოვძებნოთ?

**ანდუყაფარი** – არა, ისედაც ვიცი! კნიქსენი არის გერმანულად! ფრანგულად არის რევერანსი! ეს არის ქალის მიერ თავის დაკვრა მარჯვენა მუხლის ოდნავი ჩაკეცვით!..

**სალი-სალიკუნა** – დავი-მახსოვრებ!

**ანდუყაფარი** – მაესტრო ტიკ-სუსუნე კი ასე გეტყოდათ! (ცხვირში ნიღნილებს) დიქცია – კარგი! მიმიკა – ცუდი! ჟესტი – ბუნდოვანი! ულამაზო გრიმასა – არ გინდა! თუ იმუშავებთ – გელით სრული ფურორი! თუ იზარმაცებთ – სრული ფიასკო! დითირამბები – არ მჭირდება!

**სალი-სალიკუნა** – ვაიმე, ანდუყაფარ! ვაიმე და კიდევ ვაიმე!

**ანდუყაფარი** – რატომ ვიშვიშებთ?

**სალი-სალიკუნა** – მე ერთი პატარა გოგო ვარ და ამდენი უცხო სიტყვიდან მარტო „დიქცია“ ვიცი! სიტყვების სწორად წარმოთქმაა! ესეც დედიკომ მასწავლა!

**ანდუყაფარი** – თქვენ პატარა კი არა, დიდი ქალბატონი ხართ! სტუმართმოყვარე! დევნილის შემფარებელი! თანაგრძნობის ნიჭით! და ახლავე აგიხსნით ყველაფერს... (სახის გამომეტყველებას იღებს) აი, ეს არის „მიმიკა“ – სახის კუნთების მოძრაობით შინაგანი განცდისა და გრძნობების გამოხატვა.

**სალი-სალიკუნა** – (ისიც მიბაძავს) ეს მეც შემიძლია!

**ანდუყაფარი** – ჟესტი! (ხელებს ამოძრავებს) ხელების მოძრაობით აზრის ან განცდის გამოხატვა. მეტყველების დამატებით საშუალება. ხოლო გამოთქმა „ლამაზი ჟესტი“ – მოსაწონი ქმედებაც არის. თქვენ ლამაზი ჟესტი გააკეთეთ, მე რომ შემომიშვით.

**სალი-სალიკუნა** – უკვე გავიგე... და გრიმასა?

**ანდუყაფარი** – გრიმასა არის სახის განგებ ანდა უნებური მანქვა. ალფრო-



ვანების ან უსიამოვნების გამოსახატავად... ან ვისიმე გამოსაჯავრებლად... მაგალითად, „ოთხ ბეს“ აი, ასე დაუხტის სახის მარჯვენა მხარე (აჩვენებს).

**სალი-სალიკუნა** – (გაიცინებს) მაგარია!.. და ფურორი და ფიასკო?

**ანდუყაფარი** – ფურორი არის საჯარო წარმატება სპექტაკლის ჩვენებისას, ასევე აღფრთოვანება!.. ფიასკო კი – პირიქით, – მარცხი, კრახი.

**სალი-სალიკუნა** – ესე იგი, მე ფიასკო მომივიდა საოპერო სკოლაში?

**ანდუყაფარი** – სკოლასაც გააჩნია, ჩემო კარგო!.. იქ თუ უნიჭობი სხედან, ნიჭიერს გზას გადაუდობავენ... აი, მე კი კარგ მომავალს და სრულ ფურორს გინინასწარმეტყველებ!

**სალი-სალიკუნა** – და სულ არ აოფებთ?

**ანდუყაფარი** – სულ არა, ერთი წამითაც კი!

**სალი-სალიკუნა** – მართლა?

**ანდუყაფარი** – კი, ძალიან!..

**სალი-სალიკუნა** – (სიხარულით) და მაესტრო ტიკესუსუნე რომ ამბობს, დითირამბები არ მჭირდებაო...

**ანდუყაფარი** – დითირამბი რა არის?

**სალი-სალიკუნა** – ჰო.

**ანდუყაფარი** – დითირამბი სახოტბო ლექსს ან გადაჭარბებულ ქებას ნიშნავს...

**სალი-სალიკუნა** – და მართლა არ სჭირდება დითი... დითირამბები?

**ანდუყაფარი** – პირიქით ამბობს! თუ სახოტბო ლექსს ვერ დაუწერ ან ვერ შეაქებ, ვაი, შენი ბრალი! ადრე კარგ სპექტაკლებს დგამდა, სანამ გამოსაქცევად არ გამიხდა საქმე...

**სალი-სალიკუნა** – და რატომ გამოიქცი?

**ანდუყაფარი** – მოკლედ, ერთი ტიკესუსუნე ოფოფია, რაც არ უნდა ბევრი ასევა, მაინც იძახის, დამალევინეთო...

**სალი-სალიკუნა** – აა, გამოვიცანი –

თქვენ იმდენს ვერ სვამდით, რამდენსაც ის!.. **ანდუყაფარი** – ეგ რა შუაშია?.. თეატრს ფრთები უნდა ჰქონდეს, ფრთები და არა ჩლიქები!..

(ისმის კაკუნი).

**სალი-სალიკუნა** – ვიღაც მოვიდა!.. და ისიც გარდერობიდან!

**ანდუყაფარი** – და ნუ მიყურებ ასე გაკვირვებული! როცა საქმე თეატრის გადარჩენას ეხება, უნდა გაა-off-ო და გაა-off-off-ო კიდეც!

(კაკუნი მეორდება, უფრო ხმამაღლა).

**სალი-სალიკუნა** – რამდენიმე აკაკუნებს!

**ანდუყაფარი** – მოვიდნენ! მოვიდნენ და მეც აქ დავხვდები ჩემი პატიოსანი თეატრის იდეით! არ მეშინია მე მაგათი! არა!

(გარდერობის კარზე უფრო მეტი ვინმე აკაკუნებს).

**სალი-სალიკუნა** – ესე იგი, ოფოფებს უპატიოსანო თეატრი აქვთ?

**ანდუყაფარი** – (მიმართავს გარდერობს)

**ანდუყაფარი – ოფოფების თეატრს**

თქვენ, ყველანი ხართ ნატვრის ქურდები, მე თქვენ არასდროს დაგიბრუნდებით!.. ბავშვების ნატვრებს დამიზნულები, ბოლმის ისრებით დაისრულები, მტრობით, ინტრიგით გაფიცულები – თქვენ ბოროტ ამბებს ჰყვებით სრულებით.

თქვენი მონიბით დახვალთ კრულები,

აფსუს, ნიჭები – დაკარგულები!

მე კი ვსარგებლობ ნასვლის უფლებით!

მე თქვენ არასდროს დაგიბრუნდებით!

## მესამე ზეანება – შემოდის ოფოფების თეატრის დასი

(გარდერობიდან ერთბაშად ბევრი აკაკუნებები).

**ანდუყაფარი** – მოდით, მოდით და მეც აქ დაგიხვდებით!

**სალი-სალიკუნა** – მობრძანდით! კარი ღიაა!

**ოთხი ბე** – სიზმრებში მოხეტ... (გარ-

დერობის კარიდან თავგამოყოფილ ოთხ ბეს ხელს სტაცებენ და უკან შეაგდებენ).

**ქალბატონი ოვაცია** – ტაში! ტაში! ჩქარა ტაში! (ახლა იმას გადააგდებენ უკან).

(ამჯერად გარდერობის კარში ერთად უნდათ გამოსვლა ქალბატონ კაკაფონიას და ქალბატონ ილუზიას, მაგრამ ვერ გამოტეუ-





ლან. გამოჩენდება ოთხი ბეს და ქალბატონი ოვაციას თავებიც. ზედახორა იმართება გარდერობის კართან).

**ოთხი ბე** – დამაცადეთ! გამოსვლა დამაცადეთ!

ქალბატონი ოვაცია – მე ვერ დამასწრებთ!  
ქალბატონი კაკაფონია – პირველი მე ვიყავი!

ქალბატონი ილუზია – გეჩვენება! შენ კი არა, მე!

ქალბატონი ოვაცია – ეგ კიდევ გასარკვევია!

ქალბატონი კაკაფონია – იქით გაიწიე, შესაძაგელო!

ქალბატონი ილუზია – საძაგელი თქვენსკენ მოიკითხე!

ქალბატონი ოვაცია – შენ ის არა ხარ, ჩემი ქოლგა რომ მოიპარე და მერე ვითომდაგრჩა?

ქალბატონი კაკაფონია – ის ქოლგა რეკვიზიტში არ შედიოდა! და შენ რომ ზუსტად ჩემნაირი საღამოს კაბა ჩაიცვი?

ქალბატონი ილუზია – შენნაირი კი არა, ჩემნაირი!

**ოთხი ბე** – სიზ... სიზმრებში მოხეტ... იალე ოფ... ოფოფ... (პირზე ხელს ააფარებენ და ისევ უკან შეაგდებენ).

**ანდუყაფარი** – ამ საწყალ ოფოფებს რაღას ერჩიოდნენ?! ვითომ ამათ უნდა დამაბრუნონ უკან?

ქალბატონი კაკაფონია – აქ ვიღაცამ გვახსენა!

ქალბატონი ილუზია – მოგეჩვენა!

ქალბატონი ოვაცია – ანდუყაფარის ხმა იყო თითქოს!

**ოთხი ბე** – (როგორც იქნება, გამოვა კარადიდან) მაგრამ მე აქ მხოლოდ სალი-სალიკუნას ვხედავ!

ქალბატონი ილუზია – (ისიც გამოდის) გამარჯობა, გენაცვალე! (ხელს ჩამოართმეეს სალი-სალიკუნას). შეგიძლია, ქალბატონი ილუზია დამიძახო.

სალი-სალიკუნა – სასიამოვნოა.

ქალბატონი კაკაფონია – (ქალბატონ ილუზიას) ამჯერად მართალი ხარ... (ისიც ხელს ჩამოართმევს სალი-სალიკუნას) უბრალოდ დამიძახე, ქალბატონი კაკაფონია! და, რასაკვირველია, სალუტ, ჩიტუნია! (საიდუმლოდ) მერე ცალკე დამელაპარაკე და ჩემი მკერავის მობილურს მოგცემ, შენი – არ ვარგა, ძალიან დიდი კაბა შეუკერია შენთვის...

ქალბატონი ოვაცია – ოი-ოი-ოი! ჩემი

აპლოდისმენტები და ამოუწურავი ოვაცია ამ მშვენიერ ქალბატონს! (არც უყურებს სალი-სალიკუნას). ანდუყაფარ, ძვირფასო!.. მე შენ მოგიხმობ!

**ანდუყაფარი** – გისმენთ, ქალბატონო ოვაცია!

ქალბატონი ოვაცია – (უიმედოდ) ნუთუ ისე დაიკარგა, რომ ვეღარასოდეს ვნახავ?..

**ოთხი ბე** – ძვირფასო სალი-სალიკუნა, მოგესალმებათ სიზმრებში მოხეტიალე თეატრის დასი!

სალი-სალიკუნა – გამარჯობა!

ანდუყაფარი – მე თუ ესენი მართლა ვერ მხედავენ და, – სულ გამოშტერებულან!

სალი-სალიკუნა – რაზე შეწუხებულხართ?

ქალბატონი ოვაცია – პროტაგონისტი გაგვექცა, ანდუყაფარი...

**ოთხი ბე** – (ქალბატონ ოვაციას) რა შუაშია ანდუყაფარი?! (სალი-სალიკუნას ულიმის) ჩვენ ჯერ განცხადება გაახლეთ მესინჯერით და ახლა კასტინგზე გეახელით!

სალი-სალიკუნა – კი, წავიკითხე, მაგრამ ვიფიქრე, ვიღაცა ა-off-off-ებს მეთქი.

**ოთხი ბე** – მერედა, თქვენ კი არ გინდათ გაოფოფება?.. აბა, ამ დიდებულ ქალბატონებს შეხედეთ, როგორ დანარნარებენ! (ოფოფები გარშემო უფრენენ სალი-სალიკუნას).

ქალბატონი ოვაცია – ოვაცია ჩემ სავარცხელს, ამოუწურავი ოვაცია!

ქალბატონი კაკაფონია – ხმები მინდა, ბევრი ხმები!

ქალბატონი ილუზია – აი, მე კი ჩემ ილუზიებთან ერთად ვცეკვავ!.. (ეცეკვება ანდუყაფარს).

ანდუყაფარი – მე ილუზია არა ვარ, არა!

**ოთხი ბე** – (ტაშს შემოჰკრავს) ყურადღება, ვიწყებთ! (მოცეკვავე ქალბატონები შეჩერდებიან). სარეჟისორო მაგიდა – სცენაზე! (თავად გავარდება და გარდერობიდან გამოაქვს მაგიდა, ქალბატონ ოფოფებს გამოაქვთ: სკამი, საფერფლე, სიგარეტი, სანთებელა, მინერალური წყლის ბოთლი და ჭიქა. წმენდენ, ასუფთავებენ ყველაფერს და მაგიდაზე აწყობენ).

ქალბატონი ოვაცია – კინაღამ გამოვრჩა!.. ქალბატონო სალი-სალიკუნა, წარმოგიდგენთ დიდი მაესტრო ტიკასუსუნეს ასისტენტ-თანაშემწეს... (სალი-სალიკუნას თავს დაუკრავს ოთხი ბე).

ქალბატონი კაკაფონია – ჩვენი თეატრის პრეს-ატაშეს...





**ქალბატონი ილუზია** – გარდერობმაის-ტერს, სუფლიორს, გრიმიორს...

**ქალბატონი ოვაცია** – რეკვიზიტორს, მკერავს, მოლარე-პულალტერს...

**ქალბატონი კაკაფონია** – გამნათებელს, დარაჯს, კაპელდინერს...

**ანდუყაფარი** – თანამდებობა აღარ დარჩა, ამას რომ არ ეკავოს!

**ქალბატონი ილუზია** – და რაც მთავარია, დითირამბების დიდოსტატის...

**ქალბატონი კაკაფონია** – და შეთავსებით ქორეოგრაფიც გახლავთ!

**ქალბატონი ოვაცია** – ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის!

**ოთხი ბე** – (თავის კანტურს მორჩება) ანუ, მოკლედ, ოთხი ბე! (ხელზე მოწინებით ეამბორება სალი-სალიკუნას) და რაც უაღ-

რესად გადამწყვეტია! (გარდერობში შედის, იქიდან გამოდის გაბერილი ტიკით და ასევე გაბერილი ტომარით) მაესტრო ტიკსუსუნეს ტიკი-ტომარა!

**სალი-სალიკუნა** – სასიამოვნოა თქვენი გაცნობა! (კნიქსენს აკეთებს).

**ოთხი ბე** – კნიქსენი!

**ქალბატონი ოვაცია** – ვინ ასწავლა?

**ქალბატონი კაკაფონია** – ექსცენტრიკული რევერანსია თუ მეშლება?

**ქალბატონი ილუზია** – გეჩვენებათ...

**ოთხი ბე** – (თეატრალურ ზარს ააწკარუნებს) ყურადღება! ყურადღება! დიდი მაესტრო ტიკსუსუნე გვიახლოვდება!

**ოფოფები და ოთხი ბე ერთად** – (გაშს უკრავენ და სკანდირებენ) ტიკ-სუ-სუ-ნე! ტიკ-სუ-სუ-ნე! ტიკ-სუ-სუ-ნე! ვაშა! ვაშა! ვაშა!

## მეოთხე ზეავება – მაესტრო ტიკსუსუნე აცყობს

### კასტიგეს პირიეით

(ოთხი ბე გარდერობის კარს ფართოდ ალებს. ოფოფები ქოლგებს გადააჯვარედინებენ და საპატიო რიგს გააკეთებენ.

გარდერობიდან ჯერ მუნშტუკის წვერი გამოჩენდება, რომელსაც მოკიდებული სიგარეტი უკეთია. ამ მუნშტუკს მერე ღიპი მოჰყვება. ბოლოს თავად ტიკსუსუნეც გამოდის. ოთხი ბე რევერანსს უკეთებს და ყვავილების მაგივრად ქალალდის ფურცლებს უყრის გზაზე.

მაესტრო ტიკსუსუნე დინჯად გაივლის ოფოფების საპატიო რიგში, მიდის სალი-სალიკუნასთან, შემოუვლის გარშემო და ხელს გაუწვდის).

**ტიკსუსუნე** – მაესტრო ტიკსუსუნე!

**სალი-სალიკუნა** – (კნიქსენი) სალი-სალიკუნა!

**ოთხი ბე** – ჩვენ უკვე გიცნობთ!

**ტიკსუსუნე** – ჩემი ტიკი-ტომარა!

**ოთხი ბე** – ახლავე! (შეირბენს გარდერობში და იქიდან ზურგზე მოკიდებული ტიკით და გაბერილი ტომრით გამოდის).

**ანდუყაფარი** – ქურდების ტომარა! ქურდების ტომარა!

**ტიკსუსუნე** – (მიუჯდება სარეუსისორო მაგიდას) მე ვერ ვხედავ... მაგრამ... აქ ვიღაც... თითქოს რაღაცას ამბობს...

**ოთხი ბე** – არა, მაესტრო, მე არაფერი გამიგონია. (ოფოფებს) თქვენ?

**ოფოფები** – არც ჩვენ! არც ჩვენ!

**ოთხი ბე** – (სალი-სალიკუნას, ჩურჩულით) არც შენ! (სალი-სალიკუნა უკმაყოფილოდ აიჩერავს მხრებს).

**ტიკსუსუნე** – ბოლოს და ბოლოს! ვინც არ უნდა იყოს, ეგ ვისი ტიკი-ტომარაა, რომ თავს წამოვისვა და ჩემი საიდუმლო გავანდო?

**ოთხი ბე** – არც არავისი!

**ტიკსუსუნე** – ყველაფერი შეამოწმეთ?

**ოთხი ბე** – ყველაგან!

**ქალბატონი ილუზია** – მაგრამ აქ დასამალიც არსად არის.

**ქალბატონი კაკაფონია** – აიხედეთ ზემოთ! ჭაღზეც კი არ ზის!

**ქალბატონი ოვაცია** – მაშ, ვინ ამბობდა, აქ შემოფრინდაო?

**ქალბატონი კაკაფონია** – ვინ ამბობდა და... ვთქვა?

**ქალბატონი ოვაცია** – ბრძანე!

**ქალბატონი კაკაფონია** – ვინ და, ქალბატონი ილუზია!

**ქალბატონი ილუზია** – რა თქვენი საქმეა?! მე ასე დავინახე!

**ანდუყაფარი** – მე აქ ვარ! აქ! (ხტის და ხელებს იქნევს).

**ტიკსუსუნე** – კარგი რა! კარგი რა!.. თავი ამატკიერ უკვე!.. დიაგნოზი: შაკიკი! აბა, ქალბატონმა ილუზიამ რა უნდა დაინახოს?

**ქალბატონი ილუზია** – ეგ მე ვიცი, რასაც დავინახავ!..

**ქალბატონი ოვაცია** – ჰა-ჰა! დაინახავს!





**ქალბატონი კავაფონია** – უპ-უპ-უპ! ეგ  
რომ დაინახავს!

**ტიკსუსუნე** – დიაგნოზი: შაკიკი!..

**ოთხი ბე** – სიჩუმე!

**ტიკსუსუნე** – კარგი... დავინწყოთ კასტ-  
ინგი პირიქით, რაკი ჩვენ გესტუმრეთ...

**ოთხი ბე** – მზად ხართ, გოგონა?

**სალი-სალიკუნა** – დიახ!

**ტიკსუსუნე** – მაშ, ასე!.. თქვენი წელან-  
დელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ სარკის წინ,  
ასე უნდა ითქვას!..

**ოთხი ბე** – ყურადღებით! აბა, როგორ  
უნდა ითქვას, მაესტრო?

**ტიკსუსუნე** – (ცხვირში ნიღნიღებს) დიქ-  
ცია – კარგი! მიმიკა – ცუდი! უესტი – ბუნ-  
დოვანი! ულამაზო გრიმასა – არ გინდა! თუ  
იმუშავებთ – გელით სრული ფურორი! თუ  
იზარმაცებთ – სრული ფიასკო! დითირამბე-  
ბი – არ მჭირდება!

**ოთხი ბე** – ბრავო, ბრავო, ბრავისიმო,  
ბის! (ტაშს უკრავს, აჰყებიან ოფოფი ქალ-  
ბატონებიც).

**ტიკსუსუნე** – დიაგნოზი: შაკიკი! შაკიკი  
მეთქი! (ყველა გაჩუმდება) აუხსენით!..

**ოთხი ბე** – რა ავუხსნათ, მაესტრო?

**ტიკსუსუნე** – დიქცია, მიმიკა, უესტი და  
ასე შემდეგ.

**სალი-სალიკუნა** – ეგ ყველაფერი მე  
უკვე ვიცი, მაესტრო! დედამ მასწავლა და  
ანდუ...

**ტიკსუსუნე** – რაო, რაო?

**ოთხი ბე** – კიდევ ვინაო?

**ოფოფი ქალბატონები** – ვინ ანდუ?..

**სალი-სალიკუნა** – მე ვთქვი, ან თუ...

**ტიკსუსუნე** – ან თუ?

**სალი-სალიკუნა** – ან თუ ინტერნეტში  
ვნახე მეთქი ეგ სიტყვები.

**ოთხი ბე** – ინტერნეტშიო!

**ტიკსუსუნე** – საინტერესოა!

**ოფოფი ქალბატონები** – ძალიან!

**ტიკსუსუნე** – (ოთხ ბეს) თქვენ კი, ცუ-  
დად მუშაობთ, ძმობილო!

**ოთხი ბე** – (ზურგზე მოგდებულ გაბერილ  
ტომარას ჩამოიღებს) ბოდიში! გამომრჩა სიჩ-  
ქარეში! (ტომრიდან დიქტოფონს ამოიღებს)  
აქ ჩაინწერება ლაპარაკი! (ტომრიდან მეორე  
აპარატს ამოიღებს) შეუერთდება ამას, მერე  
გაიშიფრება და აქედან პირდაპირ კომპიუ-  
ტერში შედის ტექსტი. ჩვენი ელექტრონული  
ტექსტების ბაზაში!

**ანდუყაფარი** – შეეკითხეთ, რა ტე-  
ქსტებია თქ?

**სალი-სალიკუნა** – რა ტექსტებია?

**ოთხი ბე** – საიდუმლო!.. მერე ეს ტე-  
ქსტები გადახარისხდება კომპიუტერში,  
გადაინომრება და შეიტანება მონაცემთა  
ერთიან ბაზაში. თან ამოიპრინტება ფურ-  
ცლებზე და ამ თეატრალურ ტომბარაში მოი-  
ყრის თავს.

**ტიკსუსუნე** – არ უნდა მაგდენი ისტორია  
და გეოგრაფია!

**ანდუყაფარი** – შეეკითხეთ, სალი-სალი-  
კუნა, რად უნდათ ეგ დანომრილი ნატვრები?

**ტიკსუსუნე** – (მაგიდას დაჰკრავს ხელს.  
ოფოფები და ოთხი ბე შეხტებიან) აქ ვიღა-  
ცამ თითქოს რაღაცა სისულელე წამოროშა!

**ოფოფები** – ჩვენ არა, მაესტრო!

**ოთხი ბე** – არც მე!

**ტიკსუსუნე** – კარგი... ჩვენ ახლა ერთგ-  
ვარად ფორს-მაუნრულ სიტუაციაში ვართ!

**ანდუყაფარი** – (აუხსნის სალი-სალი-  
კუნას) ფორს-მაუნრი არის გადაულახავი  
დაბრკოლება!

**სალი-სალიკუნა** – გადაულახავი დაბ-  
რკოლება? რთული ვითარებაა, მაესტრო!

**ტიკსუსუნე** – ჴო, პროტაგონისტი წავ-  
იდა თეატრიდან და ამიტომ მოგაკითხეთ  
კასტინგზე!

**სალი-სალიკუნა** – დიდი მადლობა!

**ტიკსუსუნე** – აბა, ფონემა „ლასის“ ტე-  
სტირება გავიაროთ!

**ოთხი ბე** – ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის!

**ტიკსუსუნე** – (სალი-სალიკუნას) აბა,  
გაიმეორეთ: „ლალის ლალის ლალებიო!“

**სალი-სალიკუნა** – ლალის ლალის  
ლალებიო!

**ოთხი ბე** – როგორია?

**ქალბატონი ოვაცია** – არა უშავს...

**ქალბატონი კავაფონია** – ვითომ?

**ქალბატონი ილუზია** – ისე რა...

**ტიკსუსუნე** – ფონემა „ლასის“ ფონაცია  
კარგია.

**ოთხი ბე** – ფონემა „ლასის“ ტესტირე-  
ბის შედეგი დადებითია. (სალი-სალიკუნას)  
გაიღიმეთ და სამადლობელი კნიქსენი!

**სალი-სალიკუნა** – (იღიმის, აკეთებს  
კნიქსენს) გმადლობთ.

**ტიკსუსუნე** – მიმიკას მივხედოთ... გრი-  
მასაც როგორია?

**ოთხი ბე** – და ექსცენტრიკული მოძრაო-  
ბა, მაესტრო, ამისი ექსცენტრიკული სიარული  
არ გამოგვრჩეს.

**ტიკსუსუნე** – არ გამომრჩება... და გა-  
ფრთხილებთ, ჩვენი თეატრის დევიზია – ან  
სრული ფურორი, ან სრული ფიასკო! საშუა-  
ლო არ არსებობს!





**ოთხი ბე** – მშვენიერი პროტაგონისტი ვი-  
პოვეთ!

**ოფოფები** – თუ ამანაც კუდი ყავარზე არ  
გადო ანდუყაფარივით!

**ოთხი ბე** – ჰო...

**ტიკსუსუნე** – რამ შექმნა ჩვენი ფორს-მა-  
ჟორი?

**ოთხი ბე** – ეს საშინელი კრიზისი?

**ოფოფები** – რამ?

**ტიკსუსუნე** – რამ და, ყავარზე გადებულ-  
მა კუდმა! აი, რამ!

**ოთხი ბე** – ოპ, ანდუყაფარ, ანდუყაფარ!

**ოფოფები** – არ უნდა მიგველო ხოხობი,  
არა! მეტად გრძელი კუდები აქვთ!

**ტიკსუსუნე** – მოისმინეთ ლექსი ყავარზე  
გადებულ კუდზე!

**ოთხი ბე** – ყველანი ვისმენთ!

**ტიკსუსუნე** –

ყავარზე გადებული კუდი,  
იმითაც არის ცუდი,  
რომ იმის პატრონს უჭირს –  
მედიდურია თუკი!..

**ოფოფები** – ბრავო!

**ტიკსუსუნე** – დითირამბები არ მინდა!

**ოთხი ბე** –

თუკი დაინყო ბუნტი,  
დღე დაუდგება ქუფრი.

**ტიკსუსუნე** –

გირჩევ, დალიო ლუდი,  
არ მოიხადო ქუდი!

**ოთხი ბე** – ლუდი რა შუაშია?

**ტიკსუსუნე** – აბა, ბუნტი რაღა შუაშია?

**ოთხი ბე** – რატომ, მაესტრო, რატომ,  
თორებ კი...

**ტიკსუსუნე** – იმიტომ, რომ...

**ქალბატონი ოვაცია** – ოვაციას ვერ გა-  
მოიწვევს!

**ქალბატონი კაკაფონია** – კაკაფონიურია!

**ქალბატონი ილუზია** – ილუზორული!

**ტიკსუსუნე** – იმიტომ, ჩემო კარგო ბრა-  
ვო-ბრავო-ბრავისიმო-ბის, რომ როცა ჰმ...  
ჰმ... „გამძაფრებაზე“ მიდიხარ... სწორად  
ვამბობ?

**ოთხი ბე** – კი, გამძაფრებაზე... და ძალიან  
სასტიკად...

**ტიკსუსუნე** – ჰო, როცა გამძაფრება-  
ზე მიდიხარ, მაშინ ჯერ შენ თვითონ უნდა  
ჩამოილო კუდი ყავარიდან. აბა, სალი-სალი-  
კუნა, რას იტყვი ამაზე?

**სალი-სალიკუნა** – კუდი ყავარზე – ნათქ-

ვამი არის ამპარტავანზე!

**ოთხი ბე** – ესეც ლექსი გამოვიდა! ჩავიწ-  
ერო ესეც, მაესტრო?

**ტიკსუსუნე** – მასე კი არა, აი, მისმინე:

**მაესტრო ტიკსუსუნე** – სალი-სალიკუნას  
ტიკსუსუნემ სალიკუნა  
გააფრთხილოს მაინც უნდა:  
ნუ გახდები ხოხის კუდა,  
დარჩი ასე – იის სულთქმა.

თუ იქნები გრძელა კუდა,  
ეგებ ყავარს გადო სულაც.  
გადმოგვხედო, როგორც გუდამ, –  
ცარიელმა, სულ და მუდამ!"

**ოთხი ბე** – ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის!

**ქალბატონი ოვაცია** – ოვაციები!

**ქალბატონი კაკაფონია** – კაკაფონია!

**ქალბატონი ილუზია** – სულ ილუზიები,

სულ!

**ტიკსუსუნე** – და, აბა, რატომ ვთქვი „იის  
სულთქმა“?

**ოთხი ბე** – რატომ?

**ტიკსუსუნე** – (სალი-სალიკუნას ყნოსავს)  
ეს სუნამო... ეს არის...

**ოთხი ბე** – (ისიც სალი-სალიკუნას  
ყნოსავს) ეს არის...

**სალი-სალიკუნა** – ეს...

**ტიკსუსუნე** – არ თქვა! ახლავე გამოვ-  
იცნობ! ეს არის „დოლჩე გაბანას“ „ზი ვან“!  
მართალი ვარ?

**სალი-სალიკუნა** – კი, დედიკოს აჩუქა  
ჩემმა მამიკომ დაბადების დღეზე.

**ტიკსუსუნე** – აი, ხომ ხედავთ?! რეალ-  
ობიდან უნდა მოდიოდეს ყველაფერი... მე  
ეს სუნამო პარიზში ვუყიდე აქაურ ქალბა-  
ტონებს!

**ქალბატონი ოვაცია** – ოვაციები!

**ქალბატონი კაკაფონია** – კაკაფონია!

**ქალბატონი ილუზია** – სულ ილუზიები,  
სულ!

**ოთხი ბე** – მე კი მაინც არ შევჭამე შემ-  
წვარი ბაყაყები!

**ტიკსუსუნე** – სალი-სალიკუნა, თქვენ  
აქ „ტრავიატას“ უკრავდით და აბა, ახლა ის  
არია მომეცით, „დავლიოთ“!

**ოთხი ბე** – ჩამოვასხა, მაესტრო?

**ოფოფები** – ესე იგი, გადაწყდა!

**ტიკსუსუნე** – კასტინგი დამთავრ-  
და, ფორს-მაჟორი აღარ არსებობს!.. ან-  
დუყაფარი კი დაიკარგა... არადა, როგორ მი-  
ყვარდა ეგ... სულ იმისი ლაპარაკი ჩამესმის...





**თოხი ბე** – (ყანწს ამოიღებს ტომრიდან, შიგ ტიკიდან ღვინოს ჩამოასხამს და გაუწვდის ტიკსუსუნეს) ახლა მაესტრო ტოსტს იტყვის! ანუ სადღეგრძელოს!

**ქალბატონი ოვაცია** – სანამ ტოსტს იტყოდეს, ჯერ კუდი გვაჩვენოს ახალმა პროტაგონისტმა! და ოვაციები ჩვენზე იყოს! **ქალბატონი კაკაფონია** – აუცილებლად! და კაკაფონიასაც წამოგაშველებთ!

**ქალბატონი ილუზია** – ჰო, კუდის ჩვენება აუცილებელია! და სულ ილუზიები, სულ! **სალი-სალიკუნა** – სამწუხაროდ, მე კუდი არა მაქვს! მე ადამიანი ვარ!

**ქალბატონი ოვაცია** – ადამიანი?! **ქალბატონი კაკაფონია** – სულ სხვა ვიღაცეებით გაივსო ჩვენი თეატრი!

**ქალბატონი ილუზია** – უკუდოდ როგორ უნდა ითამაშოს ჩვენთან?!

**თოხი ბე** – თუ კუდიანი გინდოდათ, გყავდათ ანდუყაფარი! და ამისი უკუდობა იმითაც არის კარგი, რომ ვერაფერსაც ვერ გადებს ყავარზე!

**ტიკსუსუნე** – არ გავიგონო ანდუყაფარის სახელის ხსენება აქ!

**თოხი ბე** – ბოდიშს ვიხდი!

**ტიკსუსუნე** – კარგი, ახლა მისმინეთ...

**მაესტრო ტიკსუსუნეს სადღეგრძელო**

ლამაზია ოფოფების თეატრი, სიზმრებში რომ მოიძიებს სპეკალებს. სანატრელ დასს ვერავის ვერ შეადრი, ვნებით ვნალმავთ წარმოსადგენ სპექტაკლებს.

მსოფლიოში პირველი ვარ, იცოდეთ, ტიკიც მაქვს და ეს ტომარაც ჩემია. ეპეი, მტრებო, ჩემი შურით იწვოდეთ, თქვე, საწყლებო, მეტი რა დაგრჩენიათ.

ჩემომისხი, ერთიც უნდა დავლიო, სადღეგრძელო უნდა შევსვა მტრებისა, ტიკსუსუნე მაესტრო ვერ არიო, არტისტებით მაყურებლის შებმისა.

ანდუყაფარ, ხოხობი ხარ, ბედკრული, და თუ ოდეს შენც თეატრი გელირსა, მაშინაც კი ჩემთანა ხარ შეთქმული, – შენც დალიე სადღეგრძელო მტრებისა.

**თოხი ბე** – ბრავო-ბრავო-ბრავისიმო-ბის! **ქალბატონი ოვაცია** – ოვაციები! **ქალბატონი კაკაფონია** – კაკაფონია! **ქალბატონი ილუზია** – სულ ილუზიები, სულ!

**ტიკსუსუნე** – (დალევს ყანწს) და ბოლოში პირველი სტროფი მეორდება, მაგრამ მეზარება იმისი თქმა...

#### დასასრული იქნება



მხატვარი ვანო გოცირიძე



## თახმანი

### იტალო კალვინი

მთავარია, ერთმანეთს ძირითადი ვუთხრათ, ყოველგვარი ზეფიქის სიცუკის გარეშე; ჩვენვე გავთხოვთ ის ძირითადი სათქმელი, ყოველგვარი პიროვნული კომპლექსის გადალახვითა და აულელვერელი სახით, ფარების უკან, სიძლიერის ჩამოცვერით. ქალი, რომელიც მე მიუკანს, მხოლოდ ის მოძრავი შექია ჩემთვის, სხვა დანარჩენი კი, მის ირგვლივ, ალარ მაინტერესებს. რაჯ ჩემს თავს მას შეკუცრებს და ჩემ მიმკრთ გრძელობას დაუმრავებს, არის სწორებ ის, წიმინდეს ჩართვით რომ ვრფილობა ახლა მანქანის გადასწრებას. ყველაფერ ამას მისი სიყვარულისთვის ვაკეთებ, თანავე სირწმულის ფიჭი რისკი.

იტალო კალვინი


43



### ამპავი ერთი მძღოლისა

ქალაქი დაღამებისას დავტოვე. ფარები ავანთე. სამზოლიან ავტომაგისტრალს ვადგავარ ახლა და A-დან B-სკენ მივემგზავრები. ამ სამი სავალი ზოლის შუა – გამყოფი ნაწილიდან მარცხნივაც შეგიძლია გადასწრება და მარჯვნივაც. ღამით მანქანის ტარება არც ისე იოლია. თვალები უნდა დაძაბო ამდენ ჩრდილისა და მინავლებულ ფერში აქეთ-იქით მიმავალი მანქანები რომ დაინახო. წინ თითქოს შავი დაფასავით კიდია რაღაც, რომელზეც დღესთან შედარებით, განსხვავებულად, მაგრამ ზუსტად უნდა ამოიკითხო დაწერილი. სიბნელე ირგვლივ ყველაფერ ზედმეტს შლის და დასანახად მხოლოდ საჭირო დეტალს გიტოვებს, იქნება ეს ასფალტის თეთრი ხაზები, ყვითელი ფარები თუ წითელი წერტილები. ავტომობილს ინსტიქტურად ვმართავ, მაგრამ თავში იმდენი ფიქრი და ეჭვი მიტრიალებს, რომ მანქანის ტარებაში ხელი მეშვება. მოკლედ, მეტი კონცენტრირება და ყურადღება მმართებს საჭესთან ჯდომისას.

მანქანა მაშინ დაგვქოქე, Y-ს ტელეფონზე რომ ვეკამათე. მე A-ში ვცხოვრობ, Y-ი კი – B-ში. ამ საღამოს მასთან ნასვლას არ ვაპირებდი, მაგრამ ერთ-მანეთს იმდენი ცუდი რამ ვუთხარით, რომ ცოტა არ იყოს, ავფორიაქდი. ისიც კი ნამომცდა, შენთან ურთიერთობის შეწყვეტა მინდა-მეთქი. მანაც მიპასუხა, ჩემთვის სულაც არ არის ეს მნიშვნელოვანი, ახლავე დაუურეკავ შენს მეტოქე Z-სო; და ამ დროს, არ მახსოვეს, მე თუ მან, ყურმილი დავკიდეთ. ამის შემდეგ, ერთი წუთიც არ იყო გასული, რომ მივხვდი, ჩვენს კამათს ცუდი შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა. Y-სთვის ისევ დარეკვა უაზრობა იქნებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, უცებ ჩავმჯდარიყავი მანქანაში და მასთან გამგზავრებულიყავი; ასე, თვალებშიც ჩავხედავდი და ყველაფერს პირისპირ ავუხსნიდი. ვადგავარ ახლა ამ ავტომაგისტრალს და მიუხედავად



### იტალო კალვინი

იმისა, რომ ასჯერ და ათასჯერ მაქვს ის გავლილი, მაინც უგრძელესი და უსასრულო მეწვენება. უკეთესად რომ ვთქვა, მგონი, მანძილისა და დროის განსაზღვრის შეგრძნებაც დავარგე უავე. ფარებით განათებულ ადგილებს ვეღარ ვარჩევ. ბანერებზე კი წერია დარჩენილი კილომეტრები და სპიდომეტრიც ასრულებს თავის ფუნქციას, მაგრამ მე სხვა უფრო მაინტერესებს, სხვა კითხვები მკლავს, რომლებზეც პასუხის გაცემა არავის შეუძლია. მაინტერესებს, თუ რას აკეთებს ახლა Y-ი, რას ფიქრობს ამ წუთებში. მართლა უნდოდა Z-სთან დარეკავა თუ ჩემს გასაბრაზებლად თქვა? და თუ მართლა ამბობდა, მაშინვე დაურეკავდა თუ ცოტას დაფიქრდებოდა კიდევ, სანამ სიბრაზე გადაულიდა? Z-ი იქ ცხოვრობს, სადაც მე – A-ში. წლებია, რაც Z-ს უშედეგოდ, მაგრამ მაინც უყვარს Y-ი. თუ დაურეკა, მოდიო, წავიდოდა, აბა, რას იზამდა! – მაშინვე გავარდებოდა მისკენ. ესე იგი, ისიც ამ ავტომაგისტრალზე მიქრის ახლა, როგორც – მე. ყველა გადამსწრები თუ უკან ჩამოტოვებული მანქანა შეიძლება მისი იყოს, მაგრამ ზუსტად რომელი, ამის გარკვევას ვერასოდეს მოვახერხებ. ჩემ წინ მიმავალი მანქანებისას, მხოლოდ ორ წითელ სინათლეს ვხედავ, უკან ჩამოტოვებულებისას კი – ორ ყვითელ ფარს. გადასწრების მომენტში, შემიძლია გავიგო, რა მანქანაა და რამდენი ადამიანი ზის შიგნით, მაგრამ მხოლოდ მძლლოლანი მანქანა ბევრია, თანაც Z-ი იოლი ამოსაცნობი არაა.

წვიმა დაიწყო. ახლა, წინ ნაკლებად ვხედავ, და იმას, რაც შუშის საწმენდის სამოძრაო ნაწილში ჩანს მხოლოდ. ირგვლივ ყველაფერი ნისლშია ჩაფლული, ყვითელი და წითელი სინათლეების გარდა, ისიც – წვიმის წვეთებისგან ფორმაშეცვლილები. მე შემიძლია Z-ს მანქანა, როგორიც არ უნდა იყოს, უკან ჩამოვიტოვო და გადასწრების საშუალება არ მივცე,

№5, 2021





### მხატვარი სოფიო ჭელიძე

მაგრამ ამისათვის უნდა ვიცოდე, რომელია ის, და საერთოდ, თუ არის აქ, ამ ავტომაგისტრალზე. ჩემი მიმართულებით მიმავალი ყველა მანქანა მტკრი მგონია და ციმციმაჩართულს რომ ვხედავ საკუეში, საშინელ ეჭვებში ვვარდები – მგონია, ჩემ გადასწრებას თუ ცდილობს რომელიმე-თქო. ყოველ წინ მიმავალ მანქანას რომ ვუახლოვდები, გზის შუა ზოლზე გადავდივარ, გადასწრებას ვციდლობ და ყ-სთან პირველად მისვლას.

რომ იცოდეს, მისთვის როგორ ვიბრძვი, ჩვენს კამათს შეხვედრისთანავე დაიგინებს და ყველაფერს მაპატიებს. ასე რომ მოხდეს, ჩვენი წინანდელი ურთიერთობა მართლა დაბრუნდება. ზ-ი მაშინვე მიხვდება, ჩვენ შორის ნასაქეზებლად რომ იყო დაძახებული და თავს გამოყენებულად, ზედმეტად იგრძნობს; ანდა, შეიძლება, ყ-ი ამ წუთებში ნანობდეს კიდევ, რც მითხრა – საჭესთან იჯდეს და ჩემ შესახვედრად მოდიოდეს. შეიძლება, ამ ავტომაგისტრალზეც კი იყოს ახლა, წინ შემხვედრ მანქანებში.

ჩემი მიმართულებით მიმავალ მანქანებს უკვე ყურადღებას აღარც ვაქცევ და შემხვედრებს ვათვალიერებ, რომლებიც ორი ყვითელი ფარით შემოიფარგლებიან მხოლოდ, და მოახლოებისთანავე, შემომანათებენ თუ არა, მაშინვე ზურგს უკან ექცევიან. ყ-ს არ ჰყავს სხვებისგან განსხვავებული მანქანა, ჩემსას ჩამოჰვავს. ნებისმიერი შემხვედრიც მისი შეიძლება იყოს. ყოველ მათ მოახლოებაზე რაღაც მემართება, რაღაც განცდა მიპყრობს, თითოეულს თითქოს ჩემთვის რაღაც შეტყობინება მოჰქონდეს – სასიყვარულო, სასიამოვნო, რასაც ყ-ი მეტყოდა. სხვა შეტყობინებას მაინც არ ვისურვებდი ახლა.

რაც უფრო მივიწევ წინ, მით უფრო ვხვდები, რომ ძალიან მინდა, ყ-ი ჩემ შესახვედრად მოდიოდეს. ეს მჭირდება ახლა ყველაზე მეტად. უფრო სწორად, მინდა იცოდეს მან, რომ მე მივდივარ მისკენ, მაგრამ ამავე დროს, მინდა ვიცოდე, რომ ისიც მოდის ჩემკენ. ახლა, რაც მანყობს და ამავდროულად, მანუქებს, არის იმის გაგება, A-სკენ მიმავალი ყ-ი B-ს მიმართულებით მოძრავი ავტომობილების შეხედვისას თუ ფერობს ჩემზე, თუ აქვს სურვილი, რომელიმე-ში დამინახოს, თუმცა ამაში, როგორც მე, არც მას ექნება დამარწმუნებელი პასუხი, მაგრამ ძალიან კი მსურს, რომ ასე იფიქროს. ამ წუთებში საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავი ორი მანქანა ერთმანეთს უსწორდება. და ისე გაიღვა, რომ წვიმის მსხვილი წვეთები მკვეთრად გამოჩნდა, ძრავების ხმაურიც ქარის მობერილივით გაისმა. შეიძლება ჩვენ ვიყავით, ეს ორი მანქანა ჩვენი იყო. არაა გამორიცხული. მე რომ ვიყავი, კი ვიცი, მაგრამ ის? ის იყო? ეს უკვე აღარ ვიცი. რთაც უნდა ვცნობდე მას, შეიძლება სწორედ ისაა, ხელს რომ მიშლის მის შეცნობაში. ერთადერთ საშუალებად, ერთმანეთს რომ ვუთხრათ ის, რისი თქმაც გვინდა, ავტომაგისტრალზე მოძრაობაა. სხვანაირად ამის გაკეთებას ვერ მოვახერხებთ.

რა თქმა უნდა, საჭესთან იმიტომ დავჯექი, რომ მასთან მალე მივსულიყავი, მაგრამ რაც უფრო მივწინევ წინ, მით უფრო ვხვდები – ჩემი იქ მისელა ყველაფრის დასასრული მაინც არ იქნება. წარმომიდგენია, ჩვენი შეხვედრის ადგილი, ყველა თავისი დეტალითა და წვრილმანით, დიდი ემოციებითა და დაუკინძებარი მოგონებებით იქნება დატვირთული – ყველაფერი ირგვლივ: ოთახის მცენარეები, აბაური, საყურები... ყველა წარმოთქმული და წარმოსათქმელი სიტყვა, იქნება ის ჩემი თუ მისი მხრიდან, მცდარად თუ სწორად, ისეთ გონებისამრევ ხმაურს გამოიწვევს ჩვენში, რომ ყველაფერი ჩაგვეშლება; როგორც ტელეფონზე საუბრისას ხდება ხოლმე ზოგჯერ, რაღაც რომ ჩაგვესმება ყურში გაბმულად და სათქმელს ვეღარ ვამბობთ. სწორედ, ამიტომაც დამჭირდა ტელეფონზე ლაპარაკის მაგივრად, სათქმელი ფარის შექად გადამეცია და მანქანა ას ორმოცი კილომეტრი საათში სიჩქარით ყ-სკენ გამექროლებინა. მე წარმოვადგენ ახლა ამ ფარის შუქს და ავტომაგისტრალით მისკენ მივემართები, რადგან ვფიქრობ, რომ მხოლოდ ასე შეიძლება ადამიანს უთხრა სათქმელი; სწორედ, ასე შეიძლება დაარწმუნო ის შენს გრძნობებში, ყოველგვარი ზედმეტი ფიქრის გამოწვევის გარეშე; სწორედ, ასე ვისურვებდი მეც, იმ ას ათი – ას ოცი კილომეტრი საათში სიჩქარით მომავალ მანქანაში რომ იჯდეს ისიც, იგივე სათქმელით, ამავე ავტომაგისტრალზე ფარის შექად ქცეული. მთავარია, ერთმანეთს ძირითადი ვუთხრათ, ყოველგვარი ზედმეტი სიტყვის გარეშე; ჩვენვე გავხდეთ ის ძირითადი სათქმელი, ყოველგვარი პიროვნული კომპლექსის გადალახვითა და აუდელვებელი სახით, ფარების უკან, სიბნელის ჩამოტოვებით. ქალი, რომელიც მე მიყვარს, მხოლოდ ის მოძრავი შუქია ჩემთვის, სხვა დანარჩენი კი, მის ირგვლივ, აღარ



მაინტერესებს. რაც ჩემს თავს მას შეაყვარებს და ჩემ მიმართ გრძნობას დაუბრუნებს, არის სწორედ ის, ციმ-ციმისა ჩართვით რომ ვცდილობ ახლა მანქანის გადასწრებას. ყველაფერ ამას მისა სიყვარულისთვის ვაკეთებ, თანაც სიცოცხლის დიდი რისკით.

Z-ი არ დამვიწყებია. მასთან ურთიერთობის მოგვარებას იმ შემთხვევაში შევძლებ, თუ უკან მომყოლი მანქანა ფარად დარჩება მხოლოდ ან თუნდაც წინ – უბრალოდ მიმავალი, რადგან ამ ადამიანის მოსაწყენ თვისებებსა და წარუმატებელ სიყვარულზე თუ ვიფიქრებ, ჩემთვის მთლად არასასიამოვნო გახდება, და უნდა ვალიარო, გამიჭირდება მასთან ურთიერთობა; უფრო მეტიც, არ ვიცი, სანამდე მივა საქმე და როგორ დასრულდება ყველაფერი, თუმცა ასეც მისაღები ჩემთვის, ასე წარმომიდგენია: Z-ი ცდილობს ჩემ გადასწრებას ან მე ვიტოვებ მას უკან, ისე რომ არ ვიცი, ვინ მართავს მანქანას; იქდან, მონანიებული და ისევ შეყვარებული ყ-ი ჩემ შესახვედრად მოისწრავის, არც იმ მანქანაში ვიცი, საჭესთან ვინ ზის; აქედან, მეც მთელი ღელვითა და ემოციით სავსე ვადგავარ გზას და არავის უშმელ ჩემი მექავრობის მიზეზს.

რა თქმა უნდა, ავტომაგისტრალზე მხოლოდ მე რომ ვიყო და არც ერთი აქეთ-იქით მოძრავი მანქანა არ მხვდებოდეს, ყველაფერი უფრო ნათელი იქნებოდა ჩემთვის; მეცოდინებოდა, რომ არც Z-ი გადამასწრებდა სადმე და არც ყ-ი წამოვიდოდა ჩემ შესარიგებლად; ვითარების ანონ-დანონვა უფრო შემეძლებოდა, უარყოფითსაც განვსაზღვრავდი და დადებითსაც, თუმცა ეჭვები მაინც არ გამიქრებოდა, მყარი პასუხი მაინც არ მექნებოდა, მაგრამ საეჭვო ფიქრების სანაცვლოდ უარყოფითი პასუხის მიღებას, მაინც ასე ყოფნა მირჩევნია. მთლად იდეალური იქნებოდა, მთელ სამყაროში სამი მანქანა რომ არსებობდეს მხოლოდ: ჩემი, ყ-ი და Z-ი. იგივე მიმართულებით Z-ს გარდა, სხვა მანქანა არ იმოძრავებდა და წინიდან მომავალიც ყ-ის იქნებოდა ნამდვილად. ღამესა და წვიმაში ძლივს გამოჩენილი ასობით მანქანის გარჩევას თავის მძღოლიანად, ერთ ადგილას სათვალთვალოდ მჯდომი ადამიანი თუ შეძლებს მხოლოდ.

ეს ფიქრები მიტრიალებს ახლა თავში: შეტყობინების მიღება თუ მინდა, მე თვითონ უნდა უარყო შეტყობინებად ყოფნა, მაგრამ თავად ყ-ი ვისურვებდი ასეთად, თუმცა ეს ყველაფერი მაშინ უფრო იქნებოდა ღირებული, მეც რომ ვიყო იგივე, და აზრიც მაშინ მიეცემოდა ყველაფერს, თუ ყ-ი მხოლოდ მიმღები არ იქნებოდა ამ შეტყობინების, არამედ – გამცემიც ანუ ისეთი, როგორსაც მე ვისურვებდი.

ყ-ში მისულს, ყ-ი რომ დამხვდეს სახლში და კამათი დამიწყოს, ნამდვილად არ მესიამოვნება. Z-ც თუ შემოგვიერთდება, მთლად თეატრალურ სცენარს დაემსგავსება ყველაფერი! და რომ მითხრას ვინმემ,



## მაია ტურაპელიძე

Z-ი სახლიდან არც კი წამოსულა, უფრო მეტიც, არც არავის დაურევა-ვს მისთვისო, ხომ გამოვალ მთლად სულელის როლში?! ყ-ი რომ მოვიდეს ჩემთან სახლში და ბოდიში მომიხა-დოს, ვიცი, არ მომენტონება; უფრო მეტიც, წარმოდგენა შემეცვლება მასზე, სუსტ ქალად შევხედავ, ჩე-მზე მოწებებულად, რაც ნამდვილად შეცვლის ჩვენს ურთიერთობას. სხვა-ნაირად ვერ ვხედავ, ისევ ჩვენ უნდა წარმოვადგენდეთ ჩვენივე შეტყო-ბინებას. და Z? რა თქმა უნდა, ისიც უნდა წარმოადგენდეს თავის შეტყო-ბინებას. მართლა საშინელება იქნება,

მე – Z-ზე ეჭვებით სავსე, ყ-სთან რომ გავრბოდე, და მონანიებული ყ-ი ჩემკენ გამორბოდეს, ამასობაში კი Z-ი სახლში იყოს დამჯდარი და გარეთ გამოსვლას არც კი ფიქრობდეს.

შეა ავტომაგისტრალზე ბენზინგასამართი სად-გურია. გავჩერდი; კაფეში შევედი, ერთი მუჭა ჟეტო-ნი ვიყიდე; ავკრიფე ჯერ B-ის კოდი და მერე – ყ-ის ნომერი. არავინ მიპასუხა. ჟეტონები თითქმის მთ-ლად ჩავყარე. ძალიან გამიხარდა: ცხადია, ყ-მ ვერ მოითმინა, ჩაჯდა მანქანაში და A-სკენ გამოემართა. ისევ დავბრუნდი ავტომაგისტრალზე, ოლონდ ახლა საპირისპირო მიმართულებით, A-სკენ გავემართე. ყველა მანქანა, რომელსაც მე ვუსწრებ ან მასწრებს, შეიძლება ყ-ი იყოს; შემზევდრებოდან, არაა გამორ-იცხული, იმედგაცრუებული Z-ც მოდიოდეს. იქნებ, ყ-ც გაჩერდა ბენზინგასამართ სადგურზე და სახლ-ში დამირეკა – A-ში; რომ არავინ უპასუხა, იფიქრა, B-ში წავიდა; მობრუნდა და ახლა, შეიძლება, ორივე სანინაღმდევე მიმართულებით ვმოძრაობდეთ ამ ავტომაგისტრალზე. იქნებ, საერთოდაც ვშორდებო-დეთ ერთმანეს, არავინ იცის. მანქანა, რომელიც წინ მისწრებს ან ვასწრებ, შეიძლება Z-ი იყოს ან იქნებ, ყ-ს შეა გზიდან მანაც დაურეკა...

ყველაფერი ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშაა, მაგრამ ვატყობ, მინაგან სიმშეიდეს გარკვეულ წილად მაინც მივალნი. სანამ საცელეფონო ზარებზე პასუხს არ-ავინ იძლევა, კი ვილით ასე, სამივე, წინ და უკან, თეთრი ხაზის გასწრივ, ყოველგვარი დასაწყისისა და დასასრულის გარეშე. გზაზე, რომლის გავლისას მრავალი ემოცია და ფიქრი იშვება ჩვენში, ყოველგ-ვარი ხმისა და სულის გარეშე; მანათობელ ნიშნებად ვიცევით და ჩვენს სათემელსაც ასე ვიტყვით.

რთულია, რა თქმა უნდა, ეს მდგომარეობა ჩვენთვის, მაგრამ სხვა არჩევანი მაინც არა გვა-ქეს. ყველა მანათობელი ნიშანი, რომელიც ამ გზაზე მოძრაობს, ერთი შეხედვით, ერთმანეთისგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ თითოეულ მათ-განს აქვს რაღაც მნიშვნელობა, ჩამალული აზრი, ნაუკითხავი, რომელსაც სხვა ვერ აღიქვებს.

იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაპელიძე





## რამაზ (ისაკო) ევფანიშვილი

ფილოლოგიის დოქტორი,  
პროფესორი

სიუკარულით გამოწვეული ტყივილის მკურნალი მხ-  
ოლოდ შენივე შეუკარებულია. ზოგი ფიქრობს, რომ ასე-  
თი ტყივილი განუკუნებელია და სიკვდილით დაიძლება.  
ეკონომიკული შეადაპტუნებრივი რომანი ვერ დაწყვილების  
შემთხვევაში სიკვდილს გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევს.  
აღმოსავალური პოეზია სუფიზმში პოვერებს გამოსავალს,  
ხოლო „ვეფხისტესტესტში“ სიერგზლით უნაურდება. ამის  
მაგალითია ავთანდილი, რომელიც სხვათა გახარებით წე-  
ოვრობს.

## କାଳିତ୍ୱ (ଇତାନ୍ୟାନ) ମୀତ୍ରାଚାରିଶ୍ଵିଲୀ

„ვეზეისტყაოსნის“ კულტურულ-ესთეტიკური კონცეფცია

„ვეფხისტყაოსანში“ მრავალი განსახოვნებითი აზრია, სადაც პოეტი არ ეყრდნობა რომელიმე სამაყაროს ცივილიზაციის მონაპოვარს, რადგან მრავალ ცივილიზაციათა კონტექტში ხედავს სამყაროს მარადიულობას. ამიტომაცაა შოთა რუსთაველის „ერთი“ კრებითი სიტყვა, რათა ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანი მასში იპოვოს თავისი სულისა და სურვილების გამოძახილი, იპოვოს თავისუფლება და თვითმყოფადობა. ესაა მსოფლიო კულტურის შექმნის ცდა, სადაც ყველა ერი ინარჩუნებს თავის ღირებულებებსა და ამავდროულად მსოფლიო კულტურის ნაწილა.

შოთა რუსთაველის კულტურულ-ესთეტიკური  
მთლიანობა ყველაზე უკეთ სიყვარულში იჩენს თავს,  
რადგან ძალზედ სპეციფიკურია და მიჯნურობა ახ-  
ლებურად არის გააზრებული. სამეცნიერო ლიტერა-  
ტურაში დამკვიდრებულია ის აზრი, რომ პოეტის  
მიერ აღწერილი სიყვარული არის სტრუქტურული კუთ-  
ვნილება არის. მისი მახსასათებელი თვისებებია:  
სატრაფოსადმი მსახურება, განდიდება, ხოტბის შეს-  
ხმა. მიუხედავად იმისა, რომ ევროპული რომანის  
რაინდ-მიჯნური და აღმოსავლური გმირი ერთობ  
ეხმანება რუსთაველის მიჯნურობის ესთეტიკურ  
არსას, შოთა რუსთაველი მაინც განსხვავებულ  
სამყაროს ქმნის. ჯერ აღმოსავლურ-დასავლურ  
მიმართებასთან მსგავსებანი ჩამოვთვალოთ: შორით  
ძნედა, ჭირთა თმენა, წყვილთა დაშორება, სიყ-  
ვარულით დასხეულება, გულის წასვლა, კრთომა,  
სევდა. თუმცა განსხვავება იმაში მდგომარეობს,  
რომ აღმოსავლელი მიჯნურის ველად გაჭრა ამა  
სოფელთან კავშირის განვეტას ემსახურება და  
„ზესთასოფელთან“ სულიერი კავშირის დამყარებით  
მთავრდება. მინიერ ცხოვრებაში სიყვარული ვერ  
ხარობს და კარი ესნება ზეცას, სადაც შეყვარე-  
ბულთა სულები უნდა შეერთდნენ. აյ თავს იჩენს  
აღმოსავლური სუფიზმი, რომ სიყვარულის სამყ-  
ოფელი ზეცაშია.

დასავლურ-შუასაუკუნეობრივ მწერლობი-  
სათვისაც დამახსასიათებელი არის ველად გაჭრის

მომენტი, სადაც განსაკუთრებულ ადგილს იჭერს ჯადოსნური ბეჭედი, უკვდავების წყარო, სასწაულ-მოქმედი ბალზამი. რუსთაველთან ამის მსგავსი არაფერი გვხვდება. „ვეზხისტყაოსანი“ ამქვეყნიური სიყვარულის საგალობელია.

პოემაში მხოლოდ ერთგან იჩენს თავს წამ-იერი გაელვებით სიკვდილის სურვილი: „აქაც თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახვლენ დიდი კლდენი“. მა-გრამ იქვე დასძენს: „მომეც ფრთხენ აღვიტრინდე“. ე.ი. კლდესა კი არ გადავარდე, არამედ ანგელოზის ფრთხებმა გადამარჩინოს. ეს ხომ სიცოცხლის სიყ-ვარულია?!“

სიყვარულით გამოწვეული ტკივილის მეურნა-ლი მხოლოდ შენივე შეყვარებულია. ზოგი ფიქრობს, რომ ასეთი ტკივილი განუკურნებელია და სიკვ-დილით დაიძლევა. ევროპული შუასაუკუნეობრივი რომანი ვერ დაწყვილების შემთხვევაში სიკვდილს გარდაუვალ მოვლენად მიიჩნევს. აღმოსავლუ-რი პოეზია სუფიზმში პოვებს გამოსავალს, ხოლო „ვეფხისტყაოსანში“ სიცოცხლით ცნაურდება. ამის მაგალითია ავთანდილი, რომელიც სხვათა გახარე-ბით ცხოვრობს. ამ ხაზს მიჰყება პოემის სხვა პერ-სონაუბი. ადამიანის გაგებას სურვილი სჭირდება, მეტადრე სიყვარულის უამს: „ავთანდილს კლავდა სურვილი, სურვილი სიყვარულისა“. თავიდან სურ-ვილის გაჩენა არის მთავარი, შემდეგ დანარჩენი თა-ვათ მოთავს.

„ვეფხისტყაოსანის“ გმირთა ტანკევა თვითმიზანი არ არის და თუ მაინც იტანკებიან ეს მიუღწეველი სიყვარულის შედეგია. შუასაუკუნეობრივ აღმოსავლურ და დასავლურ მწერლობაში ჭირთა დათმენა სავალდებულოდ არის მიჩნეული, თუმცა აქცენტი კვდომაზეა გადატანილი. (მდრ. „ვისრამიანი“, „ლეილი და მაჯნუნი“, „ტრისტანი და იზოლადა“). „ვეფხისტყაოსანში“ კი ტანკევა ქმედებებით დაიძლება.

როდესაც კულტურულ-ესთეტიკურ კონცეფზ-  
ციაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში, ყურადღებას  
ვამახვილებთ პრაქტიკულ კავშირ-ურთიერთობებ-

ზე. ეს კავშირი რეალურად არ-სებობდა, ოლონდ მხატვრულად არის მოწოდებული. მაგალითად, ნიზამ განჯელს ახლო ურთიერ-თობა ჰქონდა საქართველოსთან, ხაკონ შირვანი ხშირად სტუმრობდა ჩვენს ქვეყანას. მართალია, პლა-ტონმა, არისტოტელემ არ იციან საქართველოს შესახებ, მაგრამ შოთა რუსთაველმა დაგვაახლოვა ისინი. ასევე ითქმის მოციქულთა თუ არებაგიტიკის შესახებ. ბევრი რამის მოხმობა შეიძლება, მაგრამ მთავარია მსგავსება-განსხვავებ-ულობის წარმოჩენა და იმ ესთე-ტიკური გზაჯვარედინის პოვნა,

რომელიც ამთლიანებს და ინდივიდუალობას უნარ-ჩუნებს სხვადასხვა კულტურას.



## რამაზ (ისაკო) გევარიშვილი

„ვეფხისტყაოსანის“ კულტურულ-ესთეტიკუ-რი კონცეფცია სათაურმივე იჩენს თავს, იგი ერთ-დროულად მხატვრული სახეც არის და დიდი მის-ტიკაც. სწორედ სათაურის ზემხატვრულობა იძლევა იმის საშუალებას, რომ ყველა კულტურულ სამ-ყაროსთან მოხდეს კავშირის დამყარება. ეს კავშირი სიყვარულის საფუძველზე ხდება.

შოთა რუსთაველი სიყვარულს განიხილავს ეთიკურ-ესთეტიკურ პლანში, რომ სიყვარული მშვენიერებისა და სათნოების ერთობლიობა არის. პოეტთან ეს განსაზღვრაც არ არის საქმარისი, გა-სათვალისწინებელია მსოფლიმედველობა. ამას კი განსაზღვრავს სამი რამ: წწმენა, იმედი, სიყვარული.

ადამიანთა მრავალგვარობა პოეტის დიდი საფიქრალია. დროთა განმავლობაში იცვლებოდა, იცვლება და შეიცვლება ადამიანი. ადამიანი მუდამ ძიებაშია. ამან გამოიწვია აზროვნების ესთეტიზაცია. ასეთ აზროვნებას მივყავართ კულტურულ-ესთეტი-კურ კონცეფციამდე. ამიტომაც რელიგიური, პოლი-ტიკური, ეთიკური, ფილოსოფიური იდეები საპ-ოლობად ქმნიან კულტურულ მთლიანობას.

ავთანდილი, ტარიელი, ფრიდონი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენელია (მხატვრული გაგე-ბით), მაგრამ სამიერე ერთად აღებული ქმნიან კულ-ტურულ მთლიანობას. სწორედ ეს არის ერთიანი სამყაროს შეგრძება. ამიტომაცაა მთელი ჩვენი ისტორია, მნერლობა დასავლურ-აღმოსავლურ კულტურათა სინთეზი. ოლონდ, თავისი თვითემარი კულტურის შენარჩუნებით. შოთა რუსთაველი ეტრ-ფოდა დასავლურ პლასტიკურ განაფენილობას და აღმოსავლურ მისტიკას განცვიფრებაში მოჰყავდა. იცოდა ბიზანტიურ საგალობელთა ერთშემიანობა, მაგრამ საქართველოს დიდებად მიაჩნდა წარმარ-თული მრავალხმიანობა. იცოდა ბიბლიაზე აღზრდი-ლი ქართველები ფირდოუსის „შაჰნამეს“, გორგანის „ვისრამიანს“, რომ თარგმნიდნენ და კითხულობდნენ. ამან მიიყვანა რუსთაველი იმ აზრამდე, რომ ადამიანი სამყაროს მშვენიერება არის. მრავალპო-

ლუსიანობაა კაცობრიობის კულტურ-ის საფუძველი. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ვეფხისტყაოსანის“ საფუძ-ველს კულტურა ქმნის. ეს ნიშნავს კულტურული ცხოვრების მრავალნა-ნაგობას, რომ კულტურულ-ესთეტი-კურ კონცეფციაშია მსოფლიო კულ-ტუროლოგიის საზრისი.

„ვეფხისტყაოსანის“ ღმერთი

ცალკე დგას და ის გამიჯნულია სხვა რელიგიებისაგან. ნიკო მარი წერს: „მთელი პოემის მანძილზე არც ერთი ხსენება, არც ერთი მინიშნება არაა სამებაზე, არც ერთხელ არაა ნახსენ-ები არც ერთი ქრისტიანი წმინდანი, ღვთისმშობელიც კი“. (ნ. მარი, შოთა

რუსთაველის ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი კულტურული ისტორიული პრობლემა, 1917, 497).

კორნელი კეკელიძე საპირისპირო მოსაზრე-ბას გამოთქვამს, რომ „ვეფხისტყაოსანის“ ღმერთი არის მოწყალე, ხოლო მაპმადიანთ ტირანი. „მაპ-მადიანს არ შეეძლო უყვარდეს ღმერთი, მისადმი დამოკიდებულებაში ის მხოლოდ და მხოლოდ შიმით ხელმძღვანელობს“. (კ. კეკელიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. II. 1981, 187).

მოსე გოგიბერიძის აზრით, მუსლიმანურ რელი-გიას რუსთაველი აღმაცერად უყურებს. ამავე აზრს ავითარებს ელგუჯა ხინთიბიძე, რომ „მაპმადიანური ღვთაება თავისი ეჭვიანი ხასიათით განსხვავდება „ვეფხისტყაოსანში“ უზენაესი არსებისაგან“ (ე. ხინ-თიბიძე, „ვეფხისტყაოსანი“ იდეურ-მსოფლმშედვე-ლობრივი სამყარო, 2009, 229).

ოქტავი ქაზუმოვი ქართველ მეცნიერთა წარ-მოდგენას ისლამის შესახებ ტენდენციურად მიიჩ-ნევს. ამის მატკიცებლად მას მოჰყავს ყურანი და აღნიშნავს, რომ „ყურანი 114 სურისაგან, ანუ თა-ვისგან შედგება. აქედან 113 იწყება ფორმულით – „სახელითა ალაპისა, მოწყალისა“, გარდა ერთისა – მეცხრე სურისა „მონანიება“. (რუსთაველი და ნი-ზამი, 2021, 314). მართალია, ყურანის დასაწყისის სურები ასე იწყება, მაგრამ ქვემოთ სტრიქინიებია მთლიანობაში გასაზრებელი. კულტურული პარა-დიგმები აღმოსავლურ სამყაროსთან ნათლად ჩანს. მოდით, ჩავატაროთ მცირე ექსკურსი. ყურანის ლოგიკა ასეთია: ალაპი (ღმერთი) ერთადერთია, მის მიერ არის შექმნილი სამყარო და ადამიანი. ამიტომ კაცობრიობაც ერთიანი უნდა იყოს და ადიდებდენ ალაპს. უნდა ითქვას, რომ ისლამი უარყოფს ქრისტეს ღვთაებრიობას, არ აღიარებს ქრისტეს ძე ღმრთისად, უარყოფილია სამება, ჯვარცმა, აღდგო-მა... თუ ყოველივე ამას მივიღებთ, ქრისტიანობას აზრი ეკარგება.

ყურანი არის ერთი სურა, რომელიც გვაუწყებს მუსლიმანთა მიერ ქრისტიანთა სიყვარულს. თავიდანვე მუჰამედი აცხადებდა: „არავითარი იძუ-





ლება სარწმუნოებაში“. არადა, პირიქით მოხდა, იუ- ჯეველებს დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადეს. ყურანის თანახმად, ყველაფერი ამ სამყაროში ალა- ჰის ხელით ხდება: სიკეთე, ბოროტება, სამართალი, უსამართლობა... ადამიანიც ამის მიხედვით განის- ჯება. აქ ერთგვარ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, თუ ყველაფერი ალაჰის ხელით ხდება, მაშინ ადამი- ანი თავის ქმედებებზე პასუხისმგებელი ვერ იქნე- ბა. მეტიც, თავს იჩენს დავა ბედისწერასა და ნების თავისუფლებას შორის. „ვეფხისტყაოსანში“ ამის მს- გავსი არსად გვხვდება. ადამიანი პასუხისმგებელია თავის ქმედებზე და ამის მაგალითებიც უხვად მოგვე- პოვება პოემაში.

რუსთაველის ანტიმუსლიმანურ განწყობად მიიჩნევა „ირონია“: „მაჰმადის რჯულის მჭირვანი არასდროს გვისვამს მაჭარნი... მსგავსი სტრიქონები არაერთგზის გვხვდება პოემაში. ღვინის დალე- ვა მაჰმადიანისათვის აკრძალულია ამა სოფელში, ხოლო დასაშვებია გარდაცვალების შემდეგ, სადაც სამოთხეში მოხვედრილ მუსლიმს ალაჰი ღვინოსა და ლამაზ ქალებს ჰპირდება. არც ასეთი რამ არ ჩანს „ვეფხისტყაოსანში“. აღმოჩავლურობა პიპ- ერბოლიზაციით ვლინდება, ხოლო დასავლურო- ბა ამალებულ დიალოგში. შოთა რუსთაველი არ გვაძლევს სწორხაზოვნების უფლებას. მისი კულ- ტურულ-ესთეტიკური სივრცე დასავლურ-აღმო- სავლურ სამყაროს მოიცავს, რომლებიც ისეა აღ- რეული და დესაკრალიზებული ერთმანეთში, რომ დაკვირვებულ თვალსაც კი არ შეუძლია მათი დეფი- ნიცია. არ შეიძლება არ დაეთანხმო რევაზ სირაძეს: „ხომ არ მიისწრაფვოდა რუსთაველი მსოფლიო რე- ლიგის იდეისკენ? მსოფლიო რელიგიის, რომელიც დადგებოდა ყველა ცალკეულ რელიგიაზე მაღლა“ (რ. სირაძე, სახისმეტყველება, 1982, 207).

ზვიად გამსახურდია „ვეფხისტყაოსანს“ ალე- გორიულ ნაწარმოებად მიიჩნევს და „ახალ აგიოგ- რაფიად“ აცხადებს. „ახალ აგიოგრაფიაში“ საღვთო და საერო სიყვარული იგულისხმება. ეს სიყვარული მასთან ძველ აღთქმას ეყრდნობა, რომელიც გრაფი- კულად შეიძლება ასე გამოვსახოთ“:

#### სამოთხე

ადამი, ევა  
ნესტანი, ტარიელი

#### სამოთხიდან განდევნა

ადამი, ევა  
ნესტანი, ტარიელი

#### სამოთხეში დაბრუნება

ნესტანი, ტარიელი

ადამისა და ევას სამოთხიდან განდევნა დღესაც დაუსარულებელია, რადგან მიწიერ ცხოვრებას გადი- ან, ხოლო შოთა რუსთაველმა მხატვრულ აზროვნე- ბაში ნესტანი და ტარიელი სამოთხეში დააბრუნა. ასეთი ესთეტიკა იერარქულობის უმაღლესი გამ- ოვლინება არის.

შოთა რუსთაველი მიგვანიშნებს: 1. არსებობს სიყვარული; 2. არსებობს ტანჯვა და მისი მიზეზი; 3. არსებობს ტანჯვის დასასრული. სიყვარული (ნეს- ტანი, ტარიელი), ტანჯვა (მიჯნურთა დაშორება), მიჯნურთა შეხვედრა („გამოეშვა მთვარე გველსა“). ამის მიღწევა თვითჩაღრმავებითა და ქმედებებით არის შესაძლებელი. პოეტისათვის ადამიანი ხომ სიკეთე და სიკეთის ნაკლოვანების მონაცევლეობა არის, სადაც სიკეთე მდგრადობა: „ბოროტსა სძ- ლია კეთილმან არსება მისი გრძელია“. ამიტომაც არის „ვეფხისტყაოსანი“ სიყვარულისა და სიკეთის მარადიულობის განცდა. სხვა სიტყვებით, კულ- ტურულ-ესთეტიკური რელიგია არის, სადაც ნები- სმიერი აღმსარებლობის კაცი იპოვის სულის მოს- აბრუნებელ ადგილს, დიდ „ეტლა“ და დიდ გზას.

#### გამოყენებული ლიტერატურა:

1. გამსახურდია ზ. „ვეფხისტყაოსანის“ სახ- ისმეტყველება, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ. 1991

2. კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურ- ის ისტორია ტ. II. თსუ გამომცემლობა, თბ. 1981.


3. მარი ნ. შოთა რუსთაველის ქართული პოე- მა „ვეფხისტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტო- რიული პრობლემა, სანპეტერბურგი, 1917.

4. რუსთაველი შ. „ვეფხისტყაოსანი“, გა- მომცემლობა „განათლება“, თბ. 1976

5. რუსთაველი და ნიზამი, გამომცემლობა „მწიგნობარი“, თბ. 2021.

6. სირაძე რ. სახისმეტყველება, გამომცემლო- ბა „ნაკადული“, თბ. 1982

7. ხინთიძე ე. „ვეფხისტყაოსანის“ იდეურ-მსოფლმხედველობრივი სამყარო, გამომცე- მლობა „ქართველოლოგი“, თბ. 2009.



### ნიმუში გილობრძები

ფილოლოგიის დოქტორი

აქვთ გვინდა შევნიშნოთ, რომ ქადაგი, დისობი შეგონე-  
შა-სკრინერით გაჭურებული რომენია, რაჯ ნათლად  
ნარმონახებს მისი ავტორის ქხოვრებისეულ გამოწილე-  
ბას, ადამიანური ლირებულებრისადმი დამოკიდებულებას.  
აქევთ გამომდინარე, ნანარმონები დამოძლევრითი ხასიათის  
ელფერს იძენს, თითოეული სიტყვა მკითხველის გულამდე  
მიდის, ყოველი გმირი ნაწილია, შენი გარემონაა, შენი  
ეპიქის შეილია თავისი ნაკლითა და ლირსებრით. წრებ-  
ალი ინტონაციებით შეფერილი ფილოსოფიური დასკვნები  
რეპლიკადაგ აღიქმინა, რაჯ მკითხველს სიტუაციის გაზ-  
რებას და შეფასებაში ეხმარება.

ნინო გილობრძე

49



საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემის მიხედვით

### ძველი – ახალი რაკურსით ანუ გმირთა იდენტობის

#### საკითხი დროში

თანამედროვე ქართული ლიტერატურული პროცესების განვითარებაში თავისი მოკრძალებული წელილი შეაქვს როლანდ გიორგაძეს. მისი პოეტური და პროზაული ნაწარმონებები იძებედება ისეთ უურნალ-გაზეთებში, როგორებიცა: „ცისკარი“, „განთიადი“, „ლიტერატურული საქართველო“, „ჭოროხი“, „სალიტერატურო გაზეთი“, „კალმასობა“, „დილა“, და სხვა. როლანდ გიორგაძის შემოქმედების ძირითადი ნაწილი ნარმოდენილია რამდენიმე კრებულის სახით: „ოცნების პრეზიდენტი“ (2001), „გზა“ (2011), „ძახილი“ (2017) და „დისო, დისო“ (2020).

ჩვენი ყურადღება გვინდა შევაჩიროთ ბოლო კრებულში შეტანილ რომანზე „დისო, დისო.“ მწერალმა ყოველგვარი შელამაზების გარეშე მრუმე, მაგრამ ზედმინევნით რეალური ფერებით დაგვიხატა XX საუკუნის 90-იანი წლების ქართული ყოფა. რომანში ზუსტი აქცენტები კეთდება ქვეყნის სულიერ მდგომარეობაზე, ამ მდგომარეობით შექმნილ ტრაგიკულ რეალობაზე, უიდეო საზოგადოებაში დეგრადირებული ადამიანის დაბადება-აღზევების სამწუხაო მიზეზებზე. უკეთურებას ყოველ დროში ახალი აწმყო აქვს და ეს აწმყო რომანში ელეფთერის სახით ვლონდება.

რომანს გარკვეულწილად პუბლიცისტური იერი დაპკრავს. როლანდ გიორგაძე ლიად საუბრობს ყველა პრობლემაზე. მას არც პილიტიკური ალლო ღალატობს და არც მოვლენების სწორი განსჯისა და შეფასების უნარი. მოუვლელი ქვეყნის დაღი დასტყობია ყველა სფეროს, არად ფასობს ადამიანური ლირებულებები, ქვეყნის უანგარო სიყვარული. ავტორი სამშობლოს ხსნას ვერ ხედავს გულანთებულ სადლეგრძელებში, ყელში ბურთადგაჩრილ ამოძახილში: „იყიდება საქართველო!...“ ეს

მრავალსაუკუნოვანი ჭირია და ამას ნაბახუს-ევზე წამოძახილით და ლოყაზე ჩამოგორებული ცრემლებით ვერ შევაჩირებთ, მის დასაძლევად ქმედითი ნაბიჯებია საჭირო.

შემთხვევითი არაა, რომ რომანი მოფილო-სოფოსო გიორგის ფიქრებითა და მისი მეობრების ლხინით იწყება. ამ ახალგაზრდებში ნიჭირი, საღად მოაზროვნე ერის ლირსებებიც ვლინდება, მაგრამ გურამიშვილის მაქსიმაც იკვეთება: „ჭუა უხმარ არს ბრიყვათათვის...“

„დისო, დისოს“ სამყაროში ავტორს მრავლისმთქმელი დიალოგით შევყავართ. გიორგის ბაასი საკუთარ თავთან გარკვეულ-წილად ქართულ ხასიათანაც ასოცირდება. ბრძნულადმეტყელი გიორგი ქმედითობით მოიკოჭლებს. მან ბევრი რამ იცის. იცის, რომ უმოქმედო და უშინაარსო ცხოვრებამ სიზარმაცის სენი შეჰყარა, ისიც იცის, რომ სიზარმაცეა „თავი და თავი ყველა უბედურებისა“, „უქმად გდებისგან თოხიც კი უანგდება და გულს რაღა მოუვა?“... წუთისოფელის სილრმე-სიგანესაც კარგად ზომავს ჩვენი დროის გმირი და მის ამაოებასაც თავისებურად ნარმოგვიდგენს: „წუთისოფელი დაუნდობელია, მომაბეზრებელი ერთფეროვანი ყოველდღიურობა გულს აუხეშებს, თუ ვერ შეძელი წუთისოფელის გამრავალფეროვნება, სულს ჩრჩილი მოედება, დაუზიგდება.“ „წუთისოფელში მოვლინება რაღაც ამოუცნობი კანონზომიერების ნაყოფია. შემთხვევით არაფერი ხდება და მადლობელი უნდა იყოს ამისთვის კაცი. სამარადევამო სიცოცხლის შანსი გვეძლევა, თუ რწმენაში არ მოიკოჭლებ. მოვლინებასაც ათასგვარი ვალდებულება მოჰყვება... კისრისტებით გარბის დრო, გიუივით მიჰქერის. როგორც იტყვიან, თავის მოფხანის დროც არ არის, თუ მიძინებული არ ხარ.





მიძინება კი სიკვდილია. დრო დიდი განძია, ოლონდ ჭურით უნდა მოხმარება. უკან მიიხედვე, უკან, როგორ ახერხებდნენ შენი წინაპრები. გუთანიც ეჭირათ ხელში, ხმალიც და ღმერთის თვისაც იცლიდნენ. როდის უნდა მოეწყინათ? დღეს ღმერთიც მივიწყებულია. როცა ღმერთს ივიწყებ, ყველა მიწიერი მომაკვდინებელი მანკიერებები წამოყოფენ თავს და მის მონად იქცევი. ფულია დღეს ღმერთი და ამ ღმერთს ეთავყანება ყველა. სხვა დროა ახლა, სხვა დრო, ღმერთის დავიწყების დრო... უცნაურ ეპოქაში მოგვიწია ცხოვრებამ.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ „დისო, დისო“ შეგონება-სენტენციებით გაჯერებული რომანია, რაც ნათლად წარმოაჩენს მისი ავტორის ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ადამიანური ღირებულებებისადმი დამოკიდებულებას. აქედან გამომდინარე, ნაწარმოები დამოღვრითი ხასიათის ელფერს იძენს, თითოეული სიტყვა მკითხველის გულამდე მიდის, ყოველი გმირი ნაცნობია, შენი გარემოდანაა, შენი ეპოქის შეილია თავისი ნაკლითა და ღირსებებით. ცოცხალი ინტონაციებით შეფერილი ფილოსოფიური დასკვნები რეპლიკებადაც აღიქმება, რაც მკითხველს სიტუაციის გააზრებასა და შეფასებაში ეხმარება.

მწერალი კარგად აცნობიერებს ლიტერატურული ნაწარმოების დანიშნულებას და ამიტომაც მოზომილია მისი ყოველი სიტყვა და ფრაზა. როლანდ გიორგაძე დიდი სათქმელის ჩატვას, მცირე მოცულობის რომანში, სიტყვიერი ლაკონიზმით ახერხებს. „დისო, დისო“ ბევრი გმირი ჰყავს, მაგრამ ყველა მათგანი მთავარი პროტაგონისტის, ელეფთერის სახის სრულყოფას ემსახურება. ელეფთერს საზოგადოების გულგრილობა, ბედოვლათობა, ინდიფერენტული დამოკიდებულება შობს და აძლიერებს. იგი ლიტერატურაში მარტო არ გახლავთ, მისი ყველაზე დიდი წინამორბედი, გეზის მიმცემი კვაჭი კვაჭანტირაძეა.

წერილში „როგორ ვმუშაობ“ მ. ჯავახიშვილი გვიზიარებს თავისი შემოქმედებითი მუშაობის „საიდუმლოებებს.“ სხვა საკითხებთან ერთად იგი ეხება პროტოტიპის საკითხსაც და აცხადებს, „პროტოტიპი ძლიერ ეხმარება მწერალს: თუ მას თვალწინ ცოცხალი ნაცნობი უდგა, მისი ტიპიც ცოცხალი გამოვა.“ ასეა, „დისო, დისოს“ შემთხვევაშიც. ელეფთერს ჰყავს პროტოტიპი, რომელსაც პირადად შეხვედრია ავტორი, ზედმინევნით იცნობს მის „საგმირო“ საქმეებს. რომანის იდეური კონ-



## ნინო გიორგაძე

ცეფციის ჩამოსაყალიბებლად მწერალი რეალურ ფაქტებს ეყრდნობა.

ელეფთერის უზნეობა ძნელად მოსათავსებელია სიტყვიერ ჩარჩოებში, მისი პერსონა დანამაულებრივი ბუნების მატარებელია, მღვრიე და ამაზრზენია მისი შინაგანი სამყარო. ცხოვრების საზრისად უშრომელი შემოსავალი გაუხდია. რომანიდან ვგებულობთ, რომ ასეთ ცხოვრებასაც თავისი ნიჭი და ტალანტი სჭირდება, ამისთ-

ვისაც გარევეული საფეხურებია გასაელელი. განათლების ფასი და საჭიროება მოკვაჭო ელეფთერმაც იცის. აი, როგორ აცნობს ახალი გზის დასაწყისს ელეფთერი ლუკას, თავის ბავშვობის მეგობარს: „თითქმის ზეპირად ვისწავლე სახარება. არაერთხელ გადავიკითხე „ვეფხისტყაოსანი“... შევიძინე ცალკე წიგნად გამოცემული „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმები და დავიზეპირე. უამრავი ლიტერატურიდან, რაც მე წავიკითხე, გაგიკვირდება, მაგრამ გამორჩეულად მაინც „კვაჭი კვაჭანტირაძე“ მიყვარდა, რაღაც ჩემეული იყო მასში, ვპასავდი. „დავიზეპირე“, უმხელს მეგობარს ელეფთერი, არ ამბობს ვისწავლე, გავიაზრე და გავიზარდეო. ვინც შეიყვარა, აკი ემსგავსა კიდეც... ელეფთერზე უნიჭოაო ვერ ვიტყვით, მაგრამ „უზნეო კაცის წიგნიერება და განსწავლულობა საზოგადოებას დიდ ტკივილად ექცევა ხოლმე“, ასე იყო ამ ცრუ და ბოგანო „წიგნიერი“ კაცის შემთხვევაშიც. „ნიჭი საშიში რამეა, თუ დროულად არ მისცემ საჭირო მიმართულებას, შეიძლება დაგლუბოს“. ელეფთერის ნიჭს ვერ გამოუწინდა ღირსეული მოძღვარი და გეზის მიმცემი. მისი გონებრივი შესაძლებლობების მეპატრონე გავლენიანი კრიმინალი აღმოჩნდა, საგულდაგულოდ წვრთნა და თავისი ბნელი საქმეების აღმსრულებლად აქცია.

ელეფთერმა ასპარეზზე გამოსვლა სახელების შერჩევითაც დაიწყო. თავის პროფესიას ვერ მოარგო ნათლობის სახელი, ხან დავითი დაირქვა, ხან დემეტრე, ბოლოს ერეკვეს შეეთვისა. „ერეკვე ყველაზე მეტად მომწონს, კარგად ულერს, ასე სჭირდება საქმეს... ასეთი სახელით რომ გაეცნობი კაცს, სულ სხვანარი მონინებით განეწყობა შენ მიმართ. სახელი, ძმაო, დიდი შინაარსის მატარებელია“. ამ დიდი სიბრძნითაც გააოცა ბავშვობის მეგობარი ერეკვედ წოდებულმა. ელეფთერი ვერ აცნობიერებს, რომ სახელი კი არ ალამაზებს ადამიანს, არამედ ადამიანი – სახელს. მეფე ერეკვეს შემდეგ შეიყვარა ეს სახელი ქართველმა. ელეფ-



თერსაც გმირი მეფის გამო ესათუთებოდა, ალბათ, მაგრამ მას ვერანაირი ბრწყინვალება და ხიბლი ვერ შემატა, ჯლანივით მიეტმასნა მის უგვანო სახეს.

ელეფთერს სათავისოდ კიდევ ერთი სახელი აქვს გადანახული. ჩვენი აზრით, დისოც ელეფთერია. დისო მეტ მანკიერებას ინახავს თავის თავში, ვიდრე ელეფთერის მონათხობი იტევს. დისო ეშმაკეული ორეულია ელეფთერის სულში ჩასახლებული, რომელიც ვერც დაუძლურებულ, დამცირებულ, გალაზულ ელეფთერს ტოვებს, ვერც ელეფთერი ძლებს უმისოდ. ამიტომაც შემოუძახებს ხოლმე საკუთარ თავს შიგადაშიგ – „დისო, დისო, ავოიე!“

ეს იცის, რა ბნელ საქმეებს იტევს ელეფთერში დისო?

ელეფთერი კვაჭის ღირსეული ლიტერატურული ნათესავია, ისიც ადვილად არჩევს მსხვერპლს, გულუბრყვილოს და მიმნდობს საქმისთვის ვარგისად იგულვებს და დანანების გარეშეც წირავს.

ელეფთერმა გარკვეულწილად შეცვალა ბავშვობის მეგობრის, ბერის სამოსით შემოსილი ღუკას ყოფაც, წამიერად ისიც გადაიყვანა მისთვის უჩვეულო ცხოვრების რელსებზე. აღარას ვამბობთ შეცვარებულ ქალზე, რომელიც დაუზანებლად გაძარცვა, რომელიც გუმანით გრძნობდა, ბედისწერად ქცეოდა ეს ჟღალთმიანი, ლამაზთვალება კაცი, მაგრამ მზად იყო სიცოცხლეც მიეცა მისთვის.

ადამიანებზე უდიდესი ზემოქმედების ძალას ფლობდა ელეფთერი. ამაში ემარებოდა ნასწავლი მანერები, ფსევდო განათლება, მომხიბვლელი გარეგნობა. ამ ყოველივემ დაღუპა და დააქცია შემთხვევით გაცნობილი წყვილის ცხოვრება. გივიმ და ეკამ იმდენად ინამეს ელეფთერის კაიკაცობის, რომ შვილიც კი მოანათვლინეს. სანაცვლოდ რა მიიღეს? – სრული განადგურება, დამცირება, სიცრუეში ცხოვრება. ნათლიად მოვლენილმა სრულად გაძარცვა ოჯახი, მომაკვდავი მოხუციც არ დაინდო და მისი გადარჩენის ინიციატივით ეკას ნივთებსაც დაეპატრონა.

პატარა ნათლულის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას სინათლის სხივი უნდა შეეტანა ელეფთერში, არარსებული თუ მიძინებული სინდისი უნდა გაეღვიძებინა მასში, მაგრამ ასე არ მოხდა. ყველაზე წმინდამაც ვერ აღადგინა ნათლიაში დარღვეული, ნაშლილი ადამიანური ბუნება. ნათელმირონობის ეპიზოდის შემოტანა სწორედ ელეფთერის ბოლომდე დაცემის ჩვენებას ემსახურება. „არა შეჯდა მწყერი ხესა..“ ასეა მისი საქმე, ფსკერზე დაშვებული ფსკერის კუთვნილებაა. გვიან მიხვდა ამას ელეფთერი, გვიან გაახსენდა მათხოვრის ნათქვამი:

„გახსოვდეს, არავის მონობაა საპატიო ერთის გარდა, – და ზეცას გახედა, – მით უმეტეს ფულის, მოერიდე, დიდი და დამლუპველი სიყვარული იცის მაგან. მრავალი მინახავს მაგის-გან დალუპული და სანაგვეზე მოფართხალე“. ეს ის მათხოვარია, რომელმაც ბაზარში მოპარული ფულიდან არ მიიღო დახმარება, უარი უთხრა ელეფთერს გაკითხულისთვის. იცის ელეფთერმა, განა არ იცის რომ მამონას მონაა, რომ ეშმა სახლობს მასში, მაგრამ დიდად არ ნაღვლობს, არც რამის შეცვლას ცდილობს.

„და შენ ფიქრობ ეშმაკი გარე-გარე დაძრნის? (ეკითხება მისი ცხოვრების წესით გაოგნებულ მეგობარს – ნ.გ.) ის ყველა ჩვენთაგანშია, ერთი პატარა მოდუნება და მისი ნების აღმსრულებელი ხდები. ყველა მინიერზე შეყვარებული მისი მონაა. მე, დიდი ხანია, მის ნებაზე დავდივარ და უზარმაზარ სიამოვნებას ვიღებ მისგან“. წმინდა ტიხონ ზადენელი ბრძანებს: „ვინ არის ბრძენი? – ის, ვინც ყოველთვის ფრთხილად იქცევა და უხილავ ღმერთს, როგორც ხილულს, მუდამ თვალნინ იყენებს“. ელეფთერმა ისე იცხოვრა, არცროდის გახსენებია უხილავი ღმერთი, ამაში ვერც გაზეპირებული სახარება დაეხმარა.

რომანის დრამატულ პათოსს ქმნის ელეფთერის მიერ მოტყუებული ადამიანების სასონარკვეთილი განცდა. ელეფთერის მხატვრული სახის შექმნა მხოლოდ ერთი უკეთურის გამომზევებას არ ემსახურება, ის არც ერთია და არც მარტოა, ბევრი ელეფთერია ქვეყანაზე და მათ საზოგადოება შობს, მოუწესრიგებელი ქვეყნის უსამართლო სამართალი ბადებს. სწორედ, უბედური, პოლიტიკურად წარუმატებელი ქვეყანა ქმნის სასურველ გარემოს ელეფთერების, კვაჭების, ყვარყვარების და მისთანების ლალი ცხოვრებისათვის. ელეფთერის ცხოველური ნავარდი, ზღვარსგადასული ნიჰილიზმი, უკეთური ცხოვრების რიტმი და წესი შედეგია ქვეყნის სტრუქტურული ნგრევისა და მოშლისა.

ავტორს სამზეოზე გამოაქვს დროისგან დაღდასმული, სულიერი შექირვების დრამატული სურათები, ეკონომიური სიდუხჭირით გამოწვეული ყოფითი დეტალები, რაც ეროვნული გადაგვარების შიშას და გენოციდამდე მისულ საფრთხის შეგრძნებას ინვევს. „დაუსაქმებელია შენი სისხლი და ხორცი. უკანმოუხედავად გარბიან ქვეყნიდან და სხვის ისტორიას ჭედავენ... გონიერი მტრისა თუ ბრიყვი მოკეთის დირექტივებით იწრიტება და იშრიტება ქართული გენოფონდი და გარბიან. შეხედულები, ლამაზები, ნიჭიერები და მოხდენილები. უუნაროები არავის სჭირდება, ძირითადად – ახალგაზრდები, მოდგმის გამგრძელებელნი“. ყოველივე





ამის ფონზე კი შეიძლება შედეგი ერთობ სავალალო აღმოჩნდეს, „თუ საშველი არ გამოჩნდა, ამ ლამაზ მთა-გორებს, ნაყოფიერ ველ-მინდვრებს, სხვებიც უმღერებენ, სათავისოდ გამოიყენებენ და დამკვიდრდებიან“. მწერლის მიერ ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ნაკლის მხილება თვითგვემად, ნიშნისმიგებად არ აღიქმება. მისი მიზანია დააფიქროს მკითხველი, მიანიშნოს ზნეობრივ-სარწმუნოებრივი ცხოვრების მნიშვნელობაზე, სიყვარულისა და დანდობის სიკეთეზე. ეროვნული თვითმყოფობის შენარჩუნებას იგი ეკლესიის წიაღში ხედავს და ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარების ამ ნაცრისფერ ფონზე პრობლემებიდან გამოსვლის გზებსაც სახავს.

როლანდ გიორგაძის შემოქმედების ღირსებად, როგორც შევნიშნეთ, მიგვაჩნია სიტყვიერი ლაკონიზმი. ერთი უბრალო დეტალით, ეპიზოდით მას ძალუძს მნიშვნელოვანზე აქცენტირება.

პროფესიონალი იურისტი კარგად ერკვევა იურისპრუდენციაში, ზედმინევნით იცის ციხის კანონები და მისი სუსტი მხარეები. აი, ერთი ყურადსალები დეტალი: „კოჭლი ნაგლია“, იგივე ელეფთერი ციხიდან გაიპარა. „მომხდარის შესახებ მამამისმა არაფერი იცოდა. ერთხელაც მოსანახულებლად ჩამოსულს უთხრეს, გაიპარაო. გაგიუდა კაცი. საოცარი იუმორი ჰქონდა იმ სულგანათლებულს, გადაირა: თქვებედოვლათებო და დოყლაპიებო, ციხიდან რო-

გორ გაგეპარათო. ეს იყო ერთადერთი ადგილი, სადაც მისი ნახვა და საუბარი შემეძლოო. ციხეა თუ საქათმე, ფეხს არ მოვიცვლი, სანამ არ მომიყვანთო. ეს ის პერიოდია, როცა ერთი ხელისუფლება მიდიოდა და მეორე მოდიოდა“. ელეფთერის მამის მიერ „საქათმედ“ სახელდებული ციხე, სამწუხაროდ, „ერთგვარი კოლექციონერია, ადამიანური მანკიერების შემგროვებელი და აღმნუსხველი“, კარგი კალმოსნის ხელში ამ კოლექციის „ექსპონანტები“ ლიტერატურულ გმირებადაც იქცევიან ხოლმე.

დასასრულ, გვინდა ყურადღება მივაქციოთ რომანის ენობრივ მხარეს. როგორც საზოგადოდ აღიარებულია, ქართული ენა თავისი გამომსახველობით საშუალებებით მსოფლიოს უმდიდრეს ენათა შორისაა. როლანდ გიორგაძეს ქართული ენის უშრეტი ენერგია აძლევს შესაძლებლობას, შეინარჩუნოს თხრობის ბუნებრიობა, ნარმოაჩინოს ქართული ენის მოქნილობა, მისი სიტყვიერი სალაროს სიმდიდრე. ყოველი სიტყვა, ფრაზა თავის ადგილზეა, არსად არ კეკლუცობენ მოდური „იზმები“, ქართულისათვის არაბუნებრივი ლექსემები. თითო-ოროლა ჟარგონი და იმერიზმი თუ გამოერევა და ისიც გმირთა ხასიათის სიმკვეთრი-სათვის.

ვფიქრობთ, „დისო, დისო“ მნიშვნელოვანი მოვლენაა თანამედროვე ქართულ რომანისტიკაში და ის აუცილებლად მიიქცევს ფართო მკითხველი საზოგადოების ყურადღებას.



მხატვარი ვანო გოცირიძე



# ნინო დარბაისელი

ამ ფაგვინულეთ, ხშირად იქცოოთ, რომ მთავარი  
შეაცული — ღრია! ვინ ამ იქნა, ყსასკულონბასა და  
გაუკეთევლონბაში რატის გადავალება — ეს ძალიან მომგე-  
ბიანი საკემპა, — ვერავინ შეგებავებათ, ზოგი — პირდა-  
პირ ფაგვინბებებათ, ზოგი ფაგვინბებებათ იმიტომ, რომ  
დაიზარკებს წყლის ნაყასს.

მოძრავლში კი, როგორც იტურინ, „ან ვირი მოვდება  
და ან იმისი პატიონი”.

ნინო დარბაზისელი



როგორ გავხდეთ გენიალური ფიცისტებ-პოეტები

უმოკლეს დროში

(იუმორესკა)

არ ვიცი, სხვა სფეროს ეს იდეა რამდენად გა-  
მოადგება, მაგრამ ფეისბუქზე პოზის კი ზედ აკ-  
ვდება.

როგორ უნდა მოიქცეთ, თუ გინდათ, თავიც  
დაავეროთ და საახლობლო-საშორეულო გარემოც,  
რომ ქართული პოეზიის ცაზე აღმობრნებული  
ცისქრის ვარსკვლავი ხართ?!

ახლა ვიღაც მეტყვეს, კლასიკა უნდა შეისწავლოთ, ათასი უნდა იკითხო და ერთი წეროთ, ლექსის თეორიაზე სადაც რას წააწყდები, ხელიდან არ გაუშვაო;

გამოქვეყნებამდე ლექსში ყოველი სახე, სიტყვა, ბერძნული სასვენი ნიშანი უნდა გამოსცადოთ, მაგალითად, მის ნაცვლად, რაიმე სხვა ჩასვა და დაკვირდე, ორგანულ ცვლილებას იწვევს თუ არა და როგორსო და აშ., მაგრამ მანამდე, რაც მთავარია, „ნიჭი, ძამიკო, ნიჭიო“....

ნიჭიერი ხარო, ამას ხომ საქართველოში შენაურები დაბადებიდან მუდმივად გვეუძნებიან, იმ შემთხვევაშიც კი, ვაშლზე თუ ვიტყვით, მსხალია;

იამაყებენ, იცის ბავშვმა, ორივე – ხილი რომ  
არისო;

თუ ვაშლზე იტყვი, ველოსიპედიაო, ამითაც ია-  
მაყებენ, ხედავ, რა ნიჭირია? – როგორ შენიშნა,  
რომ ამ სხვადასხვა რიგის საგნებს სიმრგვალე აკა-  
ვირევებომ!...

აა, ვაშლზე თუ თქვი, წიგნიაო, მაშინ რა?!

- ეს ხომ მთლად ზენიჭერების გამოხატულებაა, ვაშლი - რენითა და სხვა ვიტამინებით ასაზრდოებს ადამიანს, წიგნი კი რა არის? რა და - გონების საზრდო და ასე შემდეგ.

ნიჭი და შრომისმოყვარეობა ერთად დაგვჭირ-დებაო?!

արա, ჩիմո զարգղօն, արաս լև ռդինդիաձելլուրո (բա

მოდაში შემოვიდა ეს სიტყვა ბოლო დროს!), ამდენ შრომაში ხომ სულიკ გაგძერება ადამიანს!

ყველა საქმეში და მათ შორის ამ სფეროშიც

მიზნის მისაღწევი ერთი ფორმულაა მთავარი:  
„მინიმალური დანახარჯის ფასად – მაქსიმალური უფასისი“.

აბა, როგორ მოვიქცეთ?!

ଶ୍ରୀ ପ୍ରମାଣି

გაეხსნათ ფეისბუქ-ჯგუფი ორ წამში, ვთქვათ,  
სათაურად დავარწევათ „პოეტური გენია“. ჯგუფი  
უნდა იყოს აუცილებლად ღია.

დავინუებთ მსოფლიო კლასიკოსებით, ანტიკური დროიდან – დღემდე. იქნება სადმე რამე მზად დადებული, ფოტოებით, ქართველებიდანაც დავდებთ ბლოგმად პოსტებს – გალაკტიონსა და ცის-ფირყანნელებს, გრანულს, ლეინიძეს, და ა.შ.

ახლა ისეთი ქაოსია საავტორო უფლებების დაცვა/დაუცველობის მხრივ, რეალსა თუ ინტერ-ნეტში, ვინმემ ხელმრუდობაშიც რომ გვამხილოს, რას გახდება!...

მოგვანებულება დუნია, ყველა გამცლელ-გამომვლელს შეეძლება საკუთარი ნაწერის დადება, დონე – რაც ცუდი, მით უკეთესი!...ოღონდ აუცილებლად ვიდეოთი თუ ფოტოთი, ნებისმიერი სიხშირით, დროდადრო შევურევთ საკუთარ ლექსებსაც. თუ შემთხვევით, ერთი-ორჯერ ლიტერატურული „სელებრითიც“ შემოხედავს, ქებით ძირს გავაგდებინებთ, რათა წარმატებით იმუშაოს წესმა „აქე, რათა გაქონა!“

თქვენზე უარესები – ხომ მოგაწყდებიან და მოგაწყდებიან (თქვენთვის სკობია ასე, რომ მათ ფონზე იკაშკაშოთ), შემთხვევით თქვენზე უკეთესი თუ მოჰყევა ამ გაუგებრობაში, ცოტა ხანში მიიხიდ-მოიხიდავს, გაუკიდება და თვითონ გაიალე-





ბა მანდაურობას, მით უმეტეს, თუ თავგადაკლულად არ/აღარ აქებთ/აქებენ.

აი, თუ თქვენთვის არასასურველი ჩრდილი დაეცემა მისი აქტივობით თქვენს დიად შემოქმედებას, შარის მოდებას რაღა უნდა, ან წყნარად დაბლოკვა ხომ წამის საქმეა.

ყასიდად, მუდმივად იწუნუნეთ, რომ თანამედროვე ქართული ლიტერატურული კრიტიკა – ანგაუირებულია და ყურადღებას განგებ არ გაქცევთ არც თქვენ, არც თქვენს საკუთარ, „თქვენზე უმნეოთა არმიას“, რომ სულ ერთსა და იმავე პოეტებს აპი-არებს და არმიაც ერთგულად და მონინებით კვერს დაგიკრავთ „მოუწინებელი“ – მიაბლოკეთ!

გაუგებრობისგან, მეტადრე ინტერნეტში, დაზღვეული არავინაა. თუ ვინწმებ რამე დაგინუოთ, წინასწარ მზად უნდა გქონდეთ „ალტერები“, ანუ თქვენმიერვე გახსნილი, თავისებური ფეიკ-გვერდები, ცხადია რაიმე, მოგონილი სახელებით, რომ იქიდან შეხვიდეთ და მხარდამჭერი კომენტარები უწეროთ საკუთარ თავს, სხვა არმიელებიც აიყოლიოთ...

(როგორ გამოსცეთ რეალში პოეტური კრებული საკუთარი ხარჯით, მაგრამ ვირტუალში მადლობა გადაუხადოთ ანონიმ ქართველ ემიგრანტს წიგნის



## ნონი დარპაისელი

დაფინანსებისთვის – ეს ჩემგან არ გესწავლებათ, არც ნაკორონალ-ზე პრეზენტაციის ცუმპა-რამპით ჩატარების ამბავი შეგეძლებათ, გუნდითა და არქიელით... ეს ყველაფერი ხომ თქვენს მიდექ-მოდექისაზეა მთლიანად დამოკიდებული).

არ დაგავიწყდეთ, ხშირად იმ-ეოროთ, რომ მთავარი მსაჯული – დროა! ვინ არ იცის, უსასრულობა-სა და გაურკვევლობაში რამის გა-დავადება – ეს ძალიან მომგებიანი საქმეა, – ვერავინ შეგედავებათ, ზოგი – პირდაპირ დაგეთანხმებათ,

ზოგი დაგეთანხმებათ იმიტომ, რომ დაიზარებს წყლის ნაყვას.

მომავალში კი, როგორც იტყვიან, „ან ვირი მოკვდება და ან იმისი პატრონი“.

ორ კვირაში, მაქსიმუმ ერთ თვეში მიაღწევთ გარანტირებულ, ხელშესახებ წარმატებას;

ოლომპის წვერზე მოექცევით, თავზე ვირტუალური დაფინის გვირგვინი დაგედგმევათ.

მთავარია, კარგად ჩააკმენდინოთ ხმა ამ ოხერ სინდისს, რა უნდა, რას გადაეკიდება ხოლმე ადა-მიანს!

მე კი ისლა დამრჩენია, ემერსონივით გითხრათ: – გესალმებით თქვენი დიდების გზაზე!



მხატვარი ვანო გოცირიძე



## თინათინ თუშაპრამიშვილი

ფილოლოგის დოქტორი

ხელოვნების სხვადასხვა დარგი ერთმანეთზე მუდმივად ახდენს გავლენას. მართალია, ისინი სტილით განსხვავდებიან ერთმანეთისგან, სპეციფიკურია მათი აღქმის წესი, ზოგი აკუსტიკურად აღიქმება, ზოგი ოპტიკურად, თუმცა მათ შორის სიახლოეს მართლაც არსებობს.

ამჟამად, ჩვენ გვაინტერესებს პოეზიისა და მხატვრობის სიახლოეს, ანუ პოეზია ფერწერულად... ლეონარდო და ვინჩის უთქვამს: „მხატვრობა მუნჯი პოეზია, ხოლო პოეზია — ბრმა მხატვრობაო“... ამ საკითხთან დაკავშირებით, ლესინგმა „ლაოკოონში“ აღნიშნა, რომ: „ვინც ფერწერა და პოეზია პირველად შეადარა ერთმანეთს, მას ნამდვილად მახვილი აღლოთ ჭერნდა და იგრძნო მათი ერთნაირი ზემოქმედება...“.

ამ საკითხს, ჩვენშიც მიაქციეს ყურადღება. მაგალითად, ტიციან ტაბიძე ერთ-ერთ წერილში წერდა: „თუკი პოეზია სიტყვის თვისებაზეა აგებული, მაშინ მხატვრობა ფერადობის, ხაზულობისა და ფორმის თვისებების შედეგია. მხატვრობა ისახება ფერადების სიძლიერის შეგნებაში... შეიძლება ითქვას, რომ არსებობს ორნაირი მხედველობა: ერთი ჩვეულებრივი და მეორე მხატვრული მხედველობა... ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა შევიგნოთ ხელოვნების დიადობა, საჭიროა განვავითაროთ ჩვენში მხატვრული მხედველობის თვისება...“ (ტ. ტაბიძის „ცისფერი ყანების“ გამო, 1918).

პოეზიისა და მხატვრობის ერთმანეთთან დიდ სიახლოეს, ვრცელი მოხსენება უძღვნა ირინე აბე-საძემაც წერილში – „ქართული მხატვრობის „დიონისური ღამე“ (1914-1922). ავტორის თვალთახედვით – აღმოსავლური ელემენტების დასავლურ ლირებულებებთან მიმართების გააზრებამ დააკავშირა ერთმანეთს პოეზია და მხატვრობა.

ჩვენი ქართული რეალობა იცნობს ფერწერული ფილოებით შთაგონებულ ლექსებს. მაგალითისთვის მოვიყენოთ მამუკა სალუქაძის „მზესუმზირები“ (ვან გოგის ცნობილი ტილოს გავლენით შექმნილი):

თინათინ თუშაპრამიშვილი

55

### „დამხატე ლექსად“

„ფონად – ცა სიცხით გახუნებული,

სიბრტყე მხურვალე,

სივრცე ურვილი.

თახის ქოთანი გახურებული,

შიგნით – წყურვილი.

თავად სამყაროს არ გაგონებთ

სურათი განა?!“

ყელგამომშრალი ყვავილები,

მზეებს რომ ჰგვანან,

ქოთანში დგანან

და სამუდამოდ მოწყვეტილები

ჯერ კიდევ დილით,

იმზირებიან მოწყენილები:

– სად გაქრა ჩრდილი?

– სადმე, მიწაში თუ ხმებიან ჩვენი ძირები...

– უძირო ფიქრში იძირებიან

მზესუმზირები.“

ასევე, გვეცვდება მაგალითები, როდესაც მხატვარი პოეზიის შთაგონებით ქმნის შედევრს. მაგალითად, სიმონ ჩიქოვანმა წერილში „მხატვარი – პოეტი“ აღნიშნა, რომ: „ქართველ მხატვართა შორის, შეიძლება ითქვას, ლადო გუდიაშვილი ქართულ პოეზიასთან და საერთოდ, სიტყვაკაზმულ მწერლობასთან ყველაზე მეტად დაახლოებულია. იგი პოეტია სახვით ხელოვნებაში და თავის პოეტურობას ნახატში არასოდეს არ შორდება“.

ნოდარ დუმბაძეც წერილში „მხატვრობა რომ

არ ყოფილიყო“ წერს: „მე ხმირად მივსულვარ საგამოფენო დარბაზში... ჩემი ფიქრებისა და შთაბეჭდილებების ჩასაწერად... მხატვრობა მარტო ხილვა არ არის, მხატვრობა უფრო შეგრძნებაა... კაცობრიობა, აღბათ, დედით ან მამით ობოლ ბავშვს დაემსგავსებოდა, ქვეყნად მხატვრობა რომ არ ყოფილიყო“.

მართლაც, არ ვიცი, რამ დააკავშირა ეს ორი

საოცარი ნიჭი ერთმანეთს და რა ანათესავებთ მათ,

თუმცა მათ შორის ურთიერთუავშირი ნამდვილად არსებობს. ეს საკითხი დიდად საინტერესოა და არა





ერთმა მკვლევარმაც უძღვნა მოხსენება... თუმცა, მე დღეს მსურს, სხვა ახალ, საინტერესო, თანამედროვე მიმდინარე პოეზიაზე გესაუბროთ. ინტერნეტ სივრცეში, გამოჩნდნენ დამწყები, მოყვარული და შემდგარი პოეტები... მათი შემოქმედება ასახავს დღევანდელ რეალობას და სრულიად განსხვავდება – სტილითა და ფორმით, რითმითა თუ მუსიკალურობით – ადრეული პოეზიისგან.

სიყვარულის ახსნის უამრავი მაგალითი გვიხილავს, წაგვიკითხავს... სევდიანი ცხოვრების გალამაზების სურვილებიც, სულიერი ტკივილის ფურცლებზე გამოფენაც ამოგვიკითხავს და მათი შენილებაც... ფერებითაც ცნობილია ჩვენი ლიტერატურა, თუმცა ეს, რაზედაც მსურს, თქვენი ყურადღება მიიპყრო, ახალია, მიმდინარეა და შესაბამისად, დიდ დაკვირვებასა და კვლევას საჭიროებს.

ნებისმიერი ხელოვანი ადამიანი, საკუთარ „მეს“, საკუთარ სულიერ სამყაროს, ცხოვრებისადმი ხედვას, ტკივილთან თუ სიხარულთან, სიძულვილთან და სიყვარულთან საკუთარ დამოკიდებულებას განსხვავებულად აღიქვამს და გადმოგვცემს კიდევ განსხვავებული გამომსახველობითი საშუალებებით. მოკლედ რომ ვთქვათ, ხელოვნება გენიალური და ურთულესი საშუალებაა ხალხთან ურთიერთობისა და სათქმელის გამოხატვისთვის.

ახლა კი, რაც შეეხება ჩემ მიერ შერჩეულ ლექსებს. დასაწყისშივე მოგახსენებთ, რომ, პირადად ჩემთვის, ლექსის ეს სტილი უცხო და საინტერესოა... წარმოდგენილი ლექსების თითქმის უმრავლესობა იწყება სიტყვებით: „დამხატე“, ხშირ შემთხვევაში, ეს მოწოდება-მიმართვა სათაურშივე იყითხება, ამასთან, მხატვარი ქალია თუ კაცი ეს თითქმის არცერთ ლექსში არ ჩანს, თუმცა, ალბათ, მოიაზრება საპირისპირ სქესი... იძებნება ქალი და კაცი პოეტის ლექსები... ამჟამად წარმოვადგენ ქალი პოეტების ლექსებს.

შემსვდა ლექსები, როდესაც ქალი სთხოვს მხატვარს უფრო გაულამაზოს გარეგნული ხიბლი: მაგალითად, თაფლო ზარიძე წერს ლექსში „მინდა-და-დაგხატო“:

„მინდა – დახატო ფერწერულად, ზეცის სადაფზე.... ჩემი სხეული – შეურყვნელი – პირველი თოვლი... ჩემი ხელების სინატივე და სიქათქათე... ჩემი თვალების სილრმეები ზეცაზე შორი... თხელი წვივები დამიხატე და თეძო – სრული... თხელი ტუჩები – ძონისფერი ყაყაჩოები...“ მინდა დამხატო...“

პოეტი მაკო უსტუდბილეთო (ასეა დარეგისტრირებული) სთხოვს მხატვარს:

„დამხატე, ისე რომ შეშურდეს თავად დავინჩის,



## თინათინ თუშაპრამიშვილი

ცრემლებად შევი მარგალიტი მიმომიბნიერ, ჩამაცვი კაბა ვარდისფერი თეთრი წინწკლების და ფონად ბალში გვირილები მიმომიფანტე... თმები კი, თმები, ოხ, ეს თმები მუდამ პრობლემა, მოკლე კი არის, თუმცა მინდა გრძელი დახატო, თავზე გვირგვინი გამიკეთე გვირგვინი დაფნის, რომ შენს ნახატში ცრემლებთან ერთად ძლიერიც ვიყო“... ეკა ქაჯაია კი, შემდეგს ამბობს:

„დამხატე, მე შენ გაძლევ ამის უფლებას, დამხატე, ოღონდ არ დამხატო ასე უძიროდ, ასე ნამიანს ნუ დამხატავ გთხოვ თვალებს, და ტუჩისაც ფრთხილად დაუსვი ფუნჯი... დამხატე, როგორც მოდილანმა ერთ დროს დახატა ცხოვრების არსი! დამხატე, გთხოვ, ტილოს დაუსვი ფუნჯი...“

გხვდებით მაგალითებსაც, როდესაც ქალს სურს, მისი კონტურები, ნაოჭები უცვლელი დარჩეს...

ცნობილი პოეტი – ნანა მეფარიშვილი – ერთგან წერს:

„დამხატე, მაგრამ ნაოჭებს ნუ ნაშლი, ხსოვნას მსურს ვაცალო. იჩქარე სიშიშვლით, ვმორცხვობ და ვლურჯდები, ქალების გრძელ თითებს, მოჰვანან ფუნჯები“...

ხშირ შემთხვევაში კი, პოეტი ქალი, სულიერი თუ ცხოვრებისეული სიმუქის გაფერადებას ითხოვს მხატვრისგან... მომყავს მაგალითები სხვადასხვა წაცნობი თუ უცნობი პოეტის შემოქმედებიდან: „ჩემი მხატვარი, მოდი დამხატე, სწორედ ისეთი, როგორიც დღეს ვარ, ოღონდ ეცადე ასევე მძაფრად, არ გამიმუქო თვალებში სევდა...“

ეკა ქაჯაიას ლექსში – „დამხატე“ – ვკითხულობთ:

„დამხატე...“

ოღონდ ნუ დამხატავ ასე სევდიანს.

შემილამაზე მარტოობა მხიარულ გრიმით.

შემიმაძარცვე ავტედითი მელანქოლია.

თორემ უსაზღვრო ძალა უნდა ბუნებრივ ღიმილს“...

და კიდევ:

„ნახატზე ჩაქასოვე თვალებში მონატრება, და გაქცეული სიყვარულიც,



იქვე ფანჯრიდან რომ მეჭყანება!  
დახატე მწვანედ შეფერადებული წითელი, ლენტი,  
ჩემი ცხოვრების ჭრელი სარტყელი,  
ფუნჯება?! არა ეგენი არ დამანახო,  
გთხოვ, რომ დამხატო გრძნობებით, სიტყვებით...  
და გთხოვ, დამხატე ისე, როგორც არასდროს,  
მთვარის სინათლეში აღბეჭდილი ნაწიბურებით..."

პოეტი სოფო ფოტკარაძე ლექსში „თხოვნა“ წერს:

„დამხატე ისეთი, როგორიც ახლა ვარ,  
მშვიდი და ამავ დროს საშინლად მღელვარე,  
დამხატე, ბავშვიც და ბავშვიც, რომ აღარ ვარ,  
დამხატე, გიყიც და ნახევრად მთვლემარე...  
დამხატე, შიშველი დარღების ამარა,  
დამხატე, ოცნებანარევი ღიმილით,  
ისე, რომ ცისკარზე შემოვკრა კამარა,  
ისე, რომ გავგმირდე გოეთეს გმირივით..."

ერთი პოეტი ქალი წერს:

„მოდი, დახატე ჩემი თვალები, ჩემი თვალები ჩემო  
მხატვარო,  
ოლონდაც სევდა შიგ ჩანოლილი, ისე დახატე არ  
ნამიშალო...  
მოდი, დახატე ეს ჩემი გული, თუმცა კი ვშიშობ  
შიგ რომ ჩახედო,  
და გრძნობა თბილი, იქ მოყოლილი, არა, არა  
მსურს ნათლად რომ ნახო.  
მოდი, დახატე ჩემი ღიმილი, ღიმილის უკან სევდა  
რომ ბუდობს,  
ვდგავარ მე შენს წინ ვით ქანდაკება, და ჩემს  
გრძნობებსაც ისევე ათოვს.  
მოდი, დახატე ჩემი თვალები, თვალები მუდამ  
უამრავს ამბობს".

ახლა ცოტა რამ ფერებზე... როგორც ჩანს, ადამიინის საყვარელი ფერის მიხედვით შესაძლებელია მისი პიროვნების, მისი ხასიათის შტრიხების განსაზღვრა. სხვადასხვა ფერს სხვადასხვა დატვირთვა აქვს ადამიანის ცხოვრებაში. ფერები გვაწვდის ინფორმაციას ადამიანის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე, რადგან განსხვავებულად მოქმედებს ადამიანზე და მის ფსიქიკაზე. მაგალითად, საკმარისია ზუსტად გავეცნოთ ფერთა ხასიათს და ჩვენთვის ნათელი გახდება მრავალი მხატვრის შედევრის ჩანაფიქრი. გოეთე ამბობდა: „ყველა ფერს თავისი ხასიათი აქვს და თუ ადამიანი კარგად დაუკვირდება ფერთა ჩანაფიქრს, მის წინ გადაიშლება მთელი გრძნობათა სამყარო...“

მე-20 საუკუნის მიწურულს ამერიკელებმა გა-  
მოსცეს „ფერთა ატლასი“, სადაც 7000 ფერია აღ-  
ნიშნული, აქედან 4000-ს აქვს სახელი, ხოლო დან-  
არჩენი ნომრებით არის აღნიშნული. რაც არ უნდა  
საოცარი იყოს, ეს უამრავი ფერი, რომლებიც ხიბლს  
აძლევენ ჩვენს სამყაროს, სულ რამდენიმე ფერისა-  
გან გამომდინარეობს. ეს არის სამი ძირითადი ფერი:

ყვითელი, ლურჯი და წითელი. ხოლო თეთრი და შავი არის აბსოლუტური სინათლე და აბსოლუტური სიბნელე, რომლებიც ამ ფერებს ანიჭებენ მუქ და ლია ტონალობებს (სინათლესა და სიბნელეს). ფერი როგორც საგანი არ არსებობს. იგი საგნის თვისებაა. ეს არ ეხება ცას და ცისარტყელას – ზუსტად ცის-არტყელას ფერებიდან გამოყვეს მხატვრებმა 3 ძირითადი ფერი და ამ სპეციალის ფერებიდან დასახელეს ცივი და თბილი ფერებიც. თბილია ის ფერები, რომლებიც მზეს უკავშირდება (ყვითელი, წითელი, ნარინჯისფერი...), ხოლო ის ფერები, რომლებიც უკავშირდება თოვლას, არის ცავი (ლურჯი, ისფერი, თეთრი, ცისფერი, ნაცრისფერი...). თბილი ფერი არის აქტივობის, ცხოველმყოფელობის, ხოლო ცივი და კავშირებულია პასიურობასა და სიმშვიდესთან.

დღეს, განსახილველად გამოტანილ ლექსში, ხშირად ვხვდებით პოეტების სურვილს – მხატვრებმა გაუფერადონ გარეგნობა, განწყობა, ცხოვრება – თბილ, ნათელ ფერებში...

მაგალითად, თაკა სელეპანიშვილი წერს:

„დამხატე, ფერადი ფანქრებით...  
ან ფუნჯით გუშში დამხატე...  
შენ ოღონდ როგორმე დამხატე  
და თუგინდა შავ თეთრად დამქარგე...  
მინდა, რომ დამხატო ფერადი...  
მეცვას ცისარტყელას კაბა...  
სახეზე ღიმილად მზე მენოს...  
თავზე დამადგა დაფნა...“

პოეტი მარი მემანიშვილი კი წერს:

„დამხატე...  
ფერადი ფუნჯებით მოხატე,  
ძაფებით მოქარგე  
აშლილი ვნებები...  
მე მხატვრის ფერადი  
ფუნჯების მონა ვარ.  
თვალებში გრაფიტი...  
და მაინც მოგყარ!“

პოეტი ლალი ციპი მიხაელი წერს:

„აღმოდებული დამხატე...  
ვითარცა რომი  
ცეცხლი მექიდოს თმებში, ნესტორებიდან,  
პირის ღრუდან მდიოდეს კვამლი,  
იწვოდეს ციხე,  
კისრიდან ქვევით  
ბული სდომედეს ბორცვებს...  
აღმოდებული დამხატე,  
მეკიდოს ცეცხლი“...

თანამედროვე პოეზიაში გვხვდება ლექსები, სადაც პოეტი ქალი მხატვარს სთხოვს, რომ დახატოს რეალურად როგორიც არის, თუმცა არ მოაქციოს ჩარჩოში, არ შეუზღუდოს სამყარო, არ შეუბოჭოს მის სულს თავისუფლება... მაგალითად, ირმა





ბეგლარიშვილი წერს:

„დამხატე...

დამხატე ოღონდ, ნუ მოაქცევ  
სურათს ჩარჩოში,  
ტილოდ აიღე ცა და... მიდი,  
ცაზე დამხატე,  
ცისარტყელათი ამომივსე  
თვალებში სევდა,  
შავი ღრუბელი მოინდომე  
და გამიფანტე...  
დამხატე, ცაზე, ნუ მომაქცევ  
ლამაზ ჩარჩოში,  
უსასრულოა ჩემი სული,  
ჩარჩოს ვერ იხდენს“...

შემხვდა ლექსი, სადაც ქალი პოეტი მხატვარს  
ბედნიერების დახატვას სთხოვს. მაგალითად, თეა  
გეთიაშვილი წერს:

„ბედნიერება დახატე,  
თუ შეგიძლია მხატვარო,  
ცხოვრების ორომტრიალში  
გამილამაზე სამყარო...  
მინდა ლიმილის დილა და...  
განათებული საღამო,  
ყველგან ხარობდეს ია და....  
მერცხლის ჭიკჭიკით ვაღამო.  
დახატე ლალი ცხოვრება,  
შეყვარებული თვალები.  
შემომაფრქვიე სხივებად,  
ნამზურები ხალები,  
გამილამაზე სიცოცხლე,  
ყველას სიკეთე ვახარო,  
მაჩუქე ბედნიერება,  
შენ შეგიძლია მხატვარო!“

პოეტი თამილა ჯაფარიძე კი თავის შვილს თა-  
თას უძლვნის დიდებულ ლექსს და სთხოვს, დახა-  
ტოს დედა, როგორიც არის სინამდვილეში. ლექსში  
საოცრად არის დედის სახე აღწერილ-დახატული.  
მასში ვკითხულობთ:

„დამხატე!

ოღონდ არ შეცვალო პარამეტრები  
და გამეტებით ნუ ასწორებ ძვირფას ნაოჭებს!  
დამხატე!

მოლბერტი – შენი დედამინა შეატორტმანე!

ფერთა პალიტრა გადმოღვარე, აცეკვე ფუნჯი,  
დამხატე მუნჯი, აქ სიტყვები არ იხატება...  
დამხატე!

ენგურს ჰეგდეს ჩემი თმები ისე დახატე....

გამალე ტილო, ალაპარაკე, თუ გინდა მგავდეს;  
ნუ წვალობ ამდენს დედის პორტრეტი უსასრუ-  
ლოა...

დამხატე...

დედის თვალებში შენ თავს ხედავ –

დახატე ესეც,  
რა ფერსაც ეძებ შენს მოლბერტზე  
უხვად აყრია,  
დამხატე!  
რაც ვარ, არ შეცვალო პარამეტრები!“

პოეტი ქალების შემოქმედებაში შემხვდა ლექსი,  
რომელშიც თავად ქალს სურს მამაკაცის დახატვა. მაგალითად, ნარგიზ ჯაფარიძე წერს: „მინდა დაგხ-  
ატო ბრწყინვალე როგორც მზე, დაგხატო მინდა, რომ მიგამსგავსო მთვარეს, მინდა დაგხატო ფე-  
რადი, როგორც ტყე, დაგხატო მინდა რომ გავდე  
ოკეანეს, მინდა დაგხატო გავდე ბიბინა ჯეჯილს,  
დაგხატო მინდა, ზაფხულის ცას რომ გავდე, კიდევ  
ცას, დამით ვარსკვლავებით მოჭედილს, დაგხატო  
მინდა...!“

დაბოლოს, არ შეიძლება არ ნარმოვადგინო,  
ჩვენი თელაველი პოეტების – ნუციკო დეკანზიშ-  
ვილისა და ლეილა ლეგაშვილის ლექსები. ნუციკო  
ლექსში – „ჩემს მხატვარს“ – აცოცხლებს ცნობილ  
ნახატს საკუთარი ორიგინალური ინტერპრეტაციით  
და შლის მასში „ბნელ ფერებს“:

„გოია ხატავდა შემოსილ მარიას,  
შიშველი მახა კი ბოლეროს ცეკვავდა...  
მახა ვწებიანი, ლამაზი ქალია,  
მხატვარი ტილოზე შეხებას ბედავდა...“

ხანძარი გაჩნდა და მეხანძრე არ იყო!  
როლები გაცვალეს ფუნჯმა და ნატურამ –  
ქალმა სიყვარულის დახატვა დაინწყო,  
გოია მიხვდა და... დაუთმო კაცურად!

შენ ნინ შემოსილი შიშველი ვვარდები  
და ჩემი პარტია მე უკვე ვიცეკვე,  
რიტმს ფეხს აუწყობენ მაისის ავდორები,  
მახა კი ლიმილით შემიქებს სიცელქეს...“

შემოსილს შიშველი სულისა მრცხვენია  
და თუ ჩემს დახატვას შენ მაინც არ იშლი,  
მე გადმოვიბირებ მაგ ამაყ გენიას  
და სველ პალიტრაზე ბნელ ფერებს წაგიშლი!

არ ვიცი რა მქვია – მახა თუ მარია,  
უამ-კარი ამებნა და ველარ მიშველი!  
ტილოზე გოიას ფერმკრთალი ქალია –  
ვწებით შემოსილი და სულით შიშველი...“

პოეტი ქალის – ლეილა ლეგაშვილის ლექსი –  
„დამხატე“ – ნამდვილი ფერწერული პოეზიის შეს-  
ანიშნავი ნიმუშია... მასში იძებნება შშვენიერი ფერ-  
ები. მაგალითად: „ფუნჯად ყაყაჩოს გულს გაჩუქებ,  
ფერებს – მინდვრიდან ამოკრეფილ ყვავილო  
კაბების“; ლეილა ლეგაშვილს არ ხიბლავს მუქი, სამ-  
გლოვიარო ფერი და წერს: „თალხი არ მინდა, არ  
ჩამაცვა – არ ვეკარები... თმა ისევ ისე მაყვლა-  
ფერად ჩამომინანი... ტანზე ჩამაცვი ნაკადულის წყ-





ალ-წყალა ფერი და ხავსისფერი უნახნაგო არშიებით შეალამაზე... წარბები მერცხლის შავ ფრთებივით გადამიკალმე და ტუჩები ძახველის წვენით შემიპირისფრე“... პოეტი მიმართავს ადრესატს: „მინდა დამხატო ისეთი, როგორიც იყო ხვარამზე... სე-ვდიანი და ძლიერი...“ მას სურს, რომ მხატვარმა მის თვალებში „სხვა რამ მზე“ ჩადოს, „ფარჩაც ყვითელ-გულა გვირილებით მომიქარგე“... და რაც მთავარია, ლეილა ლეგაშვილს სურს, რომ მხატვარმა დახატოს იგი ბედნიერი, თუმცა აუცილებელია, რომ მხატვარმა ფერთა გამით „შეუზავოს თვალებზე სევდა“, „რადგან უსევდოთ სილამაზეს ვერ დამაბრალებო“ – წერს პოეტი...

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას შემდეგი: ზემოხსენებული პოეტების უმრავლესობას, ალბათ, აქვთ მხატვრობის ნიჭიც, თუმცა შესაძლებელია, რომ მხოლოდ განვითარებული ჰქონდეთ მხატვრული მხედველობის უნარი... მართალია, შეგვხვდა მაგალითები, სადაც პოეტს სურს, მხატვარმა არ შეცვალოს მისი არც გარეგნული, არც სულიერი ფერები თუ კონტურები, თუმცა უმრავლეს შემთხვევაში, პოეტი ითხოვს, მხატვარმა დახატოს იმაზე ლამაზი და იმაზე ბედნიერი, ვიდრე სინამდვილე-შია... რაც შეეხება ფერებს, თითქმის ყველა პოეტს აშინებს შავი, მუქი ფერი, რადგან სევდას და მელანქოლიას ინვევს მათში ბნელი პალიტრა. თუმცა არის მაგალითებიც, როდესაც პოეტი, ამ მუქი ფერებით, გვიმხელს საკუთარ სულიერ თუ ცხოვრე-

ბისეულ განწყობილებას (ზოგ მათგანს არ სურს სიყალბე და მხატვარს სთხოვს, ეს სევდანარევი ფერები დაუტოვოს, ზოგი პოეტი კი სიცოცხლისა თუ განწყობის გაფერადებას ითხოვს მხატვრისგან). ფერთა გამას რაც შეეხება, ხშირად გვხვდება ცე-ცხლოვანი, თბილი ფერები: მზის ფერი, წითელი, ყვითელი, რაც სინათლის, სიძლიერისა და ენერგიის სიმბოლოა... ასევე, მწვანე – სიცოცხლის ფერი... ცივ, მისტიკურ ფერებსაც ვხვდებით – ლურჯს, იის-ფერს, თეთრს, რაც ცასთან და უსასრულობასთან ასოცირდება... გვხდება ლექსები, სადაც მხოლოდ სიჭრელე და ცისარტყელის ფერები ერთად იყრის თავს... ამგვარად, ფერების მიმართ ჩვენს პოეტებს აქვთ ინდივიდუალური დამოკიდებულება, თუმცა თითქმის ყველა მათგანი ერიდება მუქ ტონალობას... მართალია, ფერთა სიმბოლიკაში შავი ფერი (აბსოლუტური სიბნელე) ელეგანტურობასთან, დახვენილობასთან მოიაზრება, მაგრამ სულში მისი სიჭარბე დამთრგუნველია...

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ლექსები თანამედროვეა, მიმდინარეა. ვფიქრობ, რომ ლექსის ეს საინტერესო სტილი მალე გახდება მკვლევართა ინტერესის საგანი და შედეგად მივიღებთ საინტერესო კვლევებს, განხილვებს, კრიტიკას...

შემდგომში წარმოგიდგენთ მამაკაცი პოეტების მიერ შექმნილ – ფერწერული პოეზიის – მშვენიერ ნიმუშებს...



მხატვარი ვანო გოცირიძე



ବ୍ୟାଲୋ  
ଓପିତିକ୍ଷବିଲୋ

## ფილოლოგიის დოქტორი



## ილია – ქართული ურნალისტიკის მამამთავარი

(8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 184 წელი სრულდება)

Ҙურნალისტიკას არა მხოლოდ საინფორმაციო და მეთვალყურეობის, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქცია, ობიექტური და გადამოწმებული ფაქტების გავრცელების ვალდებულებაც აქვს. სამწუხაროდ, დღეს მრავალი მედია საშუალება მხოლოდ იდეოლოგიურ-პროპაგანდისტულ მანქანად იქცა და სხვა მიზნებსა და ფუნქციებზე უარი თქვა. ილია ჭავჭავაძემ კარგად იცოდა „ჟურნალ გაზეოთობის“ ძალა და ცდილობდა ეს ძალა ქვეყნის განვითარებისა და ერის კეთილდღეობისკენ მიემართა.

ილიას უურნალისტური მოღვაწეობის არეალი ფართო და მრავალმხრივ საინტერესოა: 1863 წლიდან დააფუძნა და რედაქტორობდა „საქართველოს მოამბეს“, 1877-1901 წწ. — „ივერიას“, პარალელურად, 1880-81 წწ. ს. მესხთან ერთად — „დროებას“. აუნიონავთ და განუზომელია მისი ღვანჩლი ქართული უურნალისტიკის წინაშე, რის გამოც დაიმკვიდრა „ქართული უურნალისტიკის მამამთავრის“ და „კაპვაკასიური პრესის გეტერანის“ სახელი.

ზემოჩამოთვლილი უურნალებისთვის თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, თუ რა მისიას, რა მიმართულებებს უსახავდა იგი „უურნალ-გაზეთობას“ მიზნად; როგორ იღვწოდა განათლების, კულტურის განვითარებისა და პროგრესული იდეების პროპაგანდისთვის; ადამიანის პიროვნული თავისუფლებისა და სოციალური მდგრამარეობის გაუმჯობესებისთვის. ილია, საკუთარი მხატვრული ნანარმობების, პუბლიცისტური წერილების გამოქვეყნებით თუ უცხოელი მწერლების ნააზრევის წარმოჩნდებით ცდილობდა თვალი გაესწორებინა რეალობისთვის და საზოგადოება ცხოვრების უტყვეუარ სარკეში ჩაქებდებინა. მისთვის პრესა ბასრი იარაღი იყო და ამ იარაღს მარჯვედ ხმარობდა დასახული მიზნების განხორციელებისთვის, რომლის ძირითადი არსიც სამშობლოს, ერის კეთილდღეობა და საქვეყნო ინტერესების ერთ-

ନେଟ୍‌କୋ ମୁଣ୍ଡରୀପ୍ରତିଲିପି

გულება იყო.

რუსეთიდან სამშობლოსკენ მომავალმა ილია ჭავჭავაძემ იცოდა, რომ ადვილი არ იქნებოდა პასუხი კითხვაზე – როგორ შეეყირები, რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყანას-?!. ის კი ზუსტად იცოდა, რომ მას ყველაფერი გულწრფელად უნდა ეთქვა მშობელი ხალხისთვის, თვალი აეხილა, გამოეღვიძებინა, რისთვისაც ორი გზა აირჩია – მამხილებელი და თანამგრძნობი. როგორც აკ. ბაქრაძე აღნიშნავდა, „ერის მანკიერი თვისებების წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადი ამოცანის – ერის განთავისუფლების ნაწილი იყო... ზნესრულობას მუდმივი და უწყვეტელი კავშირი აქვს თავისუფლებასთან“.

ილია ჭავჭავაძეს უურნალის უპირველეს მოვალეობად საზოგადოების განვითარება და წინსვლა მიაჩნდა, რისთვისაც დაუპირისპირდა და აკრიტიკებდა „ცისკრის“ რედაქტორის („მასალები „ცისკრის“ წარმოების გასარჩევად“), დაუპირისპირდა უკომპრომისოდ, თუმცა კი იცოდა, რომ მკითხველთა ნაწილი ამას ვერ გაიგებდა: „საკუირველი კაცია ქართველი!.. ძალიან თვალების აბმა იცის, – სხვის თვალებისა კი არა, მაგოდენა არ შეუძლიან, თავის საკუთარის თვალებისა... ხელობად დაპსჩერმებია, რომ რაც უნდა კეთილსვინდისიანი საქმე იყოს, ასეთს კუდს გამოაბამს, ასეთნაირად წაშლის-წამოშლის, რომ შენი გაკეთებული საქმე შენვე ვერ იცნო, შენი ნათქვამი სიტყვა შენვე ვედარ გაიგო“.... იმისათვის, რომ მისი კრიტიკა ზედაპირული და არგუმენტებს მოკლებული არ ყოფილიყო, ილიამ გადაწყვიტა საზოგადოების სამსჯავროზე გამოიტანა „ფურმისდილი“ „ცისკრის“ პოზიცია და დაესაბუთებინა რედაქტორის მიერ არჩეული გზის სიმცდარე, რისთვისაც მათში გამოქვეყნებულ მასალათა გარჩევას მიჰყო ხელი. უპირველესად, იმას საყვედურობს უურნალს, რომ „.... უკან დარჩომია ცხოვრებასა: ცხოვრება წინ წასულა და ის კი უკან მოჰკინალებს, როგორც ფეხმოტებილი ცხვარი თავის ფარასა“... ალასანიშნავია, რომ

„ცისკარი“ „მამათა“ თაობის გაზე-  
თი იყო, რომელშიც „ახალი თაობის“  
უმრავლესობაში პირველი ლიტერა-  
ტურული ნათლობა მიიღო, მათ შო-  
რის – პეტერბურგის უნივერსიტე-  
ტის სტუდენტმა ილია ჭავჭავაძემაც.  
მან პირველი კრიტიკული სტატია  
სწორედ აქ გამოაქვეყნა, რომლითაც  
დაიწყო ე.ნ. „მამათა“ და „შვილთა“  
ლიტერატურული პაექრობა მეცხ-  
რამეტე საუკუნის 60-იან წლებში.  
„თერგდალეულთა“ ახალმა თაობამ  
ბრძოლა გამოუცხადა თავისი ქვეყ-  
ნის ჩამორჩენილობას, შეზღუდულო-  
ბას და კარჩაკეტილობას“. ამ ყოველივეს გამომზე-  
ურებისთვის, ილია ხშირად სატირასაც მიმართავდა,  
იყენებდა ანდაზებს, იგავებსა და ხალხურ თქმებს,  
რომელთა მოხმობითაც, როგორც გრ. კიკნაძე აღ-  
ნიშნავს, ნათქეამს მეტ დამაჯერებლობას მატებდა:  
„ის არ ჰეგას ისეთ მწერალს, რომელიც სატირას  
იმისთვის იმარჯვებს, რომ... დაგესვლით კმაყო-  
ფილმა, მას გვერდით ჩაუარის... სამშობლოს დოდმა  
სიყვარულმა თვალი კი არ დაახუჭვინა მას თანამ-  
ემამულეთათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებზე,  
არამედ, პირიქით, უწევულო სიფხიზე გამოამ-  
ულავნებინა და მათი მცირედი ნაკლიც კი საგანგე-  
ბოდ გაახაზვინა, რადგან ილია ამ ნაკლის სახიფათო  
შედეგს ითვალისწინებდა“.

ილია ჭავჭავაძე და მის ირგვლივ შემოკრე-  
ბილი თერგდალეულთა თაობა 1861 წელს,  
რუსეთიდან დაბრუნებისთანავე შეუდგა „ცისკრი-  
საგანგებზე“ იდეურად სრულად განსხვავებული, ახალი  
ტიპის უურნალის დაარსებისთვის ზრუნვას. 1863  
წელს გამოვიდა „საქართველოს მოამბე“. მისი პირ-  
ველივე ნომერი რედაქტორმა და გამომცემელმა  
ილია ჭავჭავაძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლე-  
ქსით „შემოლამება მთანმინდაზედ“ გახსნა, რითაც  
ყველაფერი თქვა – იგი თავს ბარათაშვილის სუ-  
ლიერ მემკვიდრედ აცხადებდა. თუმცა, ბურნებივ-  
ია, მას საზოგადოებისთვის საკუთარი სატემელიც  
მრავლად ჰქონდა, ამიტომ ილია ყოველ ნომერში  
ბეჭდავდა მონინავე ფილოსოფიურ-პუბლიცისტუ-  
რი ხასიათის საპროგრამო წერილებს, ერთვებოდა  
პოლემიკაში, აქვეყნებდა საკუთარ ნანარმოებებს:  
პირველივე ნომერში გამოქვეყნდა თერგდალეულთა  
საპროგრამო ლექსი „ჩემო კალამი“, „გლაბის ნაამ-  
ბობის“ ხუთი თავი, „კაცია-ადამიანი?!“... შემდგომ  
ნომრებში გაგრძელდა მათი ბეჭდა, აგრეთვე, ერთი  
წლის განმავლობაში დაიბეჭდა: „რა ვაკეთეთ, რას  
ვშვრებოდით, ანუ საქართველოს ისტორია მეცხ-  
რამეტე საუკუნისა“, „კითხვა-პასუხი“, ფრაგმენტები  
პოემებიდან „აჩრდილი“, „კაკო ყაჩაღი“, ლექსები:  
„ბედინერი ერი“, „მას აქეთ, რაკი შენდამი ვჰსცან მე  
სიყვარული“, „პოეტი“, „ლოცვა“, „ნიკოლოზ ბარათ-



## ცელი ცეიტიშვილი

აშვილზედ“, „ხმა სამარიდამ“ და სხვ.  
აქვე დაიბეჭდა მისი თარგმანები –  
ლერმონტოვის, შენიეს, ბასტიას,  
პრუდონის და სხვათა ნაწარმოებები.  
უურნალმა „საქართველოს მოამბე“  
მხოლოდ ერთი წელი იარსება.

„მას მოჰყვა გაზეთი „დროება“  
(1866-1885). ვენაში ქართველი საზო-  
გადლებრიობის მიერ მივლენილმა  
სტეფანე მელიქიშვილმა სწორედ  
1865 წელს ჩამოასხმევინა ქართუ-  
ლი შრიფტი და თბილისში გამართა  
სტამბა, სადაც გიორგი წერეთლის  
რედაქტორობით იბეჭდებოდა გაზე-  
ბას და კარჩაკეტილობას“. ამ ყოველივეს გამომზე-  
ურებისთვის, ილია ხშირად სატირასაც მიმართავდა,  
იყენებდა ანდაზებს, იგავებსა და ხალხურ თქმებს,  
რომელთა მოხმობითაც, როგორც გრ. კიკნაძე აღ-  
ნიშნავს, ნათქეამს მეტ დამაჯერებლობას მატებდა:  
„ის არ ჰეგას ისეთ მწერალს, რომელიც სატირას  
იმისთვის იმარჯვებს, რომ... დაგესვლით კმაყო-  
ფილმა, მას გვერდით ჩაუარის... სამშობლოს დოდმა  
სიყვარულმა თვალი კი არ დაახუჭვინა მას თანამ-  
ემამულეთათვის დამახასიათებელ ნაკლოვანებებზე,  
არამედ, პირიქით, უწევულო სიფხიზე გამოამ-  
ულავნებინა და მათი მცირედი ნაკლიც კი საგანგე-  
ბოდ გაახაზვინა, რადგან ილია ამ ნაკლის სახიფათო  
შედეგს ითვალისწინებდა“.

ილია ჭავჭავაძე იყო დამაარსებელი და რე-  
დაქტორი „ივერიისა“. ეს გახლდათ ქართული  
პოლიტიკური და ლიტერატურული პერიოდული  
გამოცემა, რომელიც გამოდიოდა თბილისში 1877  
წლის 3 მარტიდან: ჯერ იყო ყოველკვირეული გაზე-  
თი, 1879-1885 წლებში კი უურნალის სახით გა-  
მოიცემოდა; 1886 წლიდან „ივერია“ ყოველდღიურ  
გაზეთად გადაკეთდა. ილია ჭავჭავაძე აქაც ჩვეული  
შეუპოვრობით იბრძოდა სიმართლის დასამკვიდრე-  
ბლად, განათლების ასამაღლებლად, თავისუფლები-  
სა და ეროვნული ერთიანობისთვის – ხალხისა და  
ქვეყნის საკეთილდღეოდ, რა მიზნებისგანაც, სამ-  
ნუსაროდ, დაცლილია თანამედროვე მედია-სივრცე.

ამ უურნალებში მოღვაწე ადამიანებმა ფას-  
დაუდებელი ამაგი დასდეს ქვეყნაში პროგრესული  
აზრის, მოწინავე იდეების დამკვიდრებას, განათ-  
ლების და კულტურის წინსვლას; მათ შექმნეს ახალი  
ეპოქა ქართულ აზროვნებაში; ისინი არა მხოლოდ  
კალმით, არამედ საქმითაც მთელი ცხოვრება სამშ-  
ობლოს ერთგულ მსახურებად დარჩნენ.

ამდენად, ილია, საკუთარი თავისადმი დასმუ-  
ლი კითხვის გააზრებისას – როგორ შევეყრები და  
რას ვეტყვი მე ჩემს ქვეყნას და ჩემს ხალხსო, –  
დარწმუნებული იყო, რომ მამულიშვილისთვის სამ-  
შობლოს „დუმილიც გასაგონია“ და რომ ძველის  
ნგრევისა და ახალი ურთიერთობის დამყარებისკენ  
მიმართული მისი იდეები შედეგს აუცილებლად  
გამოიღებდა, თუნდაც დიდი შრომის, ტკივილის,  
ბრძოლის, დანაკარგების და, ბოლოს და ბოლოს,  
„ნინამურის“ ფასად.



ნანა  
რჩეულივილი

## ფილოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ართდა, ვაკე ხომ ის პოეტია, რომელმაც დამზადებულის  
მაფლი უძღვნა პოეტად გაჩენისათვის, რაფგან სურა,  
რომ „სამშობლოს წყლიულებს“ პოეტის სიტყვა უშველის,  
თუნდარ ეს სიტყვა მანალიჩამოხული, ვარმით ნაკუთრი,  
სწეული და გულგანგმირული იყოს. ტრმინი „სიტყვარ“  
ხომ ფართო გაგერითა ნსხმარი ვაჟას ლირიკაში. „სიტყვა  
გაფვაგლე ერშია, სიტყვა, რა სიტყვა? – ეული“ – ა, ამრობს  
პოეტი და თუმცა თვით უმწეობას გრძნობს, საორარია,  
რომ ამ ნუა-ფაგვით გაზრდილმა სიტყვამ იხარი, მარ-  
გალიცებით დამშვენდა, დაუდა ოქროს ტახტზე და შნელი  
ქვეუჩანა გაანათა.

## ნანა რჩეულიშვილი

## **ვაჭა-ფერველას ლირიკული „აღსარეპარ“**

„სადა ხარ, ჩემო არნივო,  
გულზედ ნისკარტი დამკარა,  
გულიდან სისხლი მადინე,  
თვალიდან ცრუემლი ანკარა!“

ვინ არ მოხიბლულა ფშავის ულამაზესი და ზეია-  
დი ბუნებით? ვის არ უცდია პოეტური სიტყვებით შეხ-  
მიანებოდა მის გოროზ მთებს და ოვალჩაუწვდომ უფ-  
სკრულებს? აქ თვით ბუნება გესაუბრება თავის ენაზე,  
მაგრამ... ცოტას თუ გაუგია ეს ენა, ცოტა თუ ჩანვდე-  
ნია მის სიპრძნესა და იდუმალებას! ვაჟა პირველი და  
ჯერ შეუცვლელი მგოსანია ბუნებისა და მისი უტყვი  
შეიღებისა, რომელთაც არა მარტო სული ჩაუდგა, არ-  
ამედ ფიქრისა და აზროვნების უნარიც მიანიჭა. თუმ-  
ცა, ეს „ლერთოთან ახლოს მდგომი“ (ვაჟას სიტყვებია!)  
პოეტი ხშირად დაჩაგრულად გრძნობდა თავს, რასაც  
ასე მწარედ უჩირდა პირად წერილებსა და ლირიკულ  
ლექსიბში.

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში არაერთი ლექსი ატ-არებს ერთგვარი პოეტური „აღსარების“ ხასიათს. საღვთიმეტყველო სწავლების მიხედვით „აღსარების თქმა ნიშნავს სიღრმემდე გახსნას, მთელი სულის გადმოღვრას“ (მიტროპოლიტი ანტონ სუროველი). არქიმანდრიტ ნეკტარიოს ანტოპოლუსის ქადაგებაში ვკითხულობთ: „აღსარებაზე უნდა გავაძიშვლოთ ჩვენი სული და თვალსაჩინო გაეხადოთ მისი ქრილობები“. ადვილად გასაგებია ის დადი სურვილი, რომელიც ხშირად ეუფლებოდა ვაჟას, სურვილი გულით ნატარები განცდების ამოთებისა და ამით გარკვეული შევების შეგრძნებისა. ღრმა რომანტიკული განცდებისა და მძაფრი რეალისტური აზროვნების სინთეზმა მის შემოქმედებაში შექმნა მხატვრული განზოგადების განსაკუთრებული ფორმა, რომელსაც, პირობითად, თუნდაც პოეტურ განდობას ვუწოდებთ. ქართულ სინონიმთა ლექსიკონში (ალ. ნეიმანი), განდობა აღსარებას, გამოტყდომას ნიშნავს. ხოლო „ლექსიკონი ქართული“ განდობას „ხვაშიადის მოთხოვბას“ უწოდებს. შეიძლება ითქვას, რომ ვაჟას განდობითი ხასიათის

ლექსები მართლაც დაუფარავად ამჟღავნებენ პოეტის შინაგან სულიერ განკუდებსა და გამოტეხილ ხვაშიადს.

„თავისი დროის სამშობლოს შემაწევარ კაცს“ (თ. ჩხენეველი) მთელი სიცხადით ეხატა თვალწინ წუხ-ილით სავსე პიროვნული ცხოვრება, ჩაკეტილი ფშა-ვის გოროზი ბუნების ჩარჩოში. პოეტის გაუსაძლის ყოფას საზოგადოების გულგრილობა და უკეთურე-ბა რომ დაემატებოდა ხოლმე, ჯავრით სავსე გულს ამითაქმევინებდა კაეშნან სიმღერას. გასაგებია, თუ როგორი გულისტკივილით სწერდა მეგობარს: „...და-საკრძალავი ალაგი ოცი წელია მას შემდეგ, რაც აიჩი-ნა, დაინიშნა და შემოიფარგლა. ხოლო ამ ოცი წლის განმავლობაში სად, როგორ ვცხოვრობ, არავინ არ იცის“-ო. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ღრ-მად ინტიმურ ლირიკაში ხშირად გვხვდება ურთიერთ-გამომრიცხავი იდეური პათოსით გამსჭვალული ლე-ქსები. მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვაჟას სიცოცხლის რომელ პერიოდში დაიწერა ისინი. ფაქტია, რომ ერთ-მნეთის გვერდით იყოთხება ლექსები, რომელთა ერთ ნაწილში პოეტი ცისა და მინის მბრძანებლად მიიჩნევს თავს, ხოლო მეორეში დახატულია დალლილ-დაქან-ცული, უღლავო და უძალო კაცის ავბედითი ყოფა. მაგალითად მოვიტანთ ნაკლებად ცნობილ ლექსს, სა-თაურით – „ვითომდა ვთიბდი ბეჯითად“, რომელიც გულგატებილობისა და ამაო გარჯის ნიშნითაა დალ-თასმული:

„ვითომა ვთიბდი ბეჯითად, ცელს კი ვუსვამდი  
ბარახს.

ნინ მივიბრძოდი, მივთიბდი დიყსა,  
ქუჩასა და შალაზასა

მეგონა, ბევრი გავთიბე, თავს კარგ მთიბელად  
ვაჩავო:

იმას რა მომაგონებდა, თუ მთას უთიბსვე  
აწახავო!

გავხედავ ნამუშავარსა, ოფლით მორწყულსა  
მოიოლა.

სდებლიანია,  
ვუცქერი: თივა არსად ჩანს, ქარს მტვერად  
გაუტანია

და სათიბეში ნიაღვარს ლოდები მოუტანია“.

ძნელი ასახსნელი არაა ლექსის სიმბოლური შინაარსი... ვაჟას პოეზია ხომ ერთი საოცარი „მეტაფორაა“ მისი ამქეუნიური ყოფისა და გენიაღური აზროვნებისა. ლექსის ლირიკული გმირის პოზიცია ცხადად წარმოგვიდგენს ამაო გარვეით დაღლილი პოეტის სახეს. საგულისხმოა „ბეჯითად“ მშრომელი მთიავის აქცენტირებული თვითშეფასებაც, რომ ის „კარგ მთიბელად სახავდა თავს“, თუმცა, ამაოდ... მთა მაინც უთიბი დარჩენილა, მოთიბული კი წყალს წაუდია. სამაგიეროდ, ავბედით ნიაღვარს ლოდები მოუტანია.

ეს ავბედითი ნიაღვარი დამანგრეველი ლოდებით ხშირად ჩანს ვაჟას პოეზიაში. მაგალითად, პოემა „გველისმჭამელის“ ფინალში აღწერილმა ავისმომასნავებელმა დელგომამ შუალამისას „მოხეთქა ღვარები, გატეხეს, თუ სად ლოდების ხევებში იყო კარები...“ ეს კი, ცხადია, ცუდ დასასრულს ნიშნავს. როგორც ცნობილია, პოემა 1901 წელსაა დაწერილი, ანუ, პერიოდში, როდესაც, როგორც მინდიას, ისევე ვაჟას ცხოვრებაშიც ყველაფერი ინგრევა, ხდება თვითშეფასება და დგება უმედო ფინალი – არაფერი!

არადა, ვაჟა ხომ ის პოეტია, რომელმაც დამბადებელს მადლი უძღვნა პოეტად გაჩენისათვის, რადგან სჯერა, რომ „სამშობლოს წყლულებს“ პოეტის სიტყვა უშველის, თუნდაც ეს სიტყვა მანდილჩამოხეული, ვარმით ნაკვები, სწეული და გულგანგმირული იყოს. ტერმინი „სიტყვაც“ ხომ ფართო გაებითაა ნახმარი ვაჟას ლირიკაში. „სიტყვა გადავაგდე ერშია, სიტყვა, რა სიტყვა? – ეული“-ო, ამბობს პოეტი და თუმცა თვით უმწეობას გრძნობს, საოცარია, რომ ამ წევადაგვით გაზრდილმა სიტყვამ იხარი, მარგალიტებით დამშვენდა, დაჯდა ოქროს ტახტზე და ბნელი ქვეყანა გაანათა. პოეტი „ჩუმად იცინის“, კმაყოფილია, რომ მისმა საწყალმა სიტყვამ ერის გულში დაიდო ბინა, მისსავე სანუგეშოდ. თუ რა ხიბლი ჰქონდა ვაჟას შემოქმედებას, ამას შემბეჭდავად გვიხსნის ქართული კრიტიკული აზროვნება:

კონსტანტინე გამასახურდიას აზრით „ვაჟამ გაგვიხსნა ახალი ძლიერი ტალღა ხალხის ხსოვნაში დაგროვილი მითოსია, ახალი მოტივებით გაამდიდრა მან ქართული პოეზია“.

ვახტანგ კოტეტიშვილი წერდა ვაჟას ცხოვრების შესახებ: „ეს არ არის პიროვნული ცხოვრება. პიროვნული თემიპრივშია გადასული, თემი პიროვნებაში მოთავსებულა. რაღაც დიდი შეუძლებაა მომხდარი... სად თავდება ვაჟა და სად იწყება ფშავი, ძნელი გასარკვევია. თითქოს ფშავმა ვაჟას სახე მიიღო და ათასი ხმით სათემელი, ათასი კაცის განცდილი, ვაჟამ გამოსთევა...“

აკაკი განერელია ვაჟას ქართული მითოლოგი-



## ნინო რჩეულიშვილი

ის უღრმესი ფესვებიდან ამოსულს უწოდებს და შენიშვნავს: „მე-19 – მე-20 საუკუნეების საზღვარზე (და მას შემდეგაც) ჩვენ არ ვიცით მეორე შემოქმედი, რომელიც ეგზომ განუსაზღვრელი ფანტაზითა და პოეტური ვიზიონით ყოფილიყოს დაჯილდოებული. და არა მარტო ქართული მასშტაბით: მის ანალოგს ვერ ვპოულობთ უკანასკნელი საუკუნის მსოფლიო ლიტერატურაშიც“.

ამ აზრს იზიარებს თამაზ ჩხერიელი და ამატებს: „ვაჟას ფილოსოფიური განზოგადებით აქვს წარმოჩენილი კაცობრიული ვნებანი: პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთჭიდილი,

63



დაპირისპირება და კონფლიქტი... ადამიანის გარდაქმნა და ამაღლება დიონისური ექსტაზის მეშვეობით, ღმერთი და სამშობლო, სიცოცხლისა და სიკვდილის ანტიონომიების შეუზე დანახული ბურების სურათები და სხვა“. სწორედ ამ დაპირისპირებისა და კონფლიქტის შედეგადაა შექმნილი ვაჟას ლირიკული „აღსარებანიც“. თუ ჭეშმარიტებასთან ახლოსაა ფრანგი ლიტერატურის მცოდნის ანდრე მორუას აზრი აღფრუდ დე მიუსეს პოეტური ხელოვნების ირგვლივ რომ წერს: „რანაირი ტკივილიც არ უნდა მიეყენებინა პოეტისათვის ამა თუ იმ გრძნობას, რანაირი სახიფათოც არ უნდა ყოფილი მისთვის, იგი არასოდეს მოისურვებს ნებით განიკურნოს იმ სატკივარისაგან, რომელიც მის გენიას ანვდის საზრდოს,“ მაშინ იგვე შეიძლება ითქვას ვაჟა-ფშაველაზეც. ასეთი აზრია გამოთქმული ლექსში „ჩემი ვეღდება“, რომელშიც ერთმნიშვნელოვნად ჩანს პოეტის სურვილი:

„მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძლე, მოკვედე მშერი, ნუ დამასვენებ ნურასდროს, მამყოფე შეძრუნებული, მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, როცა ვარ შეწუხებული.“

1912 წელს ვაჟა წერს ლექსს „მარტოობა“. მასში პოეტი საკუთარ ორსახეობას უწივის, ერთარსებად გამთლიანებულ ორ სახეს შემოქმედისა და ადამიანისა, ხან რომ სამყაროს მბრძანებლად მოჩანს, ხან კი, ჩვარივით უგრძნობა და უილაჯოა. არწივის, ვაჟას პოეტური მუზის ერთ-ერთი ძლიერი მეტაფორული სახის სტუმრობა, საოცარ ძალას ანიჭებს პოეტს:

„როცა არწივი თან მახლავს, მაზის მარჯვენა მხარზედა, მეფისა მადგა გვირგვინი, ვზივარ სამეფო ტახტზედა... როცა არწივი წამივა, ჩვარი ვარ, მცირე ჩვარზედა.“

როგორც ჩანს, „არწივი“ (ანუ, პოეტური მუზია), გარკვეული დროის სასურველი სტუმრია. მხოლოდ

ოლქა №5, 2021





მას შეუძლია პოეტის აცსება მაგიური ძალით. ეს მაგიური ძალის მომნიჭებელი ღვთაებრივი საწყისი ვაჟას არაერთ ლექსში ჩანს. ლექსში „ვინც მომამადლა მე დიდი მადლი“ პოეტი აცხადებს, რომ არ არსებობს უფრო დიდი მადლი და ძალი, თვინიერ შემოქმედისა. ეს ძალა ღვთისგან ნაბოძებ სამოთხის ხისგან გამოთლილ ჩანგშია, რომელიც „მკვდართ აღმადგენლადაა“ მომართული:

„ვინც მომამადლა მე დიდი მადლი  
მკვდართ აღმადგენელ ხმათ ჩანგზე თქმისა,  
ვინც ჩანგი მიძლვნა თვისი ნაკურთხი  
მომჯალები სამოთხის ხისა,  
ვინაც დამნიშნა ერის აღმზრდელად, –  
ჩემს ბედს ყოველმხრივ განაგებს ისა.“

სიმღერას უწოდებს ვაჟა 1907 წელს დაწერილ ლექსს „სიყმე სიბერედ ვაქციე“, „რომლის იდეური შინაარსი კვლავ მიჰყება უკვე მრავალგზის გამოთქმულ მოსაზრებას პოეტის ამაო გარჯაზე, მისი „ჩინგურის“ მძიმე ხვედრზე გულცივ საზოგადოებაში. თუმცა სწავლაში, რომ მტკიცედ დაიცვა ერთხელ არჩეული გზის პრინციპი – მართალთა ქებისა და ორგულთა ძრსხვისა. აი, რას სწერდა იგი პირად წერილში პეტრ უმიკაშვილს, ლიტერატორს, მთარგმნელს და წიგნების გამომცემელს, ჩარგლიდან: „ხანდახან ჩემს თავსა ვგმობ, რატომ მეც როგორც სხვებმა არ ვიფიქრე ცხოვრებაზე, არ უგორდი ლეკვივით დიდთა ამა ქვეყნისათა, არ ულოკე ფეხები, არ ველაქუცე, მაგრამ თავს იმით ვმართლულობ, არ შემეძლო მე ასე თავის დამდაბლება და არც ეხლა შემიძლიან, თუნდაც რომ პირში ბალახი ამომივიდეს“. სიმართლის მსახურებამ პოეტს მტრად მოჰკიდა საზოგადოების ერთი ნაწილი... ცოდვად ჩაუთვალეს ნამუშავევი. რაკი აღსარება ცოდვის გამხელასაც გულისხმობს, ბუნებრივია, პოეტმაც უნდა აღიაროს იგი, მაგრამ თვით ეს „ცოდვა“ ვაჟას-თვის სხვა შინაარსს ატარებს:

„ვადიდე გმირთა სახელი, მკლავი და

სულით დიდობა,  
დავძრახე ქვეყნის ორგული და შეურაცხვყავ  
ფლიდობა...  
ამას მითვლიან ცოდვადა, რაშიც მე მიჩნდა  
გმირობა;  
თავს დამჩხავიან ყორნები, გაუმართიათ  
ყრილობა.“

„შევნიშნავთ, რომ იმდროონდელ მკაცრ ცენზურულ პირობებში ადვილი არ იყო დაფარული აზრების თამამად გამოტანა, თუნდაც მხატვრულ სახეებში. 1886 წელს გაზით „ივერიაში“ დაბეჭდა ვაჟას ლექსი „სიმღერა“, რომლის დასაწყისიც – „ერთხელც იქნება, მოკვდები... კავკასიის საცენზურო კომიტეტის წევრს, ლუკა ისარლოვს, გარკვეული მიზეზების გამო (ეგ ზარხოსის შიშით – ურნმუნოება ჩანს ამ სიტყვებში), ამოქშალა. საქმეში, თვით ილია ჭავჭავაძის ჩარევის შემდგომ სიტყვა „ერთხელც“ შეიცვალა სიტყვით – „როცა“ და ლექსიც ასეთი დასაწყისით დაიბეჭდა: „როცა იქნება, მოკვდები“. ასე იცვლებოდა ვაჟას ლექსებში ის თამამი აზრები, რომელთაც ცხოვრების მეცნიერობა სინამდვილე ბადებდა პოეტის გულსა და გონებაში.

„ლირიკულ აღსარებებში“ ვაჟა ორმაგ განწყობას ამჟღავნებს. ის, როგორც პოეტი და შემოქმედი, თავს უფლის ხელდასმულად მიიჩნევს, საუფლო საქმის მკეთებელია და მასთან საუბრის დროს გასაოცარ ძალმოსილებას აღწევს. ხოლო, ადამიანთა საზოგადოებაში თავს უძლურად და ამაო გამრჯევდ თვლის. როგორც ჩანს, პოეტსა და საზოგადოებას შორის გაჩენილმა დიდმა უფსკრულმა განაპირობა სევდიანი ტონი მის ლირიკაში. საგულისხმია, რომ გენიოსმა პოეტმა ამ ლირიკულ აღსარებებშიც ვერ იპოვა სულის სიმშეიდე და საფლავშიც ისე ჩავიდა, რომ ის რიტორიკული კითხვა, ერთხელ რომ ნამოსცდა, – „რა ვსწერო და რად ვსწერო?“ – სამუდამოდ პასუხებაუცემელი დარჩა ქართველი საზოგადოებისაგან.



მხატვარი ვანო გოცირიძე





მხატვარი  
ვანო გომიშვილი



ცენტრული ლიმანის ფერადი ცენტრი




აკატა გულიაშვილი




ვანო მაცველიშვილი




დავით ნაცვლიშვილი



ვაჩა ჭავაშვილი  
(ვაჩა ივანიშვილი)



გოგონას პორტრეტი



ავერი სახადევილი